სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

ბაკალავრიატი

ა) პროგრამის სახელწოდება: ფსიქოლოგია. Psychology.

ბ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ფსიქოლოგიაში BA in Social Sciences (Psychology)

გ) პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 240

დ) სწავლების ენა: ქართული

ე) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: ბაკალავრიატში ფსიქოლოგიის პროგრამის მიზანია თანამედროვე პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მოამზადოს სტუდენტი იმგვარად, რომ მან შეძლოს კონკურენტულ გარემოში საკუთარი შესაძლებლობების განვითარება და რეალიზება, მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

გარდა ამისა, ბაკალავრიატში ფსიქოლოგიის პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა განავითაროს კრიტიკული აზროვნებისა და რაოდენობრივი ანალიზის უნარი; დაეუფლოს წერითი და ვერბალური კომუნიკაციის ჩვევებს; ბაკალავრის საფეხურზე მიღებული ცოდნა იყოს მყარი საფუძველი ზედა საფეხურის აკადემიური და პროფესიული პროგრამების უკეთ დაუფლებისათვის

სტუდენტს ეძლევა საშუალება გაეცნოს და ისწავლოს პიროვნების ჩამოყალიბების, განვითარებისა და ნორმალური და პათოლოგიური ქცევის ამხსნელი თეორიები. შეისწავლოს პიროვნების კვლევისა და დიაგნოსტირების ინდივიდუალური, კლინიკური და ჯგუფური მეთოდები. ისწავლოს პიროვნების ქცევის მოდიფიკაციის ელემენტები. შეისწავლოს კულტურული და სოციალური ფაქტორების გავლენა პიროვნების ქცევის ჩამოყალიბებაში. პროგრამა აგებულია სამეცნიერო კვლევებზე დაფუძნებულ ცოდნაზე.

რიგი დისციპლინების მიზანია სტუდენტს საშუალება მიეცეს, გაეცნოს განათლებისა და სწავლის თანამედროვე თეორიებს, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებს; გაიღრმავოს ცოდნა სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვის ფსიქოლოგიაში, აგრეთვე, დაეუფლოს კვლევის მეთოდებს და გაეცნოს მათი გამოყენების სპეციფიკას განათლების სფეროში.

სტუდენტი სწავლობს ისეთ დისციპლინას, როგორიცაა ორგანიზაციის ფსიქოლოგია, რომელიც შეიმუშავებს ფსიქოლოგიურ თეორიებსა და მეთოდოლოგიებს და იყენებს მათ იმ ორგანიზაციული პრობლემების მოსაგვარებლად, რომელიც ინდივიდებსა და ჯგუფებს ექმნებათ ორგანიზაციაში. ამდენად ორგანიზაციის ფსიქოლოგები თანაბრად არიან დაკავებული, როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკული საქმინობით.

ვ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით სტუდენტის სტატუსის მოპოვება.
ზ) სწავლის შედეგები: ფსიქოლოგიის მიმართულების ბაკალავრი შეიძენს იმ საბაზისო თეორიულ და პტაქტიკულ ცოდნას და უნარებს,

რომლებიც აუცილებელია კურსდამთავრებული საქმიანობის დასაწყებად.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს წარმათებით გავლილი სასწავლო კურსის შედეგად შეეძლება

ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების გამოყენება საზოგადოების ინტელექტუალური, ემოციონალური, ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. კურსდამთავრებულს შეეძლება დამოუკიდებლად განახორციელოს მცირე მასშტაბის კვლევა, გამოიყენოს ფსიქოლოგიური ეთიკის სტანდარტები კვლევის დაგეგმვის, განხორციელების, ანალიზისა და პრეზენტაციისას; მოამზადოს კვლევის ანგარიში და მოახდინოს კვლევის მონაცემების სტატისტიკური დამუშავება ბაზისურ დონეზე; შეეძლება ახსნას, თუ რა გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე სოციალური, პიროვნული და სიტუაციური ფაქტორები. ამასთანავე გამოიმუშავებს კრიტიკულ აზროვნებას. შეიძენს სფეროში მუშაობისათვის საბაზისო პროფესიულ უნარ-ჩვევებს.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს შეეძლება გამოადიფერენციროს პიროვნების ქცევის განსხვავებული მოდუსი; დაგეგმოს და ჩაატაროს მცირე მასშტაბის კვლევა, გაანალიზოს პიროვნების ქცევის თავისებურებანი განსხვავებულ სიტუაციებში; შეადგინოს მარტივი სადიაგნოსტიკო ბატარეა და დაახასიათოს პიროვნული პროფილი კოგნიტური, ემოციონალური (ღირებულებითი) და ქცევითი პარამეტრებით; მოახდინოს გარემო სიტუაციის და სოციალური გავლენის ინდიკატორული შეფასება პიროვნების კონკრეტული ქცევის აღწერისათვის.

კურსდამთავრებულს გააზრებული ექნება როგორც ფსიქოლოგიის ასევე ფსიქოლოგის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებაში.

საბაკალავრო პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტს შეეძლება მონაწილეობა მიიღოს სასწავლო დაწესებულებაში მიმდინარე სწავლისა და სწავლების პროცესის შეაფასებაში ძირითადი პარამეტრების მიხედვით, განსაზღვროს არსებული ხარვეზები, დაკავშირებული როგორც ბავშვის ფსიქოლოგიურ თავისებურებებთან, ასევე სწავლების მეთოდებთან და დაწესებულების ფსიქოლოგიურ კლიმატთან. სტუდენტს შეეძლება განსაზღვროს პრობლემა და ჩაატაროს მცირე მასშტაბიანი კვლევა.

საბაკალავრო დონეზე სტუდენტები შეისწავლიან ორგანიზაციისათვის ისეთ მნიშვნელოვან აქტივობების დაგეგმვისა და შეფასების ძირითად ასპექტებს, როგორიცაა: პერსონალის შერჩევა, ტრენინგი და განვითარება, შესრულებული სამუშაოს შეფასება, სამუშაოს ანალიზი და სხვ. მიიღებენ ცოდნას ემპირიული კვლევის მეთოდების შესახებ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში.

ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებული შეძლებს მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებას. სწავლის შედეგების აღწერის მიხედვით, ბაკალავრი შეითვისებს ისეთ დარგობრივ კომპეტენციებს და უნარებს, როგორებიცაა:

ცოდნა და გაცნობიერება

ზოგადი:

- ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების თეორიული საფუძვლები.
- გაცნობიერებული აქვს საზოგადოებისათვის ფსიქოლოგის როლი და მნიშვნელობა.
- ეცნობა თანამედროვე ფსიქოლოგიურ მიმდინარეობებს, რომლებიც შეისწავლიან შემეცნებით პროცესებსა და ქცევის სტრუქტურას, მათ საფუძვლად მდებარე პროცესებსა და ფსიქოლოგიურ მექანიზმებს.
- პრაქტიკული მეცადინეობები საშუალებას აძლევს გააცნობიეროს თეორიული კურსის შედეგად მიღებული ცოდნა.

ნეირო- და კოგნიტურ ფსიქოლოგია
- თავის ტვინის დაზიანების შედეგად სხვადასხვა სისტემების დარღვევის ნეიროფსიქოლოგიური სინდრომების შესახებ ცოდნა; ადამიანის ქცევაში თავის ტვინის სხვადასხვა სისტემების როლის შესახებ ცოდნა.
- ადამიანის კოგნიტური პროცესების სტრუქტურის, შემეცნებითი პროცესების კოგნიტური მოდელების შესახებ ცოდნა;
- ბავშვის ნორმალური განვითარებიდან გადახრის სხვადასხვა გამოვლინებების ფსიქოლოგიური მახასიათებლების ცოდნა;
- ფსიქიკური აშლილობების ფორმებისა და მათი კლასიფიკაციის პრინციპების შესახებ ზოგადი ცოდნა.

სოციალური ფსიქოლოგიის კონცენტრაცია:
- სოციალური ფსიქოლოგიის, როგორც ფსიქოლოგიის დარგის თეორიული საფუძვლების ცოდნა;
- პრაქტიკული საქმიანობის წამოსაწყებად სოციალურ ფსიქოლოგიაში დაგროვილი თეორიული და ემპირიული მონაცემების ცოდნა;
- სპეციალობაში ლიტერატურის დამოუკიდებლად დამუშავება და კრიტიკულად განხილვა, შედეგების ანალიზის უნარი;
- სპეციალობაში ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და საბაზისო დონეზე ინტერპრეტირება;
- კრიზისულ სიტუაციებში სოციალური ფსიქოლოგიის ცოდნის გამოყენება და საზოგადოებისათვის მისი როლის და მნიშვნელობის გაცნობიერება;
- თანამედროვე სოციალური ფსიქოლოგიის თეორიული პოსტულატების გაცნობიერება და მისი ძირითადი მიმდინარეობების ცოდნა

შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია:
- შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა;
- საბაზო ცოდნა ორგანიზაციული ქცევის, ადამიანური რესურსის მენჯმენეტის, პროფესიის ფსიქოლოგიის,
- მომხმარებლის ფსიქოლოგიის საკითხებში;
- ორგანიზაციისა და ინდივიდის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ უახლეს ლიტარატურასა და კვლევით მონაცემებზე დამყარებული ცოდნა;
- პერსონალის შერჩევის, შესრულებული სამუშაოს შეფასების, კარიერის დაგეგმვის მეთოდოლოგიური პრინციპიების ცოდნა;
- მომხმარებლის ქცევის, მომხმარებლის არჩევანზე მოქმედი გარემო და ფსიქოლოგიური ფაქტორების ცოდნა;
- ფსიქომეტრიის ძირითადი მოთხოვნების ცოდნა (ტესტის ფსიქომეტრული მახასიათებლების შეფასება,

- ვალიდური ინსტრუმენტების შერჩევა და გამოყენება პერსონალის შერჩევისა და შეფასების, ასევე ორგანიზაციული კვლევების სფეროში);
- კვლევითი სტრატეგიების/მეთოდებისა და მათი გამოყენების პრინციპების ცოდნა, რომელიც დაეხმარება კურსდამთავრებულს ორგანიზაციაში პროდუქტული და კონტრპროდუქტიული ქცევის განაპირობებელი ფაქტორების შესწავლ აში, პროფესიული სტრესის წყაროების იდენტიფიკაციასა და კვლევზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავებაში.

პიროვნების და კლინიკური ფსიქოლოგიის კონცენტრაცია:

- წამყვანი პიროვნების თეორიებისა და მიმდინარე თანამედროვე კვლევების ცოდნა, ადამიანის ქცევის სხვადასხვა თეორიული პოზიციიდან გაანალიზებისა და პიროვნებისა და მისი ქცევის ფართო კონტექსტში დანახვის უნარი;
- ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდების, სხვადასხვა ტიპის მეთოდების კლასიფიკაციის პრინციპებისა და კრიტერიუმების ცოდნა,
- შესაძლებლობების, ღირსებების და ნაკლოვანებების; ძირითადი პიროვნული მახასიათებლების შესასწავლად შექმნილ თეორიულ კონსტრუქტების ცოდნა;
- ტესტი-კითხვარების კონსტრუირების/ რესტანდარტიზაციის და ინტერპრეტაციის ზოგადი პრინციპები და პრობლემების ცონდა;
- ძირითადი ფსიქიკური აშლილობების (დეპრესია, აგზნება, მწვავე ბოდვითი მდგომარეობა, ცნობიერების შეცვლა და სხვა), დიაგნოსტიკური კრიტერიუმების, სიმპტომები და პრაქტიკაში მიღებული პროფილაქტიკური, თერაპიული და რეაბილიტაციური მეთოდების ცოდნა.
- ნერვულ სისტემაში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესების შესახებ ცოდნა. ასევე, თუ როგორ არეგულირებს ნერვული ქსელები ცხოველთა ქცევას.
- განვითარების დარღვევების დიაგნოსტიკური კრიტერიუმების, განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების, განვითარების დარღვევების ფსიქოლოგიური კანონზომიერების; ადამიანის ქცევაში თავის ტვინის სხვადასხვა სისტემების როლის შესახებ ცოდნა;
- ქცევითი მიდგომების შესახებ ძირითადი თეორიების, ქცევის შეფასების მეთოდების ცოდნა;
- თავის ტვინის სხვადასხვა სისტემების დაზიანების ნეიროფსიქოლოგიური სიმპტომები და სინდრომების ცოდნა; თავის ტვინის დაზიანების ნეიროფსიქოლოგიური შეფასების ზოგადი პრინციპების ცოდნა.

განათლების ფსიქოლოგიის კონცენტრაცია:

- განათლების ფსიქოლოგიის საგნის სპეციფიკისა და მისი ამოცანების ცოდნა;
- განვითარებისა და სწავლის თეორიების მნიშვნელობის გაცნობიერება განათლების ფსიქოლოგიაში;
- ფსიქიკური პროცესების კანონზომიერებების ცოდნა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვისას;
- სწავლების თეორიების ცოდნა;
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლებისადმი მიდგომების ცოდნა;
- მულტილინგვური განათლების სპეციფიკის ცოდნა და პრობლემის პრაქტიკული ხედვა

- საკლასო შეფასების მეთოდების ცოდნა.
- სწავლების სხვადასხვა მეთოდების, კლასის მართვის სტილების და მოტივაციის ამაღლების ტექნიკების გამოდიფერენცირება და გააზრება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ზოგადი:

- ფსიქოლოგიის ძირითადი თეორიების ცოდნა და მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- მცირე მასშტაბის ფსიქოლოგიური კვლევის დამოუკიდებლად ჩატარება, მონაცემათა დამუშავება და ანალიზი.
- თემის აქტუალობის განსაზღვრის, სიახლის ძიების, ინფორმაციის მოპოვების, გადამოწმების უნარი.
- სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფის წარმონადგენელთა ფსიქოლოგიური პრობლემების შეფასება და კონსულტირება;
- სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და სასარგებლო რჩევების მიცემა: სამუშაო ჯგუფების პროექტირებას, პერსონალის
- შერჩევასთან და სხვადასხვა ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით.
- პიროვნების ურთიერთობებისა და სოციალური და ეთნიკური ჯგუფების პრობლემების შეფასება და დახმარება

სოციალური ფსიქოლოგიის კონცენტრაცია:

- სოციალური ფსიქოლოგიის ისტორიაზე, სხვადასხვა თეორიებზე და მიმდინარეობებზე დაყრდნობით პრაქტიკული საქმიანობის
- განხორციელება;
- სოციალური ფსიქოლოგიის მეთოდების ცოდნა პრაქტიკული და ემპირიული კვლევის საბაზისო დონეზე ჩასატარებლად;
- სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში საწყის დონეზე ისეთი პროექტის წერის უნარი, რომელიც გულისხმობს საწყის დონეზე პრობლემების დასმას, მიზნის, ამოცანის დეფინირებას და შედეგების დამუშავებას;
- სოციალური ფსიქოლოგიის ცოდნის გამოყენება პრაქტიკული მიზნებისთვის კონკურენტულ გარემოში და საკუთარი შესაძლებლობების განვითარება და რეალიზება;
- საკვლევი თემის აქტუალურობის განსაზღვრა, ინოვაციური ხედვა, ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვება, შედეგზე ორიენტირება, აქტუალური თემების ანალიზი (პიროვნების სოციალური ქცევა, ჯგუფი, გავლენები, დამოკიდებულებების შესწავლა, კომუნიკაციის დაუფლება, სოციალური კოგნიტური პროცესების შესწავლა, ტრენინგების ჩატარება, გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის ძირითადი პრინციპების ცოდნა), დამოუკიდებლად სხვადასხვა სფეროში გამოყენება, კონსულტირება და რეკომენდაციების მიწოდება (საწყის დონეზე).

შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია:

- შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენება (პერსონალის შერჩევის პროცედურის დაგეგმვა, ვალიდური ინსტრუმენტების შერჩევა, შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის მენეჯმენტი, პროფესიული სტრესის წყაროების იდენტიფიკაცია, პროფესიული სტრესის დაძლევის სტრატეგიების შემუშავება, ტესტის ფსიქომეტრული მახასიათებლების შეფასება, სამუშაოს ანალიზი და საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა და სხვა).

- პიროვნების და კლინიკური ფსიქოლოგიის კონცენტრაცია:

- ტესტებისა და კითხვარების ჩატარებისა და მიღებული მონაცემების დამუშავების ზოგადი ჩვევები;

- არსებული ამოცანებისათვის რელევანტური სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტების შერჩევის, შესაბამისი ფსიქომეტრული მახასიათებლების საჭიროების განსაზღვრის უნარი და ამ ინსტრუმენტების საფუძველზე მოპოვებული მასალის ობიექტური შეფასება.

- ლაბორატორიაში მუშაობისა და უსაფრთხოების პირობების დაცვის უნარ- ჩვევები

- ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე ფსიქიკური განვითარების დარღვევის და ფსიქიკური ფუნქციების დაზიანების შესახებ ჰიპოთეზის ფორმულირების უნარი;

- კონკრეტული შემთხვევის ანალიზი და სათანადო სპეციალისტთან გადამისამართების უნარი;

ნეირო- და კოგნიტურ ფსიქოლოგია

- ადამიანის ქცევაზე დაკვირვება;

- პრაქტიკოსი ფსიქოლოგის დახმარება ინფორმაციის შეკრებაში, ინტერვიუს ჩატარებაში;

- მკვლევრის ხელმძღვანელობით კვლევის დაგეგმვა და ჩატარება კოგნიტური ფსიქოლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის სფეროში.

განათლების ფსიქოლოგიის კონცენტრაცია:

კურსდამთავრებული შეძლებს:

- განათლების ფსიქოლოგიის სფეროში ძირითადი საკვლევი პრობლემატიკის გამოკვეთას და აღნიშნული პრობლემის ირგვლივ პროფესიული ხედვის შემუშავებას.

- მცირე მასშტაბიანი კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვას, წარმოებას და აღწერით სტატისტიკურ ანალიზს;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებას;
- საკუთარი ცოდნის წარმოდგენის სტრატეგიების ფლობას: პრეზენტაცია, დებატის წარმართვა, რეფერატის შესრულება.
- ფსიქოლოგის ასისტენტობას პროფესილი სამუშაოს შესრულებისას. კერძოდ,
- სასწავლო დაწესებულების სწავლა/სწავლების პროცესის დაგეგმვასა და დახვეწაში;
- სასწავლო პროცესის მართვაში;
- სპეციალური ტრენინგების დაგეგმვას და ჩატარებაში.

დასკვნის უნარი

- კრიტიკული აზროვნების უნარი;
- ლოგიკური მსჯელობის, ანალიზისა და სინთეზის უნარი;
- ფსიქოლგიური თეორიებისადმი, ფსიქოლოგიის კვლევის მონაცემებისა და შედეგებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება;
- მიღებული ცოდნის საფუძველზე ლოგიკური და დასაბუთებული დასკვნის საჯაროდ წარდგენა.

კომუნიკაციის უნარი

- სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ფსიქოლოგიური ცოდნის ლოგიკურად და თანმიმდევრულად გადაცემა
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.
- საკუთარი მოსაზრებების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ წერილობითი ანგარიშის მომზადება
- ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე,
- ჯგუფში მუშაობის უნარი – მოვალეობების დელეგირების უნარი;
- ქართულ ენაზე პრეზენტაციის/მოხსენების გაკეთების უნარი;

- ქართულ ენაზე გამართული მეტყველების და წერის უნარი – აკადემიური წერა, ლიტერეტურის მიმოხილვის უნარი;

- შეუძლია შესაბამის წყაროებთან, კოლეგებთან, ფართო საზოგადოებასადა სხვა დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციის დამყარება;

- შეუძლია ჯგუფურად და ინდივიდუალურად მუშაობა;

- აქვს კითხვის სწორად დასმის და მოსმენის უნარი;

- იცნობს მეტყველების კულტურის ნორმებს და ფლობს ეფექტური ზეპირი კომუნიკაციის უნარებს;

- აქვს ინფორმაციის გადმოცემის/პრეზენტაციის უნარი.

- შეუძლია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება პროფესიულ დონეზე კომუნიკაციისათვის.

სწავლის უნარი

- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, სწავლის შემდგომი ეტაპისთვის მზაობა და შემდგომი გაგრძელებისთვის საჭიროებების განსაზღვრა;

- დროის მართვის უნარი - ლექციების, სემინარების, დავალებებისათვის შესაბამისი დროის განაწილების უნარი;;

- სწავლის დამოუკიდებლად განხორციელება, სწავლების პროცესის თავისებურებების გათვალისწინება და სხვადასხვა სამეცნიერო წყაროებზე დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;

- სასწავლო პროცესში ორიენტირება, სასწავლო საგნების კუთხით არჩევანის გაკეთება საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით;

- გააჩნდეს სწავლის შემდგომი გაგრძელების უნარ-ჩვევები და მოტივაცია.

- სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა და სწავლის პროცესის თავისებურებების გათვალისწინება;

- სხვადასხვა წყაროებზე დამოუკიდებლად მუშაობა;

- სასწავლო მიზნებით საინფორმაციო ტექნიკის გამოყენება;

- არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების მზაობა.

- შეუძლია უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა გამოიყენოს, როგორც მყარი საფუძველი მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის, დამატებითი ცოდნის მიღებისა და გაღრმავებისთვის.

ღირებულებები

- პროფესიული ეთიკური ნორმების დაცვა (კვლევებში მონაწილე ადამიანთა უფლებების დაცვა, რეალური კვლევითი მონაცემების წარდგენა და სხვა);

- მრავალეროვან კოლექტივში თანამშრომლობისთვის ეთიკური სტანდარტების გაცნობიერება და დაცვა;

- საზოგადოდ, საქმიან ურთიერთობებში ეთიკური ნორმების დაცვა;

- მიღებულ ცოდნის კვალიფიციურად, კეთილსინდისიერად წარმოაჩენისა და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომად გახდის უნარი;

- საზოგადოებაში განსხვავებულობის პატივისცემა;

- უნარშეზღუდულობის ადვოკატირება;

- სტიგმისა და სეგრეგაციის საწინააღმდეგოდ პიროვნების საზოგადოებაში ინტეგრირებისა და ინკლუზიის იდეების დანერგვა.

თ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სტუდენტზე და შრომის ბაზარზე ორიენტირებული სწავლების განხორციელება მოიცავს ლექცია-სემინარებს, ინდივიდუალურ, გუნდურ და პრაქტიკულ დავალებებს, სიტუაციურ ანალიზებს, პრეზენტაციებს, რომელთა გაზომვადი შედეგები აისახება შეფასების მეთოდებში.

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;

წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტთა მიერ პრაქტიკული დავალებების შესრულებას და აუდიტორიაში წაკითხვა-განხილვას; ასევე გულისხმობს სხვადასხვა ტიპის ესეებისა თუ რეფერატების დაწერას.

დისკუსია/დებატები – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

ჯგუფური მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას.

ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

წიგნზე მუშაობის მეთოდი

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

შემთხვევის ანალიზი (Case study) - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს.

გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად ბევრი, რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.

როლური და სიტუაციური თამაშები - როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში.

დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

ახსნა–განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო

ამოცანიდან გამომდინარე.

ი) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტი ყოველ საგანში მოწმდებაECTS–ის სისტემით (კრედიტის მინიჭების საფუძველზე), 100-

ქულის ფარგლებში, აქტიურობის, შუალედური შემოწმებებით და დასკვნითი გამოცდის საფუძველზე.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;

(A) 91 -100 ფრიადი

(B) 81 -90 ძალიან კარგი

(C) 71 -80 კარგი

(D) 61 -70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51 - 60 საკმარისი

(FX) 41 - 50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება

(F) 0 – 40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისთვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი.

ეს შეფასების კრიტერიუმები ცნობილია საზოგადოებისთვისაც და სტუდენტებისთვისაც და მოცემულია თვითოეულ სილაბუსშიც. შეფასების მიღების შემდეგ ხდება უკუგება სტუდენტსა და მასწავლებელს შორის მიღწეული შედეგებისა და ნაკლოვანებების გაუმჯობესების მიზნით. ეს უკუკავშირი ხდება სხვადასხვა ფორმით – აუდიტორიაში, საკონსულტაციო საათებისთვის გამოყოფილ დროს, ან ელექტრონული ფოსტით და ა.შ.

კ) სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურების მითითებით:

იხილეთ დანართი

ლ)პროგრამის კოორდინატორები:

თ. გაგოშიძე, მ. მელიქიშვილი, ხ. მარწყვიშვილი

მ) დასაქმების სფეროები:

კურსდამთავრებული შეძლებს მუშაობის დაწყებას როგორც კერძო, ასევე საჯარო და მრწამსისა და აღმსარებლობის შესაბამისად სხვადასხვა დაწესებულებებში. ასევე, შეძლებს მიღებული ცოდნის გამოყენებას მომიჯნავე სპეციალობით დასაქმებისთვის.

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: დაწყებითი განათლება / Elementary Education

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: განათლების ბაკალავრი / Bachelor of Education

სპეციალობა: მასწავლებელთა განათლება

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: რვა სემესტრი (240 კრედიტი) საბაკალავრო პროგრამაში 240 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 185 კრედიტი - ძირითადი სპეციალობა; 25 კრედიტი - საფაკულტეტო სავალდებულო დისციპლინები; პრაქტიკა – 20 კრედიტი; 10 კრედიტი - ე.წ. თავისუფალი კრედიტი.

ვინაიდან პედაგოგიური განათლება რეგულირებადი დარგია, ამიტომ აღნიშნული პროგრამა განისაზღვრება ძირითადი სპეციალობით 185 ECTS კრედიტის ოდენობით, საფაკულტეტო სავალდებულო და არჩევითი საგნებით 35 ECTS კრედიტის ოდენობით, პედაგოგიური პრაქტიკა- 20 ECTS კრედიტის ოდენობით. განათლების მოქმედი კანონის შესაბამისად, I–VI კლასებში ყველა საგანს (გარდა უცხოური ენებისა და ფიზიკური, შრომითი დს ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფებისა) ასწავლის ერთი მასწავლებელი, ამიტომ პროგრამა დაწყებით სკოლაში მოქმედ საგანთა სწავლების არჩევითობას სტუდენტისათვის არ ითვალისწინებს.

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი: საქართველოში მოქმედი განათლების კანონის შესაბამისად, დაწყებითი საფეხური განისაზღვრება I-VI კლასით. დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის მიზანია ისეთი მასწავლებლის მომზადება, რომელსაც ექნება დაწყებითი განათლების, როგორც დარგის, და არა _ სხვადასხვა დისციპლინის ნაკრების ხედვა. კურსდამთავრებული ღრმად უნდა ფლობდეს თითოეულ დისციპლინას ცალ-ცალკე და უნდა შეეძლოს ამ ცოდნათა გაერთიანება დაწყებითი სკოლის მასწავლებლის საფეხურის მოთხოვნებისა და მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ამავე დროს, ბუნებრივია, მას უნდა ჰქონდეს პედაგოგიკურ-მეთოდიკური დისციპლინების ცოდნა და პრაქტიკული გამოყენების უნარი, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და ღირებულებები.

ყოველივე აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს, მაძიებლობის გავლის შემდეგ ჩააბაროს სასერტიფიკაციო გამოცდები და დასაქმდეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საჯარო და კერძო სკოლებში დაწყებითი კლასების მასწავლებლად, სადაც შეიძლება ასწავლოს როგორც კონკრეტული საგანი, ასევე საგნობრივი ჯგუფი, რაც ეთანადება ზოგადი განათლების შესახებ კანონისა და

ეროვნული სასაწავლო გეგმის მოთხოვნებს. გარდა ამისა, პროგრამის კურიკულუმის, კერძოდ კი საფაკულტეტო საგნების შესწავლის საფუძველზე, კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა დასაქმდეს მომიჯნავე და საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდები

სწავლის შედეგი:

ა) ცოდნა და გაცნობიერება – განათლების ბაკალავრს აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას: დაწყებითი საფეხურით გათვალისწინებული სასწავლო საგნების ცოდნას, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებისა და შესაბამისი მოთხოვნების ცოდნას, დაწყებით სკოლაში მუშაობის მეთოდებისა და პრინციპების ცოდნას, პედაგოგიკური თეორიებისა და კონცეფციების ცოდნას, პედაგოგის პროფესიული სტანდარტისა და სათანადო ეთიკური ნორმების ცოდნას; შეძლებს სფეროს კომპექსური საკითხების გაცნობიერებას, მშობლებთან და კოლეგებთან მუშაობის ფორმები და მეთოდები:

- პედაგოგიკის ძირითადი ცნებები_ აღზრდა, განათლება, სწავლება;
- პედაგოგიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები და კვლევის მეთოდები;
- პიროვნების ფორმირების ფაქტორები; აღზრდის მიზნი და ამოცანები;

განვითარების და სწავლის ძირითადი თეორიების გაცნობა; ბავშვის კოგნიტური, ფსიქო-სოციალური და ფიზიკური განვითარების თავისებურებების და სწავლის პროცესზე მათი გავლენის გაცნობიერება; ბავშვის განვითარებისა და სწავლისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორების ცოდნა; მულტიკულტურული და ინტერკულტურული განათლების ძირითადი თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ცოდნა; მრავალფეროვანი რეალობის (კულტურული, ლინგვისტური, ასაკობრივი, ეთნიკური, რელიგიური, რასობრივი, სოციო-ეკონომიკური) გათვალისწინებით მრავალმხრივი ხედვის უნარი; პედაგოგიკის მეცნიერების როლისა და ადგილის გაცნობიერება სასწავლო–აღმზრდელობით პროცესში;

თეორიული ცოდნის მიღება–ცნებები: მეთოდი, ტექნოლოგია, ხერხი, სტრატეგია. ტექნოლოგიათა კლასიფიკაცია, ჯგუფური ტექნოლოგია, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება და სხვა. დაუფლებულია ინგლისურს მინიმუმ B1 დონეზე საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი ჩარჩოს მიხედვით. ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპები, კონცეპტები და მეთოდები, ფილოსოფიის ისტორიის, პოლიტიკისა და რელიგიის ფილოსოფიის, ეთიკის, ესთეტიკისა და ლოგიკის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საფუძვლები. საქართველოს ისტორიის ძირითადი ეტაპები, ფაქტები და მოვლენები მსოფლიოს გეოპოლიტიკურ კონტექსტში. ფლობს აკადემიური წერის ძირითად პრინციპებს.

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – საგნობრივ-პედაგოგიკურ-თეორიული ცოდნის სასწავლო პროცესში გამოყენება; დარგობრივ სფეროში კომპლექსური პრობლემის ამოცნობა და გადაჭრა შესაბამისი პედაგოგიურ-ეთიკური ნორმების გამოყენებით; სწავლების პროცესის მოსწავლეთა ინდივიდუალურ და ასაკობრივ თავისებურებებთან წარმატებით მისადაგება; აღმზრდელობითი სწავლების პრინციპის ეფექტური განხორციელება შესასწავლ მასალაზე დაყრდნობით; სასწავლო პროგრამის სწორი დაგეგმვა და ორგანიზება; სწავლება/სწავლის პროცესის ძირითადი პრინციპების, მეთოდების, ორგანიზაციის ფორმების, შეფასების ფორმებისა და მეთოდების ეფექტურად გამოყენება; კონკრეტულ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში პედაგოგიკის ძირითადი ცნებებისა და ფილოსოფიის ძირითადი კანონების მიზნობრივად გამოყენება; მოსწავლეთა საჭიროებების შესწავლის და მათი სწავლების პროცესში გათვალისწინების უნარი; შეძლებენ სპეციალურ საგანამანთლებლო კონტექსში ადაპტირებას; თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების (ჯგუფური ტექნოლოგია, თანამშრომლობის ტექნოლოგია, თამაშის ტექნოლოგია, დისტანციური სწავლება და სხვათა) პროფესიულ გარემოში პრაქტიკული გამოყენება; აღზრდის მიზნიდან გამომდინარე კონკრეტული ამოცანების დასახვა და გადაჭრის გზების მოძებნა. მრავალფეროვან კონტექსტში საგანმანათლებლო პრობლემების და საკითხების გადაწყვეტას; შეძლებენ სხვადასხვა საკითხის სხვადასხვა პესპექტივით განხილვას და მიდგომების ტრანსფორმირებასა და ადაპტირებას; მოსწავლეებთან და კოლეგებთან მეგობრული, თანამშრომლობითი ურთიერთობის დამყარება; მშობლების მობილიზება აღზრდის პროცესში მათთან თანამშრომლობის მიზნით. განათლების ბაკალავრს პროგრამით მიღებული შესაბამისი ფართო ჰუმანიტარული ცოდნის, უნარების საფუძველზე აქვს ისტორიული პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის უნარი; ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი. ლოგიკური მსჯელობა, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, სწორი დასკვნების გამოტანა და ფილოსოფიური ცნებებით ოპერირება. განათლების სფეროში სხვადასხვა პრობლემატიკის ირგვლივ საკუთარი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბება /არგუმენტირება, მიზნის ადეკვატური ენობრივი ერთეულების შერჩევა და აკადემიურ გარემოში საჭირო სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შექმნა.

გ) დასკვნის უნარი – სასკოლო გარემოში საგნის სწავლებისას აუცილებელი პრიორიტეტების გამოყოფა, რესურსების მოძიება და გამოყენება; დარგობრივ სფეროსთან დაკავშირებული სიახლეების გაანალიზება და პროფესიულ საზოგადოებაში მასზე კომპეტენტური, არგუმენტირებული მსჯელობა; პედაგოგიური სიტუაციების ანალიზი და არსებული პრობლემების გადასაჭრელად ოპტიმალური გზებისა და ხერხების შერჩევა;

დ) კომუნიკაციის უნარი – ჯგუფებთან და ინდივიდებთან კომუნიკაციის ყველა ფორმის პროფესიულ დონეზე გამოყენება (ზეპირი, წერითი, დისკუსია, დებატები); თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) თავისუფლად გამოყენება, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება; ინფორმაციის კონცეპტუალური სახით ჩამოყალიბებისა და გადაცემის უნარი.

ე) სწავლის უნარი – სწავლა/სწავლების პროცესში დასახული კონკრეტული მიზნისათვის საჭირო სიახლეების მოძიება და დამოუკიდებლად შესწავლა; საკუთარი სწავლის საჭიროების განსაზღვრა და ორგანიზაციის დაგეგმვა; საკუთარი ცოდნის თვითშეფასება და საჭიროების შემთხვევაში სწავლის გაღრმავების აუცილებლობის განსაზღვრა.

ვ) ღირებულებები – სწავლება/სწავლის პროცესში პროფესიული ეთიკის ნორმების პატივისცემა; მოსწავლის (მათ შორის უნარშეზღუდული) სრულფასოვან პიროვნებად აღქმის, ზრუნვისა და პატივისცემის უნარი; პროფესიულ ღირებულებათა სისტემის დამკვიდრებაში მონაწილეობის მიღების უნარი; ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემის უნარი.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: გამოიყენება სწავლება/სწავლის მეთოდები: ვერბალური – მონოლოგი, დისკუსია; წიგნზე მუშაობა – დამოუკიდებელი კითხვა; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი; ჯგუფური მუშაობა; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; ახსნა-განმარტებითი; ჯგუფური მუშაობა და ლექციაზე ნამუშევრის პრეზენტაცია; სხვადასხვა წყაროს გამოყენებით რეფერატის მომზადება; მოხსენების მომზადება და პრეზენტაცია; შემთხვევის განხილვა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); გონებრივი იერიში (Brain storming) .

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

დასაქმების სფეროები: საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია:

- მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ბუნებისმცოდნეობის და მათემატიკის მასწავლებელი _ დაწყებითი საფეხური (I-VI კლასები);
- საქართველოს ისტორიის, სამოქალაქო განათლების და საქართველოს გეოგრაფიის მასწავლებელი _ დაწყებითი საფეხური (V-VI კლასები) ;
- საგანმანათლებლო რესურსცენტრი;
- განათლების საკითხებით დაკავებული არასამთავრობო სექტორი.

საბაკალავრო პროგრამა აგებულია იმგვარად, რომ სტუდენტებს გამოუმუშაოს ზოგადი ჰუმანიტარული, ვიწრო დარგობრივი, პრაქტიკული უნარები და ზოგადი კომპეტენციები, რომლებიც უზრუნველყოფს მათ დასაქმებას არა მხოლოდ ვიწრო, საკუთარი სპეციალობის სფეროში, არამედ კვლევით–პრაქტიკულ სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში და საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში.

ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეეძლება სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში ‘’განათლების მეცნიერებების’’ სპეციალობით, ასევე სხვა სპეციალობების მაგისტრატურაში, თუ ამის უფლებას შესაბამისი სამაგისტრო პროგრამა იძლევა.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი

სილაბუსები: იხ. დანართი

პროგრამის ხელმძღვანელი: ქეთევან ჭკუასელი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის ინსტიტუტის სრული პროფესორი, ტელ: 22 23 76;
8 93 33 12 18 chkuaselik@yahoo.com

დამატებითი ინფორმაცია:

- საფაკულტეტო არჩევითი კურსი შესავალი პედაგოგიკაში დაბეჯითებით რეკომენდებულია დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის, რადგან ამ კურსით მიცემული ცოდნა და უნარები საფუძველი და წინაპირობაა ძირითადი პროგრამის წამყვანი კურსებისათვის.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური

რესურსების შესახებ:

ქეთევან ჭკუასელი – პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; თამაზ კარანაძე – ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; ეფემია ხარაძე – პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ პროფესორი; ნინო ჩახუნაშვილი – პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ პროფესორი; რუსუდან სანაძე – მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეცნიერებების დოქტორი; თეიმურაზ ვეფხვაძე – პროფესორი, ფიზიკა–მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; ლია კვერენჩხილაძე – მოწვეული მასწავლებელი, გეოგრაფიის დოქტორი; მიხელ ბახტაძე – ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი; გიორგი ჟუჟუნაშვილი – ასისტენტ პროფესორი, ისტორიის დოქტორი; მიმოზა სოსელია – მოწვეული მასწავლებელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; ზაქარია ქიტიაშვილი – მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეციერებების დოქტორანტი; თეონა ლოდია – მოწვეული მასწავლებელი, ფსიქოლოგი.

ბიოგრაფიული მონაცემები (CV) იხ. დანართი

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: სამაგისტრო პროგრამა განხორციელდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტისა და პედაგოგიკის ინსტიტუტის ბაზაზე, სადაც არსებობს ქართული და უცხოენოვანი ბიბლიოთეკა (ინგლისური, გერმანული, რუსული), მუდმივი ორი აუდიტორია და სალექციო აუდიტორიები, კომპიუტერები, ინტერნეტი.

ფინანსური უზრუნველყოფა: თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

დამატებითი პროგრამის სახელწოდება - პედაგოგიკა / Pedagogy

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 60 კრედიტი (40 კრედიტი – პედაგოგიური დისციპლინები, 15 კრედიტი – სავალდებულო საგნობრივი ციკლის დისციპლინები, 5 კრედიტი – არჩევითი პედაგოგიური ციკლის დისციპლინები)

სწავლების ენა: ქართული

პროგრამაზე მიღების წინაპირობა: ნებისმიერი ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

მიზანი: დამატებითი პროგრამის პედაგოგიკის მიზანია სტუდენტს მისცეს პედაგოგიური და საგნობრივ – მეთოდიკური ციკლის

დისციპლინების კომპლექსური ცოდნა, რომელიც შესაბამისობაში იქნება განათლების რეფორმის მოთხოვნებთან. პროგრამის გავლის შედეგად სტუდენტს განუვითარდება ისეთი უნარები, როგორიცაა ინიციატიურობა, შემოქმედებითობა, სასწავლო პროგრამისა და გეგმის განვითარების დამოუკიდებელი ხედვა, მოსწავლეთა სწავლისადმი მოტივირება და სხვა. პროგრამაში წარმოდგენილი ყველა საგნის შინაარსი შესაბამისობაშია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარმოდგენილ მასწავლებლის პროფესიულ და საგნობრივ სტანდარტებთან. დამატებითი სპეციალობის ფარგლებში მოსმენილი საგნები აისახება დიპლომის დანართში. აღნიშნული დამატებითი პროგრამის გავლის შედეგად, ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულს მაძიებლობის გავლის შემდეგ, აქვს უფლება ჩააბაროს სასერტიფიკაციო გამოცდები და დასაქმდეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, საჯარო და კერძო სკოლებში.

სწავლების შედეგი:

ა) ცოდნა და გაცნობიერება – განათლების ბაკალავრს აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების

კრიტიკულ გააზრებას: სასწავლო დისციპლინა (საგნობრივი სტანდარტი); მეთოდოლოგიურ/ფსიქოლოგიური დისციპლინები (პროფესიული სტანდარტი); სასწავლო პროცესში მოზარდის უფლებების დაცვის საკითხები; სწავლება/სწავლის თანამედროვე ტექნოლოგიები; კვლევის მეცნიერული მეთოდების საფუძვლები; განვითარების და სწავლის ძირითადი თეორიები; ბავშვის კოგნიტური, ფსიქო-სოციალური და ფიზიკური განვითარების ძირითადი კანონზომიერებები; განათლების სახელმწიფოებრივ პოლიტიკას; ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს; ზოგადსაგანამანთლებლო დაწესებეულებების მართვის საფუძვლებს, ეროვნულ სასწავლო გეგმას; სწავლების ძირითად პრინციპებს,

სწავლების შეფასების სისტემას; დიდაქტიკის წარმოშობა და განვითარება; დიდაქტიკის ძირითადი ცნებები, სწავლების ორგანიზაციის ფორმები, მეთოდები, შეფასების სისტემა; კლასის მართვის თეორიული საფუძვლები; გაკვეთილის ეტაპების მართვის სტილი; კონფლიქტური სიტუაციების მოგვარების გზები და საშუალებები.

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – სასწავლო საგნობრივი პროგრამის ანალიზი და დაგეგმვა; სწავლება/სწავლის პროცესის მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება; შეფასების სისტემის მეთოდების მორგება კონკრეტულ სასწავლო სიტუაციასთან; სასწავლო პროცესის მიზანმიმართული დაგეგმვა და მართვა; სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ინკლუზიის სწორად განხორციელება; პროფესიულ-ეთიკური ნორმების დაცვა; სასწავლო პროცესში მშობლებთან და კოლეგებთან თანამშრომლობა. გაკვეთილის ეტაპების მართვა; შეფასების მეთოდებისა და პრინციპების ეფექტური გამოყენება; ჯგუფური მუშაობის მართვა; კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება; მოსწავლეთა საჭიროებების შესწავლის და მათი სწავლების პროცესში გათვალისწინების უნარი; სასწავლო პროცესის დაგეგმვის და განხორციელების დროს მიღებული თეორიული ცოდნის გათვალისწინების უნარი.

გ) დასკვნის უნარი – სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების მოძიებისა და განმარტების, სიტუაციების ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; სასწავლო პროცესში არსებული ვითარების კრიტიკული ანალიზის, პრობლემის განსაზღვრის, მისი გადაჭრის უნარი;

დ) კომუნიკაციის უნარი – პროფესიულ დონეზე კომუნიკაციის ყველა ფორმის გამოყენების უნარი; პროფესიულ დონეზე

არგუმენტირებული მსჯელობის უნარი; საინფორმაციო ტექნლოგიების გამოყენების უნარი, ინფორმაციის პროფესიულ დონეზე დამუშავების უნარი;

ე) სწავლის უნარი – სასწავლო დისციპლინაში საკუთარი ფაქტობრივი ცოდნის ობიექტური შეფასებისა და სწავლის საჭიროების განსაზღვრის უნარი; ახალი პროფესიული მასალის მოძიებისა და ხელმძღვანელთან ერთად დამუშავების უნარი.

ვ) ღირებულებები – მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს; ურთიერთპიროვნული პატივისცემის ნორმებს; მასწავლებლის პროფესიისადმი პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას; კოლეგიალური უნარებს; მოსწავლეებისადმი ობიექტური და თანასწარი დამოკიდებულების პრინციპებს; მშობელთა საზოგადოებასთან თანამშრომლობითი დამოკიდებულების ნორმებს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის (ან თარგმანის), დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორამატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა –განამარტებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

დასაქმების სფეროები:

- საშუალო სკოლის I I და III საფეხური (7–12 კლასები)
- რესურს ცენტრი
- განათლების კვლევისა და ორგანიზაციის სფეროები
- განათლების საკითხებით დაკავებული არასამთავრობო სექტორი

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

პროგრამის ხელმძღვანელი – სრული პროფესორი ქეთევან ჭკუასელი (CV იხ .დანართი) სილაბუსები: იხ. დანართი № 2

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ: ქეთევან ჭკუასელი – პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; თამაზ კარანაძე – ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; ივანე მინდაძე – ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; იზაბელა პეტრიაშვილი – ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; ეფემია ხარაძე – პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ პროფესორი; ნინო ჩახუნაშვილი – პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ პროფესორი; რუსუდან სანაძე –მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეცნიერებების დოქტორი; გვანცა ჭანტურია - მოწვეული მასწავლებელი, ფილოლოგიის დოქტორი; თამარ ღარიბაშვილი – მოწვეული მასწავლებელი, ფილოლოგიის დოქტორი; იური პაპავა – მოწვეული მასწავლებელი, ფიზიკა– მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; თეიმურაზ ვეფხვაძე – პროფესორი, ფიზიკა–მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; ლია კვერენჩხილაძე – მოწვეული მასწავლებელი, გეოგრაფიის დოქტორი; ელენე კაცაძე – მოწვეული მასწავლებელი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი; მიმოზა სოსელია – მოწვეული მასწავლებელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; მარინა ალექსიძე – მოწვეული მასწავლებელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; ზაქარია ქიტიაშვილი – მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეციერებების დოქტორანტი; დავით წამალაშვილი – მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეციერებების დოქტორანტი; ანი წეროძე – მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეციერებების დოქტორანტი; თეონა ლოდია – მოწვეული მასწავლებელი, ფსიქოლოგი.

ბიოგრაფიული მონაცემები (CV) იხ. დანართი № 3

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

დამატებითი პროგრამა განხორციელდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტისა და პედაგოგიკის ინსტიტუტის ბაზაზე, სადაც არსებობს ქართული და უცხოენოვანი ბიბლიოთეკა (ინგლისური, გერმანული, რუსული), მუდმივი ორი აუდიტორია და სალექციო აუდიტორიები, კომპიუტერები, ინტერნეტი.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის დამატებითი საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: მულტილინგვური განათლება (დაწყებითი განათლების საფეხური) / Multilingual Education (Primary Education)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების ბაკალავრი / Bachelor of Education

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები / მოდულები – 15 კრედიტი (ECTS)

საფაკულტეტო არჩევითი კურსები (ევროპული ენები) – 10 კრედიტი (ECTS)

სპეციალობის სავალდებულო კურსები (პედაგოგიკის ბლოკი)– 75 კრედიტი (ECTS)

სპეციალობის სავალდებულო მოდულები (საგნობრივი ბლოკები; I-IV კლასები) - 100 კრედიტი (ECTS)

სპეციალობის არჩევითი მოდულები (საგნობრივი ბლოკები) - 20 კრედიტი (ECTS)

პედაგოგიური პრაქტიკა - 20 კრედიტი (ECTS).

არჩევითი / სავალდებულო კურსების შერჩევა ხდება მოდულების მიხედვით:

I მოდული - სომხური ენისა და ლიტერატურის/ქართული ენისა და ლიტერატურის (მეორე ენა), მათემატიკის და ბუნებისმცოდნეობის მასწავლებელი (I-IV კლასები) – 100 კრედიტი (ECTS)

II მოდული - აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის/ქართული ენისა და ლიტერატურის (მეორე ენა), მათემატიკის და ბუნებისმცოდნეობის მასწავლებელი (I-IV კლასები) – 100 კრედიტი (ECTS)

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ არანაკლებ 240 ECTS კრედიტის დაგროვება.

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი: საქართველოში მოქმედი განათლების კანონის, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის, დაწყებითი განათლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, მათემატიკის მასწავლებლის, ბუნებისმეტყველების მასწავლებლის, დაწყებითი საფეხურის ქართულის, როგორც მეორე ენისა და ბილინგვური განათლების მასწავლებლის სტანდარტის შესაბამისად, მულტილინგვური განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო პროგრამის მიზანია, დაწყებითი სკოლის საფეხურისთვის საქართველოს ზოგადი განათლების სისტემისთვის ადეკვატური კადრების მომზადება.

2009 წლის ნოემბერში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა უმცირესობათა პრობლემების გათვალისწინებით. კერძოდ, არაქართულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულები აბარებენ გამოცდას მხოლოდ ზოგად უნარებში. მათთვის ცალკე კვოტები გამოიყო უმაღლეს სასწავლებლებში და უმაღლესი სასწავლებლის პირველ კურსზე ისინი სწავლობენ სახელმწიფო ენას (ქართულს), როგორც მეორე ენას 60 კრედიტის ფარგლებში.

ამ სამიზნე ჯგუფის ჩართვა წინამდებარე პროგრამის უპირველესი ამოცანაა: არაქართულენოვან რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლში უმწვავესად დგას ზოგადად, პედაგოგთა პრობლემა: რეგიონის სკოლებში არა მხოლოდ ქართული ენის პედაგოგთა, არამედ საგნობრივი მასწავლებლების დიდი დეფიციტია. სწორედ ამ პრობლემის მოგვარების ეფექტური გზაა მულტილინგვური განათლების საბაკალვრო პროგრამა, რომელიც ორენოვანი (მშობლიური და სახელმწიფო ენა / მშობლიური და ინგლისური ენა) მასწავლებლების მომზადებას უზრუნველყოფს დაწყებითი კლასებისთვის (I-IV).

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს საშუალება მიეცემა, ჩააბაროს სასერტიფიკაციო გამოცდები, გაიაროს კანონით გათვალისწინებული საფეხურები და დასაქმდეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საჯარო და კერძო სკოლაში, მათ შორის - საჯარო და კერძო ბილინგვურ და საერთაშორისო სკოლებში დაწყებითი კლასების მასწავლებლად, სადაც I-IV კლასებში შეიძლება ასწავლოს როგორც კონკრეტული საგანი, ასევე საგნობრივი ჯგუფი ორ ენაზე, გარდა ამისა, პროგრამის კურიკულუმის, კერძოდ კი საფაკულტეტო საგნების შესწავლის საფუძველზე, კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა, დასაქმდეს მომიჯნავე სფეროში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

სწავლის შედეგი: მულტილინგვური განათლების (დაწყებითი განათლების საფეხური) პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებს:

1. ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს აქვს:

1.1. სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, რაც უკავშირდება ეროვნულ სასწავლო გეგმის შესაბამის საგნის/საგნობრივი ჯგუფის ცოდნას;

1.2. იცნობს პედაგოგიური საქმიანობის შესახებ არსებულ ძირითად ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს;

1.3 იცნობს ეთიკის ნორმებს რომლებიც უნდა გამოიყენოს მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან და საზოგადოების სხვა წევრებთან ურთიერთობის დროს;

1.4. აცნობიერებს სამართლებრივ და ეთიკის მოთხოვნებს სასწავლო რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით;

1.5. პროფესიულად ფლობს სწავლების ენებს;

1.6. არაქართულენოვანი მოსწავლეების შეფასებისას კომუნიკაციური უნარის განვითარების ხელშეწყობისათვის, ზეპირმეტყველებაში ისეთ შეცდომებს ასწორებს, რომლებიც აფერხებს კომუნიკაციას;

1.7. ფლობს მულტილინგვური სწავლების ძირითად სტრატეგიებს, შეფასების ხერხებსა და მეთოდებს;

1.8. ფლობს ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების საფუძვლებს;

1.9. გაცნობიერებული აქვს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები;

1.10. იცნობს მულტიკულტურული, ინტერკულტურული და ინკლუზიური განათლების ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს;

1.11. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებისა და შესაბამისი მოთხოვნების ცოდნა;

1.12. დაწყებით სკოლაში მუშაობის მეთოდებისა და სტრატეგიების ცოდნა, პედაგოგიკური თეორიებისა და კონცეფციების ცოდნას;

1.13. ფლობს მშობლებთან და კოლეგებთან მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს;

1.14. გაცნობიერებული აქვს პროფესიული თვითგანვითარების აუცილებლობა;

1.15. იცნობს ეროვნული განათლების სისტემის სამართლებრივ საფუძვლებსა და სტრუქტურას, ფლობს პედაგოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ბაზას, იცნობს მოსწავლის, მასწავლებლისა და მშობლის უფლებებსა და მოვალეობებს;

1.16. ფლობს პედაგოგიკის მეთოდოლოგიურ საფუძვლებსა და კვლევის მეთოდებს;

1.17. გააზრებული აქვს პიროვნების ფორმირების ფაქტორები; აღზრდის მიზანი და ამოცანები;

1.18. იცნობს ბავშვის კოგნიტურ, ფსიქო-სოციალურ და ფიზიკური განვითარების თავისებურებებს და სწავლის პროცესზე მათ გავლენას;

1.19. აცნობიერებს მოსწავლეების ინტელექტუალური და სოციალური განვითარების ძირითადი თეორიებისა და ფიზიკური განვითარების კანონზომიერების ცოდნას სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში;

1.20. იცის, როგორ გამოიყენოს სწავლების პროცესში სხვადასხვა მეთოდი მოსწავლეებში შემეცნებითი და სოციალური უნარების გასავითარებლად.

1.21. აცნოიერებს ოჯახური, საზოგადოებრივი და სხვა ფაქტორების გავლენას მოსწავლის განვითარებასა და სწავლაზე;

1.22. დაუფლებულია ინგლისურს, ფრანგულს ან გერმანულს მინიმუმ B1 დონეზე საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი ჩარჩოს მიხედვით.

1.23. დაუფლებულია აკადემიური წერის ძირითად პრინციპებს.

1.24. დაუფლებულია ისტორიის საკვანძო საკითხებს.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

2.1. მულტილინგვური განათლების სფეროსთვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად;

2.2. კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

2.3. საგნობრივ-პედაგოგიკურ-თეორიული ცოდნის სასწავლო პროცესში გამოყენება;

2.4. დარგობრივ სფეროში კომპლექსური პრობლემის ამოცნობა და გადაჭრა შესაბამისი პედაგოგიკურ-ეთიკური ნორმების გამოყენებით;

2.5. სწავლების პროცესის მოსწავლეთა ინდივიდუალურ და ასაკობრივ თავისებურებებთან წარმატებით მისადაგება;

2.6. აღმზრდელობითი სწავლების პრინციპის ეფექტური განხორციელება შესასწავლ მასალაზე დაყრდნობით;

2.7. სასწავლო პროგრამის სწორი დაგეგმვა და ორგანიზება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

2.8. სწავლება/სწავლის პროცესის ძირითადი პრინციპების, მეთოდების, ორგანიზაციის ფორმების, შეფასების ფორმებისა და მეთოდების ეფექტურად გამოყენება მოსწავლეთა მიღწევების ასამაღლებლად;

2.9. მოსწავლეთა საჭიროებების შესწავლის და მათი სწავლების პროცესში გათვალისწინების უნარი; შეუძლია სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა და სასწავლო პროცესის მართვა;

2.10. აქვს მოსწავლეებისა და მშობლებისათვის პედაგოგიური კონსულტაციის გაწევის უნარი;

2.11. თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების (ჯგუფური ტექნოლოგია, თანამშრომლობის ტექნოლოგია, თამაშის ტექნოლოგია, დისტანციური სწავლება და სხვათა) პროფესიულ გარემოში პრაქტიკული გამოყენება;

2.12. ენისა და საგნის სასწავლო გეგმის ინტეგრირება ისე, რომ საგნის სასწავლო გეგმა ეხმარებოდეს ენის შესწავლას და პირიქით;

2.13. სასწავლო მასალების შერჩევა, მათი სტრუქტურირება და საჭიროების შემთხვევაში ადაპტირება;

2.14. მოახდინოს რამდენიმე საგნის შინაარსისა და ცოდნის სფეროს ინტეგრირება;

2.15. შეარჩიოს, კონსტრუირება გაუკეთოს და გონივრულად გამოიყენოს ვიზუალური, აუდიო და მულტიმოდალური დამხმარე მასალა, რომელიც იქნება რეალური, სწავლის მიზნისთვის გამოყენებადი მასალა;

2.16. მოარგოს კურსის შინაარსი ენობრივ და საგნობრივ კურიკულუმს;

2.17. გამოიყენოს რეკომენდაციების საერთო ევროპული ჩარჩო (CEFR), როგორც მოსწავლეების მიღწევების დონის შეფასების ინსტრუმენტი;

2.18. მიმართოს სტრატეგიების ფართო არჩევანს, რომელიც დახმარებას გაუწევს მოსწავლეებს ზეპირი თუ წერითი უნარების განვითარებისათვის;

2.19. აქცენტი გააკეთოს ისეთ კულტურულ პარამეტრებზე, რომლებიც დაკავშირებულია შინაარსისა და ენის ინტეგრირებულ სწავლებასთან;

2.20. ხელს უწყობს შინაარსის, ენისა და სასწავლო უნარების უფრო მაღალი მიზნებისთვის განვითარებას.

2.21. ერთ–ერთი ევროპული ენის ცოდნის გამოყენება აკადემიური მიზნებისთვის (არჩევის შემთხვევაში);

3. დასკვნის უნარი

სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება. კურსდამთავრებულს აქვს:

- ლოგიკური მსჯელობის, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, სწორი დასკვნების გამოტანისა და ცნებებით ოპერირების უნარი;

- განათლების სფეროში სხვადასხვა პრობლემატიკის ირგვლივ საკუთარი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბება/არგუმენტირების, მიზნის ადეკვატური ენობრივი ერთეულების შერჩევისა და აკადემიურ გარემოში საჭირო სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შექმნის უნარი;

- ამა თუ იმ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით მასალებისა და მონაცემების შეგროვების, გააზრების, სისტემატიზაციისა და მათ საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;

- საშუალო სირთულის პრობლემების იდენტიფიკაციისა და თანამედროვე მეთოდების გამოყენებით მათი გადაჭრის გზების მოძიების უნარი;

- როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის, სხვადასხვა მეცნიერული მოსაზრებების, ჰიპოთეზებისა და თეორიების კრიტიკული შეფასებისა და საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბების უნარი

4. კომუნიკაციის უნარი

იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება. კურსდამთავრებულს აქვს:

- სფეროში არსებული იდეების, პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის, საჯარო გამოსვლის ტექსტის მომზადების უნარი როგორც მშობლიურ, ისე მეორე ენაზე;

- სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის დაწყებითი განათლების სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის ზეპირად გადაცემის უნარი როგორც მშობლიურ, ისე მეორე ენაზე;

- დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობისა და აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემის უნარი როგორც მშობლიურ, ისე მეორე ენაზე;

- სწავლისა და კვლევის პროცესში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, უახლესი ელექტრონული რესურსების გამოყენების უნარი;

- ინფორმაციის კონცეპტუალური სახით ჩამოყალიბებისა და გადაცემის უნარი როგორც მშობლიურ, ისე მეორე ენაზე.

5. სწავლის უნარი

საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. კურსდამთავრებულს აქვს:

- განათლების სფეროში, ისევე როგორც ზოგადად ფილოლოგიურ და ჰუმანიტარულ კონტექსტში, საკუთარი ცოდნის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრის უნარი;

- დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარებით, სპეციალური, მშობლიური, ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის მიღების უნარი;

- სწავლა/სწავლების პროცესში დასახული კონკრეტული მიზნისათვის საჭირო სიახლეების მოძიებისა და დამოუკიდებლად შესწავლის უნარი;

- წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების მიხედვით, ხელმძღვანელის მეთვალყურეობით კვლევითი სამუშაოს, საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულების უნარი;

- სამუშაო დროის რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი;
- საკუთარი ცოდნის თვითშეფასებისა და, საჭიროების შემთხვევაში, სწავლის გაღრმავების აუცილებლობის განსაზღვრის უნარი.

6. ღირებულებები

ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

კურსდამთავრებულს აქვს:

- პროფესიული ეთიკის ნორმების ცოდნა, ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემის გრძნობა და აკადემიური პატიოსნების პრინციპების დაცვის უნარი;
- დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- მოსწავლის (მათ შორის სხვადასხვა ტიპის უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების) სრულფასოვან პიროვნებად აღქმის, ზრუნვისა და პატივისცემის უნარი;
- პიროვნების თავისუფლების პატივისცემა, ტოლერანტობისა და საკუთარი ერის წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- ზოგადსაკაცობრიო, ევროპული და ეროვნული ღირებულებებისადმი პატივისცემის გრძნობა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლების პროცესში გამოყენებულია დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება და განათლების მეცნიერებების განვითარების უახლესი ვითარების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული შემდეგი მიდგომები: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ელექტრონული სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); და სხვა. აღნიშნული მეთოდების გამოყენება ხდება ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, პრაქტიკუმის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

დასაქმების სფეროები: საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია:

- არაქართულენოვანი საჯარო და კერძო სკოლების დაწყებითი კლასები (I-IV);
- საგანმანათლებლო რესურსცენტრები;
- განათლების საკითხებით დაკავებული არასამთავრობო სექტორი.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი

სილაბუსები: იხ. დანართი

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი კახა გაბუნია.

დამატებითი ინფორმაცია: საბაკალავრო პროგრამა აგებულია იმგვარად, რომ სტუდენტებს გამოუმუშაოს ზოგადი ჰუმანიტარული, ვიწრო დარგობრივი, პრაქტიკული უნარები და ზოგადი კომპეტენციები, რომლებიც უზრუნველყოფს მათ დასაქმებას არა მხოლოდ ვიწრო, საკუთარი სპეციალობის სფეროში, არამედ კვლევით–პრაქტიკულ სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში.

ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეეძლება სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში ‘’განათლების მეცნიერებების’’ და „მასწავლებელთა განათლების“ სპეციალობით, ასევე სხვა სპეციალობების მაგისტრატურაში, თუ ამის უფლებას შესაბამისი სამაგისტრო პროგრამა იძლევა.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ: შალვა ტაბატაძე, კახა გაბუნია, მანანა რუსეიშვილი, ქეთევან ჭკუასელი, მაია ინასარიძე, ნინო შარაშენიძე, ნათია გორგაძე, ქეთევან ჩაჩხიანი, ქეთევან გოჩიტაშვილი, ჭაბუკი ქირია, გიული შაბაშვილი, გია ნოზაძე, პაატა პაპავა, ზოია მხითარიანი, გისხანუმ ახმედოვა.

ბიოგრაფიული მონაცემები (კახა გაბუნიას CV) იხ. დანართი

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: საბაკალავრო პროგრამა განხორციელდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტისა და პედაგოგიკის ინსტიტუტის ბაზაზე, თსუ ავლაბრის კორპუსში, სადაც არსებობს ქართული და უცხოენოვანი ბიბლიოთეკა (ინგლისური, გერმანული, რუსული), სალექციო აუდიტორიები, კომპიუტერები, ინტერნეტი.

ფინანსური უზრუნველყოფა: თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფ სპროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

პროგრამის სახელწოდება: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - „ მასწავლებელი“
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 60
სწავლების ენა: ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი: ქეთევან ჭკუასელი, პროფესორი
დეპარტამენტი: განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი
საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ: 593 33 12 18, 2 22 23 76; ელ-ფოსტა: ketevan.chkuaseli@tsu.ge

პროგრამის მიზანი
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წარჩინებული მასწავლებლის /და მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული უფროსი მასწავლებლის / კომპეტენციის მქონე პედაგოგების მომზადება, კერძოდ, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი დარგის / საგნის სპეციალისტის აღჭურვა პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური დარგობრივი კომპეტენციებით. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტმა მიიღოს ცოდნა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ძირითადი კანონზომიერებების შესახებ და შეძლოს საგნობრივ ცოდნასთან მისი ეფექტიანი ინტეგრირების საშუალებით წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკის განხორციელება.

პროგრამაზე მიღების წინაპირობა

ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი დარგის ბაკალავრი/მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით;

სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება: კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტმა უნდა იცოდეს: პედაგოგიკურ / ფსიქოლოგიური დისციპლინები - მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი:

- პედაგოგიკის ძირითადი ცნებები - აღზრდა, განათლება, სწავლება,
- პედაგოგიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები და საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის მეთოდები,
- პიროვნების ფორმირების ფაქტორები,
- აღზრდის მიზანი და ამოცანები,
- განათლების სისტემის რაობა და მისი სამართლებრივი საფუძვლები,
- ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები,
- დიდაქტიკური და ზოგადპედაგოგიკური პრინციპები,
- სწავლების მეთოდები,
- განათლებისთანამედროვე ტექნოლოგიები,
- შეფასების სახეები და მეთოდები,
- სასწავლო პროცესში მოზარდის უფლებების დაცვის საკითხები,
- მოზარდის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურები,
- განვითარების ფსიქოლოგიური თეორიები,
- კლასის მართვის თეორიული საფუძვლები,
- ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები,
- სასწავლო დისციპლინების სწავლების მეთოდიკა,
- პროფესიულ-ეთიკური ნორმები,
- მშობლებთან თანამშრომლობის ფორმები,
- უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროების შესახებ.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება: პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს:

- კონკრეტულ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში პედაგოგიკის ძირითადი ცნებების მიზნობრივად გამოყენება,
- აღზრდის მიზნიდან გამომდინარე, კონკრეტული ამოცანების დასახვა და გადაჭრის გზების მოძებნა,
- სასწავლო პროცესის მიზანმიმართული დაგეგმვა და მართვა,
- სასწავლო საგნობრივი პროგრამის ანალიზი და დაგეგმვა,
- მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება,
- კლასის ეფექტური მართვა,
- გაკვეთილის ეტაპების მართვა,
- სწავლება / სწავლის პროცესის მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება,
- შეფასების სისტემის მეთოდების მორგება კონკრეტულ სასწავლო სიტუაციასთან,

- სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ინკლუზიის სწორად განხორციელება სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა და სასწავლო პროცესის მართვა,
- ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნა,
- პროფესიულ-ეთიკური ნორმების დაცვა,
- სასწავლო პროცესში მშობლებთან და კოლეგებთან თანამშრომლობა,
- სასწავლო რესურსების გამოყენების უნარი,
- საკუთარი საქმიანობის რეფლექსიის, შეფასებისა და თვითკრიტიკის უნარი.

დასკვნის უნარი: პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს:

- კოლეგებთან ერთად სპეციალური კვლევითი საქმიანობების დაგეგმვა, განხორციელება და პრაქტიკაში გამოყენება,
- საკუთარ სამუშაო სფეროში ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, ანალიზისა და დასკვნის გაკეთების უნარი,
- სასწავლო პროცესში პრობლემის განსაზღვრის, ანალიზისა და გადაწყვეტის გზების დასახვის უნარი,

კომუნიკაციის უნარი: პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს:

- სხვათა აზრებისა და არგუმენტების მოსმენა და კონსტრუქციული დიალოგის წარმართვა, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაცია,
- ქართულ და უცხო ენაზე პროფესიულ და არაპროფესიულ საზოგადოებასთან დისკუსია,
- პროფესიული საქმიანობისა და პრობლემების შესახებ წერილობითი დოკუმენტაციის წარმოება,
- თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება,
- კულტურათაშორისი დიალოგი.

სწავლის უნარი: პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს უნდა ჰქონდეს:

- მოცემულ დისციპლინაში ახალი მასალის მოძიებისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარი,
- საკუთარი პროფესიული საჭიროებების განსაზღვრის, განვითარების გზებისა და საშუალებების მოძიებისა და განხორციელების უნარი,
- უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების გაცნობიერებისა და რეცეფციის უნარი.
- ღირებულებები:

  პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს უნდა ჰქონდეს:

პროგრამის გავლა მსმენელს გაუფართოებს მსოფლმხედველობრივ თვალსაწიერს აღნიშნულ სფეროში და დაეხმარება მას შეიძინოს სწავლება/სწავლის პროცესისათვის ისეთი არსებითი ზნეობრივი ღირებულებები, როგორებიცაა:

- მოსწავლის პიროვნების პატივისცემა,
- მოსწავლის უფლებებისა და მოვალეობების პატივისცემა,
- მოსწავლეებისადმი ობიექტური და თანასწორი დამოკიდებულება,
- მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობა,
- პროფესიული ეთიკური ღირებულებები,
- თანამშრომლობითი უნარები,
- სასწავლო პროფესიული გარემოს განვითარების მოტივაცია,
- მშობელთა საზოგადოებასთან თანამშრომლობითი დამოკიდებულება.
- სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები
- სწავლის შედეგები მიიღწევა:
- კონკრეტული სასწავლო დისციპლინების შესწავლის პროცესში სწავლების - ზეპირსიტყვიერი, წიგნზე მუშაობის, მოვლენებსა და საგნებზე უშუალო- დაკვირვებითი მეთოდების გამოყენებით;
- სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით - ჯგუფური მუშაობა, პროექტით სწავლება, პრობლემური სწავლება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვ.
- შეფასების სხვადასხვაგვარი მეთოდისა და სახეების გამოყენებით.
- სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა
- სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს სახელმწიფო რეგულაციის საფუძველზე თსუ–ის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებას, კერძოდ, დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება უნდა განხორციელდეს 100–ქულიანი სისტემით. დაუშვებელია დასკვნითი გამოცდის შეფასება 40 ქულაზე მეტით.

  დასაქმების სფეროები: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის (7-12 კლასები) შესაბამისი საგნის მასწავლებელი

  დამატებითი ინფორმაცია

მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მსმენელს მისცეს პედაგოგიური და საგნობრივ – მეთოდიკური ციკლის დისციპლინების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა. პროგრამაში წარმოდგენილი ყველა საგნის შინაარსი შესაბამისობაშია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარმოდგენილ მასწავლებლის პროფესიულ და საგნობრივ სტანდარტებთან. პროგრამა გაწერილია ორ სემესტრად. ვინაიდან პროგრამა ზრდასრულებისთვისაა გათვალისწინებული, შესაძლებელია, მსმენელთა აზრის გათვალისწინებით, კურსების დაჩქარებული /კონცენტრირებული წესით გავლა, რაც გულისხმობს სემესტრის ორ ეტაპად წარმოდგენას, საგანთა განაწილებას პირველი და მეორე ეტაპების მიხედვით, საათების გაორმაგებული რაოდენობით. პედაგოგიური პრაქტიკა მოიაზრება მეორე სემესტრში.

პროგრამის დასრულების შემდეგ, სასწავლო კომპონენტებით გათვალისწინებული 60 კრედიტის მოგროვების საფუძველზე, გაიცემა მასწავლებლობის უფლების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

მაგისტრატურა

სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება“

Program title: Child and Adolescent Psychological Assessment and Counseling.

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფსიქოლოგიის მეცნიერებათა მაგისტრი (ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება)
Degree to be awarded: MSc in Psychology (Psychological assessment and counseling of child and adolescent).

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები: ლუიზა არუთინოვი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ–ს ასოცირებული პროფესორი; მანანა მელიქიშვილი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ–ს ასოცირებული პროფესორი.

პროგრამის ანალოგი: ამ პროგრამის ზუსტი ანალოგი ვერ მოვიძიეთ, თუმცა გარკვეული არსებითი ასპექტებით მსგავსი პროგრამები ხორციელდება: Chicago School of Professional Psychology, MA in Psychology (Child and Adolescent Concentration), Clinical Counseling Psychology, Child and Adolescent Treatment (The following course work is required for this concentration: CC640 Assessment of Children & Adolescents, CC644 Psychotherapy with Children, CC645 Psychotherapy with Adolescents); Massachusetts School of Professional Psychology (Boston, MA 02132) - School Psychology Program (MA/CAGS).

სწავლების ენა – სწავლება წარიმართება ქართულ ენაზე, თუმცა სტუდენტებს სწავლის პროცესში მოუწევთ უცხოურ ენაზე არსებული სპეციალური ლიტერატურის დამუშავებაც.

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება – პროგრამის მიზანი და ამოცანები:
სამაგისტრო პროგრამის მთავარი მიზანია პროფესიონალი ფსიქოლოგის მომზადება განვითარების ფსიქოლოგიის, ბავშვისა და მოზარდის ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირების სფეროში, რაც ხელს შეუწყობს სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვების ფსიქოდიაგნოსტიკისა და ფსიქოლოგიური დახმარების, მათი მშობლებისა და პედაგოგების კონსულტირების მიმართულებით არსებული დეფიციტის შევსებას. ბავშვებისა და მოზარდების აკადემიური უნარებისა და პიროვნული მახასიათებლების ადეკვატური შეფასების, ემოციური და ქცევითი დარღვევების დროული გამოვლენისა და კვალიფიციური ინტერვენციების დაგეგმვისა დაგანხორციელების გარეშე ძალზე რთულია სასწავლო პროცესის ოპტიმალურად წარმართვა, აღსაზრდელებისადმი ინდივიდუალური მიდგომის განხორციელება და მათი ნორმალური ზრდა–განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა.

პროგრამის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს აგრეთვე სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებთან მუშაობის ტექნიკის სწავლება და, რაც განსაკუთრებით აქტუალურია, თანამედროვე ფსიქოლოგიაში აღიარებული უცხოური ინსტრუმენტების ქართული ვერსიების შექმნისა და მათი სტანდარტიზაციისათვის ხელშეწყობა. ამ ამოცანის განხორციელება ნაკარნახევია იმ გარემოებით, რომ ჩვენთან აშკარად იგრძნობა ფსიქომეტრიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით ადაპტირებული და სტანდარტიზებული ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდების, მით უფრო, ბავშვებისა და მოზარდებისათვის განკუთვნილი ინსტრუმენტების სიმწირე. აღნიშნული ამოცანა წარმოადგენს წინა სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოს ორგანულ გაგრძელებას.

პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ბავშვებისა და მოზარდების დიაგნოსტირებისა და კონსულტირებისათვის საჭირო თეორიული ცოდნის ათვისებასა და პრაქტიკული ჩვევების ჩამოყალიბებას. შესაბამისად, პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრი შეძლებს:

შეაფასოს ბავშვისა და მოზარდის აქტუალური მდგომარეობა; ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით დაგეგმოს და განახორციელოს სათანადო ჩარევა; ბავშვებსა და მოზარდებთან ჩაატაროს ჯგუფური მუშაობა ან შესაბამისი ტრეინინგი გარკვეული პრობლემის დაძლევის ან ამა თუ იმ კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით; გაუწიოს კონსულტაცია როგორც თავად მოზარდებს, ისე მშობლებსა ან ბავშვზე პასუხისმგებელ პირებს; მოახდინოს ბავშვობისა და მოზარდობის ასაკში დაწყებული ფსიქიკური აშლილობების, პიროვნული და ქცევითი დარღვევების იდენტიფიცირება, რათა უზრუნველყოს სპეციალისტის დროული ჩარევა.
მაგისტრები გაერკვევიან ფსიქოდიაგნოსტიკის, ტესტის თეორიისა და მეთოდოლოგიის საკვანძო საკითხებში; აითვისებენ ზოგადად ტესტებთან – ფსიქომეტრულ და პროექციულ მეთოდებთან მუშაობის საბაზისო პრინციპებს, ისევე როგორც ისწავლიან ბავშვისა და

მოზარდებისათვის განკუთვნილი კონკრეტული ტესტების გამოყენებას და მიღებული შედეგების საფუძველზე კვალიფიციური ფსიქოდიაგნოსტიკური დასკვნის გაკეთებას.

სამაგისტრო პროგრამის შედეგები:

სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები შეძლებენ გამოავლინონ და ადეკვატურად განსაზღვრონ ის სიძნელეები და პრობლემები, რომლებსაც აწყდებიან როგორც სკოლამდელი, ისე სასკოლო ასაკის ბავშვები; იმუშაონ როგორც ეთიკურმა და პროფესიონალმა ფსიქოლოგებმა.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტები შეიძენენ შემდეგ კომპეტენციებს:

ცოდნა და გაცნობიერება	• ფსიქოთერაპიის ძირითადი მიმართულებების – ფსიქოდინამიკური და კოგნიტურ–ქცევითი თეორიების – კონტექსტში გაერკვევიან ფსიქოთერაპიული სამუშაოს მიზნებსა და მეთოდებში, რაც შემდგომი პროფესიული საქმიანობის პროცესში საშუალებას მისცემს მათ განსაზღვრონ და შეარჩიონ არსებული სიტუაციის თუ შემთხვევის შესაბამისი მიდგომები; • დაეუფლებიან ფსიქოდიაგნოსტის, ფსიქოკონსულტანტის და ბავშვის ფსიქოლოგის ძირითად ფუნქციებსა და სათანადო კომპეტენციებს, რაც საშუალებას მისცემს მათ იმუშაონ ნებისმიერ ორგანიზაციაში, რომლის სამოქმედო სფერო უკავშირდება სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა აღზრდა–განვითარებას თუ სწავლებას, მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვასა და მათთვის პროფესიული დახმარების აღმოჩენას; • ეცოდინებათ ბავშვთა და მოზარდთა განვითარების დარღვევების სახეები, პიროვნული და ქცევითი დარღვევების სინდრომები, ფსიქიკური აშლილობების სადიაგნოსტიკო კრიტერიუმები; ამ ცოდნის საფუძველზე შეეძლებათ პრობლემის სწორად იდენტიფიცირება და სათანადო სპეციალისტის ჩარევის საჭიროების განსაზღვრა; • ბავშვთა და მოზარდთა მცირე და დიდი ჯგუფების პრობლემატიკის ცოდნის საფუძველზე შეძლებენ განსაზღვრონ როგორც ცალკეული ინდივიდების, ისე ბავშვთა და მოზარდთა ჯგუფებისათვის კვალიფიციური დახმარების აღმოჩენის გზები; • სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვების ფიზიკური, კოგნიტური და ფსიქოსოციალური განვითარების კანონზომიერებათა ცოდნის საფუძველზე შეძლებენ დროულად გამოავლინონ სხვადასხვა სახის შეფერხებები, დაგეგმონ ან შეიმუშაონ ფსიქოლოგიური დახმარების სათანადო სტრატეგია; • გააცნობიერებენ ფსიქოდიაგნოსტიკური მეცნიერების როლს, ადგილსა და ფუნქციებს სხვა ფსიქოლოგიურ და მომიჯნავე დისციპლინების სტრუქტურაში; გაერკვევიან თანამედროვე ფსიქოდიაგნოსტიკის განვითარების ძირითად ტენდენციებში, რათა შეძლონ მათი გათვალისწინება საკუთარ პროფესიულ საქმიანობაში; • გაერკვევიან ფსიქოდიაგნოსტიკის და ტესტოლოგიის პრინციპული მნიშვნელობის საკითხებში; აითვისებენ სხვადასხვა ტიპის სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებთან მუშაობის საბაზისო პრინციპებს; ისწავლიან კონკრეტული ტესტებისა და ფსიქოლოგიური შეფასების სხვადასხვა მიდგომის გამოყენების,

	მიღებული შედეგების საფუძველზე კვალიფიციური დასკვნის გაკეთების ტექნიკას; • აითვისებენ მშობელთა და მასწავლებელთა ინტერვიუირებისა და კონსულტირების ძირითად პრინციპებს, რათა მათგან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით მიაგნონ ბავშვის ქცევაში წარმოქმნილი სირთულეების მიზეზებს და დასახონ სათანადო ჩარევების გზები; • გააცნობიერებენ არსებული ამოცანებისათვის რელევანტური სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტების შერჩევის, ან/და ქართულ პოპულაციაზე რესტანდარტიზაციის, სათანადო ფსიქომეტრული მახასიათებლების განსაზღვრისა და ამ ინსტრუმენტების მეშვეობით მოპოვებული მასალის მაქსიმალურად ობიექტური შეფასების მნიშვნელობას; • გააცნობიერებენ თავიანთ, როგორც ფსიქოდიაგნოსტისა თუ ფსიქოკონსულტანტის პასუხისმგებლობებს, აითვისებენ ფსიქოლოგის პროფესიული საქმიანობისათვის მნიშვნელოვან მორალურ–ეთიკურ ნორმებს და, შესაბამისად, შეიძენენ უნარს, აღიარონ და გააცნობიერონ საკუთარი კომპეტენციის ფარგლები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება / პრაქტიკული უნარები	ფსიქოდიაგნოსტიკური და საკონსულტაციო საქმიანობის წარმოების უნარები: • პრობლემის პირველად შეფასებაზე ორიენტირებული ინტერვიუს წარმართვა; • ბავშვის გამოკვლევის დაგეგმვისა და მშობლის ინტერვიუირების, ინფორმაციის შეგროვებისა და ანამნეზის ჩვევების შემუშავება; • ბავშვებთან და მოზარდებთან ჯგუფური მუშაობის დაგეგმვა და ჩატარება; • ბავშვისა და მოზარდის აქტუალური მდგომარეობის შეფასება, კოგნიტური, ემოციური და დისპოზიციური მახასიათებელების გაზომვა, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მშობელთა და მასწავლებელთა კონსულტირება; • სიმპტომატური (ამა თუ იმ პიროვნული ნიშნის გამოხატულების ხარისხის დადგენა) და ტიპოლოგიური (მიღებული მონაცემების ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრა ბავშვის მთლიან დინამიკურ სურათში) ანალიზის გაკეთება; • პიროვნებათა შორის ურთიერთობების სტილის, მოტივაციური მიმართულების, თვითშეფასების, სტრესზე რეაგირების ტიპის, ბავშვის ადაპტურობის დონის განსაზღვრა; • რთული მრავალგანზომილებიანი ინსტრუმენტების ან ინსტრუმენტთა ბატარეის გამოყენება, მათ საფუძველზე მიღებული მრავალფეროვანი მასალის ინტერპრეტირება და რაზიუმეს შედგენა; აღნიშნული უნარ–ჩვევები შესაძლებლობას მისცემს მათ იმუშაონ როგორც ბავშვებისა და მოზარდების, ისე მოზრდილთა ფსიქოდიაგნოსტიკური შეფასების სფეროში; კვლევითი უნარები: • გარკვეული ფსიქიკური მოვლენის შინაარსის შესწავლის საფუძველზე შესაბამისი ცვლადების გამოყოფა და მათი საკვლევი მეთოდების შერჩევა, მიღებული შედეგების კვალიფიციურად აღწერა, წარმოდგენა და ინტერპრეტირება; მონაცემთა ანალიზის სტატისტიკური პროგრამის SPSS–ის ძირითადი ოპერაციების გამოყენება;

	• კვლევითი სამუშაოს დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა; კვლევის განსხვავებული მეთოდების – რაოდენობრივი, თვისებრივი, case-study – გამოყენების უნარ–ჩვევები; შემოქმედებითი და ინოვაციური უნარები: • შესასწავლი ფენომენის თავისებურებათა გათვალისწინებით საკვლევ ინსტრუმენტთა ბატარეის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ამ მოვლენის მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას; • საკონსულტაციო საქმიანობის პროცესში ეკლექტური მიდგომის გამოყენება, რაც კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით სხვადასხვა თერაპიული ტექნიკების ელემენტების გამოყენებას გულისხმობს; • გარკვეული თეორიული კონსტრუქტის ემპირიულად შესწავლის მიზნით სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის კონსტრუირება და მისი ფსიქომეტრული მახასიათებლები შემოწმება; ზოგადი / ტრანსფერული უნარები: • დიალოგის წარმართვის, ნდობის და კეთილგანწყობის ატმოსფეროს შექმნის უნარი; • საჭირო მასალისა და ინფორმაციის მოპოვების, სათანადო სახითმათი გაანალიზებისა და წარმოდგენის უნარი; • იდეების პროდუცირების, სხვადასხვა შეხედულებათა კრიტიკულად განხილვის, საერთოსა და განსხვავებულის გამოყოფის საფუძველზე ახალი შეჯერებული პოზიციის ჩამოყალიბება; • ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციის უნარი, რაც გულისხმობს მდიდარი ლექსიკის გამოყენებით აზრის მკაფიოდ და გამართულად ჩამოყალიბებას, სათანადო ვიზუალური მასალის, დიაგრამების თუ გრაფიკების გამოყენებას; • თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით საჭირო ლიტერატურის მოძიება, საქმიანი კონტაქტების დამყარება უცხოელ კოლეგებთან.
კომუნიკაციის უნარი	• ჯგუფში მუშაობის, საერთო საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი; • დისკუსიის წარმართვის, დამაჯერებელი და დასაბუთებული მსჯელობის, ერთობლივი დასკვნის/ რეზიუმეს შემუშავების უნარი; • სხვადასხვა ტიპის რესპონდენტებთან – ბავშვებთან, მოზარდებთან, მათ მშობლებთან თუ პედაგოგებთან – საუბრის ადეკვატური სტილის, სათანადო ლექსიკის შერჩევის უნარი; • საკონსულტაციო თუ სადიაგნოსტიკო სამუშაოს ჩასატარებლად შესაბამისი გარემოს შექმნის უნარი; • დიაგნოსტიკური დასკვნის, რეკომენდაციების ნათლად, ყველასთვის გასაგები ენითა და კორექტული ფორმით მიწოდება; რეკომენდაციის შემუშავების პროცესში თავად შესაფასებელი პიროვნების ან მასზე პასუხისმგებელი პირის ჩართვა.

დასკვნის უნარი	• კრიტიკული მსჯელობისა და შეფასების უნარი; • ბავშვისა და მოზარდის აქტუალური მდგომარეობის შეფასების საფუძველზე დასკვნის/ დიაგნოზის დაწერა, გამოვლენილი სირთულეების შესაძლო მიზეზთა გამოკვეთა და შემდგომი განვითარების პროგნოზი; • საკონსულტაციოდ მოსულ ინდივიდთა თავისებურებებისა და მათ წინაშე არსებული პრობლემების ხასიათის გაანალიზების საფუძველზე რელევანტური სამუშაო ტექნიკების შერჩევა.
სწავლის უნარი	• მიღებული ცოდნის საფუძველზე კონკრეტული თეორიული თუ პრაქტიკული ამოცანების განსახორციელებლად საჭირო ლიტერატურის მოძიება; • ახალი ინსტრუმენტების ათვისება და მათი კვალიფიციურად გამოყენება; • ცოდნის მუდმივი განახლებისაკენ და შევსებისაკენ სწრაფვა; სწრაფვა, დროულად გაეცნონ მათი სპეციალობისა და მომიჯნავე დისციპლინების სიახლეებს და მიღწევებს; • ახალი ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისების უნარი.
ღირებულებები	• ბავშვის ფსიქოლოგიური შეფასებისა და მშობელთა კონსულტირებისას პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა; • მეცნიერული კეთილსინდისიერება; ობიექტურობა და პასუხისმგებლობა შესრულებულ სამუშასთან დაკავშირებით; • საკუთარი კომპეტენციის საზღვრების აღიარება; • თვითრეალიზაციისაკენ სწრაფვა; • ტოლერანტობა განსხვავებული აზრისა და შეხედულებების მქონე ადამიანების მიმართ.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

გამოიყენება სწავლების მეთოდთა ფართო სპექტრი. სასწავლო კურსის ხასიათი, მიზნები და ამოცანები დიდწილად განსაზღვრავს იმას, თუ რომელ მეთოდებს ენიჭება უპირატესობა ამ კონკრეტული საგნის სწავლებისას.

- მასალის მიწოდება ახსნა–განმარტებითი მეთოდით – მსჯელობა მოცემული საკითხის ირგვლივ; მასალის გადმოცემისას პედაგოგს მოჰყავს კონკრეტული მაგალითი/ ემპირიული მასალა, რომლის განხილვა ხდება შესასწავლი თემის ფარგლებში.
- წერითი მუშაობის მეთოდი – წიგნზე მუშაობა, ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებული თეორიული მასალის მოძიება, მისი გაანალიზება, ზეპირი პრეზენტაციისა და წერილობითი სახით წარმოდგენა; დამოუკიდებელი პრაქტიკული სამუშაოს /კვლევის შედეგების საფუძველზე გაკეთებული ინტერპრეტაციის წარმოდგენა; დიაგნოსტირების შედეგების მიხედვით შეფასების და ინტერვენციის პროგრამის წერილობით მომზადება/ განხილვა;
- პრაქტიკული მეთოდები – საკვლევ ინსტრუმენტთან მუშაობის სწავლება; კურსის განმავლობაში შესწავლილი მეთოდის/ ინსტრუმენტის ჩატარება, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი; სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის გამოყენებით შეფასების დამოუკიდებლად განხორციელება;
- ჯგუფური მუშაობა – დამოუკიდებელი სამუშაოს ფარგლებში მოპოვებული მასალის ჯგუფთან ერთად განხილვა; საექსპერტო შეფასების მოდელირება; როლური და სიტუაციური თამაშები, თერაპევტი – კლიენტის როლური გათამაშება (შესწავლილ თერაპიულ ტექნიკებზე დაყრდნობით) და შემდეგ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმის მიხედვით დამკვირვებლის წერილობითი შეფასების განხილვა; მონაცემთა წარმოდგენის საუკეთესო ფორმატის ერთობლივად შემუშავება;
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება დემონსტრირების მეთოდის გამოყენებით: ტრეინინგი/ ინტერვიუს ჩატარების დემონსტრირება; ფოკუს–ჯგუფური დისკუსიის და ინდივიდუალური ინტერვიუს ჩატარების დემონსტრირება; ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებების მიცემა და ანალიზის ტექნიკის ჩვენება; სტატისტიკურ პროგრამა SPSS–ის სათანადო ოპერაციების ჩვენება და სწავლება;
- შემთხვევის ანალიზი – საკვლევი შემთხვევის მოძიება; განსაკუთრებით რთული შემთხვევების შესწავლისა და საკონსულტაციო მეთოდებისა და გზების ერთობლივად შერჩევა ან შემუშავება; case–study მეთოდის გამოყენებით ჩატარებული კვლევის შედეგების წარმოდგენა და მათი განხილვა განსხვავებული მიმართულების ფსიქოთერაპიული თეორიების ჭრილში;
- გონებრივი იერიში (Brain storming) და დისკუსია - კონკრეტული თემის ფარგლებში გარკვეული საკითხის/ პრობლემის გარშემო მსჯელობა; განსხვავებული აზრებისა და იდეების ჩამოყალიბება; მათ საფუძველზე პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო გზების დასახვა.

ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესში განხორციელებული სამუშაოს შედეგები ფასდება მრავალკომპონენტიანი მეთოდით

(დასწრება სააუდიტორო და სამუშაო ჯგუფის მეცადინეობებზე, კოლოკვიუმი, პრაქტიკული სამუშაოს შესრულება, პრეზენტაცია, დასკვნითი გამოცდა). თითოეული კომპონენტის წილი საბოლოო შეფასებაში, რომელიც განისაზღვრება 100 ქულით, დამოკიდებულია სასწავლო კურსის სპეციფიკაზე და მის მიზნებზე. იმისდა მიხედვით, ეს კურსი უფრო თეორიული
თუ პრაქტიკული ხასიათისაა, დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა შეიძლება იყოს, მინიმუმ, 11–დან 21–მდე ქულების დაგროვება დანარჩენ კომპონენტებში. სტუდენტი, რომელიც მიიღებს დასკვნითი გამოცდისთვის გათვალისწინებული მაქსიმალური ქულების ნახევარს ან მასზე ნაკლებს, ვალდებულია გადააბაროს გამოცდა. გავლილი კურსის ათვისების დონის საბოლოო შეფასებისას დაგროვებულ ქულებს ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულა. საბოლოო შეფასება გამოიყვანება შეფასების 7–ბალიანი სისტემის მიხედვით:

A – ფრიადი	91 – 100	ქულა
B – ძალიან კარგი	81 – 90	ქულა
C – კარგი	71 – 80	ქულა
D – დამაკმაყოფილებელი	61 – 70	ქულა
E – საკმარისი	51 – 60	ჩააბარა
Fx ქულა – ვერ ჩააბარა (ექვემდებარება გადაბარებას)	45 - 50	
F ქულა – ჩაიჭრა (სტუდენტმა კრედიტის მიღებისთვის ხელახლა უნდა გაიაროს კურსი)	< 44	ქულა

სტუდენტების ნამუშევრები, განსაკუთრებით ეს ეხება პრეზენტაციებს, კოლოკვიუმებს და დასკვნით გამოცდას, განიხილება სამუშაო ჯგუფის ან სპეციალურად ამისთვის განკუთვნილ შეხვედრაზე. შეხვედრების მთავარი მიზანია აღინიშნოს სტუდენტების მიღწევები და გაანალიზდეს ტიპური შეცდომები, რათა ხელი შეეწყოს მასალის უკეთ ათვისებისა და სწავლის პროცესის გაუმჯობესებას.

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:
ნებისმიერი ორგანიზაცია, რომლის საქმიანობა უკავშირდება სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა აღზრდა–განვითარებას თუ სწავლებას, მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვასა და რეაბილიტაციას, მათთვის პროფესიული დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს სახელმწიფო თუ კერძო კლინიკა, სკოლა და სკოლამდელი დაწესებულება, პენიტენციალური თუ სხვა ინსტიტუცია; სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების სარეაბილიტაციო სამსახურები და ა.შ. მიღებული ცოდნის საფუძველზე მაგისტრები საჭიროების შემთხვევაში და გარკვეული გამოცდილების დაგროვების შემდეგ შეძლებენ იმუშაონ არა მხოლოდ ბავშვებისა და მოზარდების, არამედ მოზრდილთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და პროფესიული შერჩევის სფეროში. ისინი შეძლებენ განახორციელონ კვლევითი, საკონსულტაციო თუ საექსპერტო სამუშაო ბავშვთა და მოზარდთა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური პოლიტიკის სფეროში; დაიკავონ აკადემიური თანამდებობა უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებში; აგრეთვე გააგრძელონ სწავლა დოქტორანტურაში.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- აპლიკანტს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი ან სპეციალისტის დიპლომი ფსიქოლოგიაში;
- სამუშაო გამოცდილება არ არის აუცილებელი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
- სტანდარტული საგანაცხადო ფორმის შევსება საუნივერსიტეტო მოთხოვნების შესაბამისად;
- მისაღები გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში „განვითარების ფსიქოლოგია“;
- გასაუბრება ერთ–ერთ უცხოურ ენაში – ინგლისურში, გარმანულში, ფრანგულში ან რუსულში (სასურველია, აპლიკანტმა იცოდეს ინგლისური და რუსული ენა);

გამოცდის ფორმატი და საბოლოო ქულის გამოყვანის სტრუქტურა:

- წერითი გამოცდა სპეციალობაში – 70% (გამოცდის ხანგრძლივობა 4 სთ. საკითხები შესაბამისი ლიტერატურის მითითებით იხ. დანართში)
- გასაუბრება უცხოურ ენაში – ფსიქოლოგიური ტექსტის წაკითხვა და თარგმნა;

საუბრის წარმართვა არჩეულ უცხოურ ენაზე – 30%

პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს.

პროგრამის სტრუქტურა:

სამაგისტრო პროგრამა ეფუძნება მეცნიერი–პრაქტიკოსის მომზადების მოდელს და
შესაბამისად, ორიენტირებულია პრაქტიკული და თეორიული ცოდნის შეძლებისდაგავარად ინტეგრირებულ მიწოდებაზე. მაგისტრები კონკრეტულ პროფესიულ ცოდნასა და პრაქტიკულ ჩვევებს ფსიქოლოგიური დახმარების სფეროში შეიძენენ მათთვის ცენტრალური მნიშვნელობის მქონე (ფსიქოთერაპია, ფსიქოკონსულტაცია, ფსიქოდიაგნოსტიკა, განვითარების ფსიქოლოგია) და მომიჯნავე ფსიქოლოგიური დისციპლინების (დევიაციური ფსიქოლოგია, ფსიქიატრია და ფსიქოპათოლოგია) კონტექსტში. პროგრამის მეორე წამყვანი მიმართულება – ფსიქოლოგიური შეფასება – ასევე გულისხმობს ინტეგრირებულ მიდგომას. ფსიქოლოგიური გაზომვისა და დიაგნოსტიკის თეორიისა და მეთოდოლოგიის სწავლების პარალელეურად სტუდენტები აითვისებენ კონკრეტულ მეთოდებსა და ტექნიკებს, შეიძენენ თეორიული ჰიპოთეზების ემპირიული გზით შემოწმების, მეცნიერული კვლევის ჩატარებისა და მიღებული შედეგების სტატისტიკური დამუშავებისა და გაანალიზებისათვის საჭირო უნარ–ჩვევებს.

სამაგისტრო პროგრამა იძლევა საკმაოდ სერიოზულ საფუძველს სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად, ისევე, როგორც განათლების გასაგრძელებლად. ის პროფესიული სადოქტორო პროგრამის მნიშვნელოვან წინაპირობასა და საფუძველს წარმოადგენს. ამის დასტურად გამოგვადგება პროგრამის შემადგენელი სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები.

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 19 სასწავლო კურსს, მათგან 5 არჩევითი კურსია.. სასწავლო კომპონენტებისათვის

დათმობილია 80 კრედიტი; პრაქტიკისთვის – 10 კრედიტი, რაც ითვალისწინებს მაგისტრების მიერ კონსულტაციასა და ფსიქოდიაგნოსტიკაში შეძენილი ცოდნის პრაქტიკულ განმტკიცებას ბავშვებსა და მოზარდებთან მუშაობაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებში. მაგისტრები იმუშავებენ ამ ორგანიზაციათა გამოცდილი თანამშრომლებისა და პროგრამის ხელმძღვანელთა ერთობლივი მეთვალყურეობის (სუპერვიზიის) ქვეშ.

სამეცნიერო კომპონენტს (სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას) ეთმობა 30 კრედიტი. ესაა პროგრამის ერთ–ერთი სერიოზული და საპასუხისმგებლო ნაწილი. სტუდენტებმა უნდა შეასრულონ კვლევა ბავშვისა და მოზარდის პრობლემატიკის სფეროში. სამაგისტრო შრომა უნდა შეიცავდეს თეორიულ და ემპირიულ ნაწილებს, სასურველია, მასში გამოყენებული იყოს კვლევის სხვადასხვა მეთოდი ან სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი. მისი მოცულობა უნდა შეადგენდეს, სულ მცირე, 80 ნაბეჭდ გვერდს. სამაგისტრო შრომა შეიძლება შესრულდეს გამოყენებითი მეცნიერების მიმართულებით.

სტუდენტები გაივლიან პრაქტიკას იაშვილის სახ. თბილისის ბავშვთა საავადმყოფოსა (შესაბამისი სილაბუსი იხ. დანართში) და ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვების“ ბაზაზე (თანხმობის წერილი იხ. დანართში). მათ, აგრეთვე, მოუწევთ პრაქტიკული დავალებების უმეტესობის შესრულება სკოლებში. სკოლის ფსიქოლოგის ან სუპერვაიზორის მეთვალყურეობით სტუდენტები ჩაუტარებენ ბავშვებს ფსიქოდიაგნოსტიკურ შეფასებას, მიღებულ შედეგებსა და მათ საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებს/ რეზიუმეს განიხილავენ პედაგოგთან ერთად; სუპერვაიზორები წარმოადგენენ ანგარიშს სტუდენტების მიერ შესრულებული საკონსულტაციო სამუშაოს შესახებ; მაგისტრანტებს აგრეთვე ევალებათ წარმოადგინონ პრაქტიკის ადგილიდან ერთი შემთხვევა, რომელსაც თითოეული მათგანი წაიყვანს სუპერვაიზორის მეთვალყურეობით და უშუალო დახმარებით.

ა) პროგრამის სახელწოდება: ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია (ინტერდისციპლინური)

Psychological Anthropology (interdisciplinary)

ბ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის მაგისტრი
MSc in Psychological Anthropology

გ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 120 კრედიტი

დ) სწავლების ენა - ქართული

ე) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

სამაგისტრო პროგრამის – "ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია" - შექმნას წინ უსწრებდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამების - „კულტურა და საზოგადოება -ინტერდისციპლინური კვლევები", "კულტურა სოციალურ კვლევებში" და „ანთროპოლოგია: ინტერდისციპლინური კვლევები" - ფუნქციონირება. მათ მოამზადეს ბაზა წინამდებარე პროგრამის შესაქმნელად.

პროგრამის აქტუალობა და მიზანი:

პროგრამის აქტუალობას განაპირობებს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სოციალური პროცესები და სამეცნიერო ტენდენციები. XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცეში აშკარაა „ანთროპოლოგიური შემობრუნება", კაცობრიობის ცნობიერების სისტემურ-პარადიგმული პრიორიტეტები ადამიანს უკავშირდება როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ისე სამეცნიერო აქტივობის პლანში. პარადიგმის ცვლილებას ათვალსაჩინოვებს არა მხოლოდ ახალი „ანთროპოლოგიების" სიმრავლე თუ გაჩენის სიადვილე, საზოგადოდ, ამ ცნების „მოდურობა" სამეცნიერო ცნობიერებაში, არამედ კონცეპტუალური საყრდენების ვექტორის შეცვლაც: ორიენტაცია უპიროვნო „სტრუქტურებზე", „ტოპიკებსა" და „ინტერტექსტუალობაზე" იცვლება „სუბიექტურობაზე", „აქტიურ ინდივიდზე", „ავტორობაზე" შემობრუნებით. შესაბამისად, პრიორიტეტული ხდება ადამიანის მიერ აღქმადი და სიმბოლურად თუ მატერიალურად ქმნადი ყოფიერების კვლევა, ყოველდღიური ცნობიერების რეალური შინაარსები, ფსიქოლოგიური განწყობები, აღქმის სტერეოტიპები, ქცევის მოდელები, ჩვევები, მოთხოვნილებები, სოციალურ ჯგუფებს შორის კულტურულ-სპეციფიკური, ისტორიული, სოციოეკონომიკური, პოლიტიკური თუ რელიგიური ტერმინებით ინტერპრეტირებულ განსხვავებათა ახსნის ამოცანები, ღირებულებით სისტემათა კულტურული მრავალგვარობა და მათი მოდიფიკაცია ყოველდღიური გამოცდილების გავლენით და ა.შ. საზოგადოდ, „ინდივიდთა ურთიერთქმედების ქსელების, ინდივიდუალური გამოცდილების სივრციდან" ადამიანის მიერ სამყაროს კონსტრუირების პროცესები.

თანამედროვე სამეცნიერო ტენდენციების გათვალისწინებით, პროგრამა იზიარებს და ეფუძნება შემდეგ მნიშვნელოვან კონცეპტუალურ პრინციპებს:

- ანთროპოლოგიის ცნების ფართო გაგებას, რომლის თანახმად, ანთროპოლოგია არის „ადამიანური არსებების ინტეგრალური შესწავლა ყველგან და ყველა დროში". ანთროპოლოგია - ესაა ორიენტაცია ადამიანზე, როგორც ბიო-სოციო-კულტურულ სისტემურ მთლიანობაზე.

- ანთროპოლოგიის გაგებას არა უნივერსალისტური ტიპის სისტემატურ თეორიად, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მეთოდოლოგიად, „კომენტარიის უნივერსალურ ტიპად". ამ თვალსაზრისით, ანთროპოლოგია მოიაზრება მიდგომად, მთლიანობით ორიენტირად, განხილვის გარკვეულ წესად.

- „ინტერდისციპლინური სინთეზის" თანამედროვე გაგებას. "ადამიანური განზომილების" პრინციპის აქტუალიზებას თან სდევს სოციოჰუმანიტარული პარადიგმების მიზანმიმართული ინტეგრირების პროცესი. ამ კონტექსტში „ინტერდისციპლინური სინთეზი" მოიაზრებს არა უნიფიცირებად და ერთიან დისკურსზე დაყვანად კვლევის შედეგებს, არამედ შესასწავლ ობიექტთა შესახებ კარგად

დასაბუთებული, მრავალფეროვანი „კომენტარების“ სინთეზურ ერთიანობას, რომელიც ყოველი დისციპლინის ფარგლებში, დისციპლინური ტრადიციის შესაბამისად ხორციელდება გარკვეული პრობლემატიკიდან გამომდინარე, აგრეთვე, კონცეპტუალურ ინსტრუმენტარიაზე დაყრდნობით.

- ისტორიულობის პრინციპს. ისტორიულობა ადამიანისა და საზოგადოდ „ადამიანურის“ აუცილებელი ატრიბუტია. შესაბამისად, ისტორიულ-კულტურულ-სოციალურ კონტექსტში მოიაზრება არა მხოლოდ განხილვის ობიექტი (ადამიანი), არამედ კვლევის კატეგორიალური და მეთოდოლოგიური საშუალებებიც, როგორც დაქვემდებარებული დროით და სოციოკულტურულ კონტექსტურ გავლენებზე.

თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სამეცნიერო სივრცე რთული ინტერდისციპლინური პრობლემების, აგრეთვე, რამდენიმე დამოუკიდებელი დისციპლინის ინტეგრირებას ახდენს (კოგნიტური და სხვა ანთროპოლოგიები, კულტურული ფსიქოლოგია, კროსკულტურული ფსიქოლოგია, კოგნიტური ფსიქოლოგია და სხვ. თუმცა ეს განსხვავებები უფრო პირობითია, ვიდრე მკაცრი). ახალ სამეცნიერო კონტექსტში ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია ორიენტირებულია, ერთი მხრივ, კულტურულ მნიშვნელობათა ფსიქოლოგიური მიზეზებისა და შედეგების, მეორე მხრივ, ობიექტური კულტურისა და მენტალური მნიშვნელობების ურთიერთკავშირის შესწავლაზე. მისი წამყვანი კომპონენტია კულტურული და ფსიქიკური პროცესების ურთიერთქმედება.

ამგვარად, სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტებს მიაწოდოს თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის აქტუალური თემატიკა, ინტეგრალური ცოდნა და კვლევის პრობლემები იმ სტრატეგიათა შესახებ, რომლებითაც პიროვნება, ემოციები და სუბიექტურობა ყალიბდება კულტურული პრაქტიკების მეშვეობით. პროგრამის უმთავრესი ორიენტირია ადამიანური გამოცდილების კულტურულ ასპექტებზე დაყრდნობით ანთროპოლოგიური თვალთახედვის ჩამოყალიბება.

პროგრამის მეორე პრიორიტეტია მეთოდოლოგიის სფერო. კერძოდ, ანთროპოლოგიური კვლევის ემპირიულ-კვლევითი პარადიგმების საბაზისო პრინციპების გააზრება პრაქტიკული საქმიანობის კონტექსტში; უახლესი ემპირიულ/კვლევითი სტრატეგიების კრიტიკული სწავლება, ფართოდ გამოყენებადი კვლევითი ტექნოლოგიების დაუფლება; კვლევის დაგეგმვისა და დიზაინის ბაზისური პრინციპების, მონაცემთა მოპოვების, ტექსტური და სტატისტიკური ანალიზის/ინტერპრეტაციის სწავლება, აგრეთვე, ანალიტიკური, დისკუსიური, პრეზენტაციისა და სხვა, პრაქტიკული საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება.

სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია მაგისტრ-სტუდენტებში ინტერდისციპლინური აზროვნების განვითარება მომიჯნავე დარგებთან - ფილოსოფიურ და სხვა ანთროპოლოგიებთან, ლინგვისტიკასთან, ისტორიასთან, ეთნოლოგიასთან, სოციოლოგიასთან კავშირის სიღრმისეული გააზრების ბაზაზე. პროგრამა ორიენტირებულია წაახალისოს სტუდენტები საზოგადოდ ანთროპოლოგიური პრობლემების, მათ შორის, არსებული ფსიქოლოგიური და ქცევითი მიდგომებისადმი შემოქმედებით ხედვაში. პროგრამა სპეციალურ ყურადღებას დაუთმობს ფსიქოანთროპოლოგიურ პრობლემათა კონტექსტში საქმიანობას განწყობის თეორიის შემდგომი დამუშავების მიზნით.

პროგრამა, ასევე, ორიენტირებულია მაგისტრ-სტუდენტებში შემეცნებითი და გამოყენებითი პლანის ინტერესების, განსხვავებულ ქვეყნებში მიღებულ მონაცემთა ახლებური გააზრებისა და ინტერპრეტაციის აქტუალიზებაზე, მათ დაინტერესებაზე რეალური კვლევებით საქართველოსა და, ზოგადად, კავკასიის რეგიონში.

ვ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ✓ პროგრამაში სწავლის უფლება აქვთ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, აგრეთვე ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრის ხარისხი;
- ✓ პროფესიის გამოცვლის მსურველ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ ბაკალავრის ხარისხი საბუნებისმეტყველო, ზუსტი (ბიოლოგია, მათემატიკა, ფიზიკა, მედიცინა), ტექნიკური მეცნიერებებისა და მენეჯმენტის სფეროებში;
- ✓ პროგრამა ღიაა ბაკალავრის ხარისხის მქონე პირებისთვის, ვინც დაინტერესებულია რომელიმე კონკრეტული სფეროს (მასმედია, პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, ეკონომიკა, სამართალი და ა.შ.) ფსიქოანთროპოლოგიური ასპექტებით;
- ✓ პროგრამა ასევე ღიაა 2010/11 წლის (პროგრამის მოთხოვნების შესაბამისი) ბაკალავრის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულებისთვის, აგრეთვე ხუთწლიანი სწავლების დიპლომის მქონე პირებისთვის.

მსურველთა ასაკი შემოისაზღვრება საერთო-საუნივერსიტეტო სტანდარტების შესაბამისად.

პროგრამაზე ჩაბარების მოთხოვნაა ერთიან ეროვნულ სამაგისტრო გამოცდებზე მინიმალური ქულის მიღება.

ჩარიცხვა იწარმოებს სპეციალობაში დაწერილი ესესა და გასაუბრების საფუძველზე.

ზ) სწავლის შედეგი:

პროგრამული სწავლება მოიაზრებს პირველ საფეხურზე მიღებული განათლების გაღრმავებასა და კურსდამთავრებულთათვის საინტერესო იდეების რეალიზაციის შესაძლებლობას. სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულებს ექნებათ:

ცოდნა და გაცნობიერება - ტრადიციული და თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც მოიცავს ამ სფეროსთვის აუცილებელ ტერმინოლოგიურ/ცნებით აპარატს, თეორიულ მოდელებს, აგრეთვე, სემიოტიკის თეორიულ და მეთოდოლოგიურ თავისებურებებს; კურსდამთავრებულებს ექნებათ უახლესი ინფორმაცია მნიშვნელოვან სამეცნიერო თემებზე, როგორიცაა: კულტურული მოდელები, როგორც მენტალური კომპლექსები, მათი დადგინება და ამ პროცესში ფსიქიკური პროცესების (შემეცნების, ემოციების, აღქმების, მოტივაციების) კულტურული გაგების როლი; სოციალიზაციის კულტურულ-სპეციფიკური მოდელები და მათი ეფექტები; განვითარებისა და ინკულტურაციის გზები, ადამიანური შემეცნების, ემოციების, აღქმების, მოტივაციებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ფორმირების პროცესები, კულტურული მსგავსება/განსხვავებების მრავალფეროვანი (მენტალური, სემიოტიკური, ლინგვისტური და ა.შ.) მახასიათებლების აღმწერი შესაძლებლობები, საზოგადოდ, ფსიქოანთროპოლოგიური ასპექტების ფორმირების პროცესები თანამედროვე პრაქტიკის კონტექსტში; ექნებათ ცოდნა ემპირიული კვლევის მეთოდოლოგიური

პრინციპების, კვლევის მეთოდებსა და ანალიზთან დაკავშირებული სპეციალური საკითხების შესახებ. ეს ცოდნა კურსდამთავრებულს აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავებისა და ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გაცნობიერების საშუალებას;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი -
კონსულტირება და დაგეგმვა:
წვლილის შეტანა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთა უკონფლიქტო თანაარსებობის ხელშემწყობ პრობლემათა ანალიზსა და სტრატეგიული პროექტების დაგეგმვაში, დამსაქმებელთა კონსულტირება.
კვლევითი უნარები:
ფსიქოანთროპოლოგიურ მახასიათებელთა ადეკვატურად გამოყენება კვლევის მონაცემთა ანალიზისას.
ფსიქოანთროპოლოგიურ პრობლემათა საკვლევად ადეკვატური პრინციპების საფუძველზე მეთოდების შერჩევა/გამოყენება, კვლევის დაგეგმვა;
კვლევით მოპოვებული მასალის ტექსტური და მათემატიკური ანალიზი.
კვლევის წარმართვა.
კვლევითი პროდუქციის (პროექტების) წარმოება და სრულყოფილი სახით წარდგენა.

დასკვნის უნარი - რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;

კომუნიკაციის უნარი - დისკუსიის წარმართვის, საკუთარი ნაშრომისა და მოსაზრებების, არგუმენტაციის, დასკვნებისა და კვლევის შედეგების საჯარო წარდგენის;
აკადემიურ/პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე კორექტული კომუნიკაციის აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და მიღწევათა გათვალისწინებით;
არგუმენტების დამარწმუნებლად ფორმულირებისა წერილობითი და ვერბალური ფორმით;

გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვის, პასუხისმგებლობის განაწილების.

სწავლის უნარი - რთული და არასრული ინფორმაციის, აგრეთვე, უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებისა; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის.

ღირებულებები: პროგრამა ორიენტირებულია შემდეგ ღირებულებათა დამკვიდრებაზე:

- პროფესიული ეთიკური ნორმების (პროფესიონალთა ურთიერთპატივისცემა და აღიარების მზაობა, კვლევებში მონაწილე ადამიანთა უფლებების დაცვა, რეალური კვლევითი მონაცემების წარმოდგენა, ყოველგვარი ანგაჟირებულობის მიუღებლობა) მიდევნება;
- განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა;
- კულტურათა ეფექტური დიალოგისთვის კულტურებსა და კონტექსტებს შორის განსხვავებების ცოდნა/გათვალისწინება;

- სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული კომუნიკაციისთვის ინტერპერსონალური კომპეტენტურობის (იზომორფული ატრიბუცია, ქცევის ანალიზის უნარი, სხვათა მოლოდინების ცოდნა და საჭიროებისამებრ, გათვალისწინება და სხვ.) ფლობა;
- აგრესიული ეთნოცენტრიზმის მიუღებლობა;
- მრავალეროვან კოლექტივში თანამშრომლობისთვის ეთიკური სტანდარტების გაცნობიერება და დაცვა;
- საზოგადოდ, საქმიან ურთიერთობებში ეთიკური ნორმების დაცვა.
- ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

კურსდამთავრებულებს, აგრეთვე, გამომუშავებული ექნებათ ზოგადი (ტრანსფერული) -აბსტრაქტული აზროვნების, მოვლენათა კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის, ახალი იდეების გენერირების, ცოდნის მუდმივი განახლების, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზის, დისკუსიის წარმართვის, საკუთარი ნაშრომისა და მოსაზრებების საჯარო წარდგენის - უნარები.

მრავალგვარი სოციოკულტურული სფეროს კვლევა/პროგნოზირების მოთხოვნილების არსებობის პირობებში კურსდამთავრებულთა წარმატებული პროფესიული საქმიანობა გულისხმობს შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენებას სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში. შესაბამისად, მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა კომპეტენცია მოიცავს ისტორიის, ენის, პრაქტიკებისა და კონცეპტუალური კატეგორიების მქონე კულტურულ ჯგუფთა სპეციფიკური თავისებურებების დადგენას, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთა უკონფლიქტო თანაარსებობის ხელშემწყობ პრობლემათა ანალიზს, მონაწილეობას ანთროპოლოგიური სტრატეგიების დაგეგმვაში, სოციოკულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროს დინამიკის შემსწავლელ კვლევებში, აგრეთვე, მათ უზრუნველყოფას რეალისტური და სიღრმისეული კონსულტაციებით.

კურსდამთავრებულთა მიერ შეძენილი ჩვევების გამოყენება შესაძლებელია მრავალგვარ სფეროში (ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია, განათლება, განვითარება, სოციალური მუშაობა, მენეჯმენტი და სხვ.).

მაგისტრატურის კურსდამთავრებულს ექნება საუკეთესო ბაზა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სწავლის დამოუკიდებლად გასაგრძელებლად.

თ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები ასახულია სილაბუსებში (იხ. დანართი 1)

ი) სამაგისტრო შრომის დაცვა.
შეფასების კრიტერიუმები:
სამაგისტრო შრომის დაცვა ფასდება 100 ბალიან სკალაზე, აქედან:
1. რეცენზენტის შეფასება – 50 ქულა
2. ხელმძღვანელის შეფასება – 20 ქულა
3. პრეზენტაციის შეფასება – 30 ქულა
პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები:

- ✓ საპრეზენტაციო ტექსტის სტრუქტურა - 7
- ✓ მოსაზრებათა არგუმენტირებულად გადმოცემა -10
- ✓ კვლევის მიზნებისა და შედეგების/დასკვნების შესაბამისობა - 8
- ✓ რეგლამენტირებულობა მოთხოვნების შესაბამისად (12-15 წთ), ენობრივი გამართულობა -5

კ) სასწავლო გეგმა.

სწავლების ორგანიზება

პროგრამა მოიცავს პროგრამისთვის სავალდებულო და არჩევით კურსებს. თავის მხრივ, არჩევითი კურსები წარმოდგენილია კურსების სამი კატეგორიით: სფეროსთვის სპეციფიკური კურსებით, კვლევითი კომპონენტის ამსახველი კურსებით და კურსებით მომიჯნავე სამეცნიერო სფეროებიდან. სავალდებულო კურსები წარმოდგენილია 3 თეორიული და 2 კვლევითი კომპონენტის ამსახველი კურსებით. პირველ და მეორე სემესტრში სტუდენტებს მიეწოდება 2 სავალდებულო 5 კრედიტიანი კურსი, დანარჩენ 20 კრედიტს სტუდენტი ავსებს არჩევითი კურსებიდან, მესამე სემესტრში მიეწოდება 5 კრედიტიანი 1 სავალდებულო კურსი, ხოლო დანარჩენ 25 კრედიტს ავსებს 8 არჩევითი კურსიდან.
ყველა სალექციო კურსი 5 კრედიტიანია. ამგვარად, პროგრამისთვის სავალდებულო კურსები ფარავს 25 კრედიტს, არჩევითი კურსები ფარავს 65 კრედიტს, სამაგისტრო ნაშრომს ეთმობა 30 კრედიტი. სულ - 120 კრედიტი.

პროგრამისთვის სავალდებულო- 25 კრედიტი
- შემაჯამებელიგამოცდა: 0 - 30ქულა. შემაჯამებელიგამოცდატარდებაწერითიფორმით სემესტრის დასრულების შემდეგ. ფასდება ყველა ძირითადი სალექციოსაკითხებისცოდნისადაგაცნობიერებისდონე. დამუშავებულილიტერატურისსისრულე, ლოგიკურიაზროვნების, აზრისმკაფიოდგადმოცემისადამსჯელობისუნარი, წერითიმეტყველებისკულტურა. შემაჯამებელგამოცდაზეგანსაკუთრებულიყურადღებაუნდამიექცესცოდნისსინთეზისადაახალიიდეებისკონსტრუირებისუნარს.

შემაჯამაბელგამოცდაზედაიშვებასტუდენტი, რომელსაცშუალედურიშეფასებებისადაშემაჯამებელიგამოცდისმაქსიმალურიქულისგათვალისწინებითშესაძლებელიადაუგროვდეს51ქულა. შემაჯამებელი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუკი სტუდენტი გამოცდაზე მიიღებს გამოცდის მაქსიმალური ქულის ნახევარზე მეტს.

ცოდნის საბოლოო შეფასება ხდება დაგროვილი ქულების საერთო ჯამით შემდეგი სქემის შესაბამისად:

ქულებისრაოდენობა	ნიშანი	შეფასება	სტუდენტისცოდნისშეფასებისკრიტერიუმები
91-100	A	ფრიადი	სასწავლო კურსის ყველა კომპონენტის მოთხოვნა ზედმიწევნით არის შესრულებული. სტუდენტი ავლენს საგნის ღრმა ცოდნას, ერუდირებულია, გააჩნია გამორჩეული ლოგიკური და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი. გამოავლინა სასწავლო-საპროგრამო მასალის ათვისებისა და გადმოცემისას შემოქმედებითი მიდგომის, აგრეთვე თეორიული ცოდნის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის გამოყენების, ანალიტიკური და კრიტიკული შეფასების უნარი და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევები. მაღალ დონეზე ფლობს ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს.
81-90	B	ძალიანკარგი	სასწავლო კურსის ყველა კომპონენტის მოთხოვნა კარგად არის შესრულებული (მცირე ხარვეზებით) სტუდენტი ავლენს საგნის კარგ ცოდნას, ლოგიკურად და დამოუკიდებლად მსჯელობს. გამოავლინა სასწავლო-საპროგრამო მასალის ათვისებისა და გადმოცემისას შემოქმედებითი მიდგომის, აგრეთვე თეორიული

			ცოდნის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის გამოყენების, ანალიტიკური და კრიტიკული შეფასების უნარი და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევები. კარგად ფლობს ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს.
71-80	C	კარგი	სასწავლო კურსის კომპონენტების მოთხოვნები ძირითადად შესრულებულია. სტუდენტი ავლენს საგნის საკმაოდ კარგ ცოდნას, აითვისა პროგრამით რეკომენდირებული ძირითადი ლიტერატურა, უმნიშვნელო შეცდომებს უშვებს დამოუკიდებლად მსჯელობისას. გამოამჟღავნა დამოუკიდებელი მუშაობის პრაქტიკული ჩვევები, აგრეთვე შემდგომში სასწავლო მუშაობისა თუ პროფესიული საქმიანობისას შეძენილი ცოდნის დამოუკიდებლად შევსება-განახლების უნარ-ჩვევები. საშუალოდ ფლობს ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს.
61-70	D	დამაკ-მაყოფილე-ბელი	სასწავლო კურსის მოთხოვნების შესრულების ხარისხი დამაკმაყოფილებელია (მნიშვნელოვანი ხარვეზებით). სტუდენტი ავლენს საგნის საშუალო დონის ცოდნას, რაც საკმარისია შემდგომში სწავლისა და მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის. შეზღუდულია შესაბამისი თემატიკის ირგვლივ დამოუკიდებელი მსჯელობისას. უნარი შესწევს მიღებული ცოდნის დამოუკიდებლად შევსება-განახლებისა შემდგომში სასწავლო მუშაობისა თუ პროფესიული საქმიანობის დროს. გამოამჟღავნა საპროგრამო მასალის თეორიული ცოდნის ელემენტარული პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის გამოყენების უნარი, დამოუკიდებელი მუშაობის მინიმალური ჩვევები. დამაკმაყოფილებლად ფლობს ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს.
51-60	E	საკმარისი	სასწავლო კურსის მოთხოვნები შესრულებულია მინიმალურად. სტუდენტი ავლენს საგნის ცოდნას საკმაოდ შეზღუდულ ფარგლებში. დამოუკიდებლად მსჯელობისას უშვებს ბევრ უზუსტობებს. სრულად არ იცნობს რეკომენდებულ ძირითად ლიტერატურას. დისციპლინის სწავლების პროცესში გამოამჟღავნა ლოგიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი მიდგომის მინიმალური დონე. ნაწილობრივ ავლენს ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს.
41-50	FX	ვერჩააბარა	სასწავლო კურსის მოთხოვნები შესრულებულია მინიმალურად. სტუდენტი ვერ ავლენს საგნის თეორიულ ცოდნას. პრაქტიკულად ვერ მსჯელობს საგნის საკითხების შესახებ. დაუშვა პრინციპული შეცდომები პროგრამით გათვალისწინებული დავალების შესრულების დროს. ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს რეკომენდებულ ძირითად ლიტერატურაზე. ფაქტიურად ვერ ავლენს

			ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს, მაგრამ ინტენსიური მეცადინეობის შედეგად და მასწავლებელთან კონსულტაციების შემდეგ შეძლებს სასწავლო კურსის მოთხოვნების სათანადო დონეზე დაკმაყოფილებას.
0-40	F	ჩაიჭრა	მიუხედავადგამოცდაზედაშვებისა (დაგროვილიაქვსარანაკლებ21ქულა) სტუდენტმაკრედიტისმიღებისათვისთავიდანუნდაგაიაროსსასწავლოპროგრამა.

შემაჯამებელი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუკი სტუდენტი გამოცდაზე მიიღებს გამოცდის მაქსიმალური ქულის ნახევარზე მეტს.

1. შეფასებისმეთოდები:

შესაფასებელი კომპონენტები:

- ლექციაზე აქტიურობის შეფასება;
- დამუშავებული ლიტერატურის სისრულის, ლოგიკური აზროვნების, აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარის შეფასება პრაქტიკულ მეცადინეობაზე;
- წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის შეფასება პრაქტიკუმისა და გამოცდების დროს;
- სალექციო თემების ათვისების უნარის შეფასება შუალედური გამოცდების დროს;
- ცოდნის სინთეზისა და იდეების კონსტრუირების უნარის შეფასება ფინალური გამოცდის დროს.

შეფასების მეთოდები:

- ტესტირება;
- ზეპირი გამოკითხვა;
- წერითი დავალება;
- ჯგუფური/ინდივიდუალური დანართის პრეზენტაცია;

შეფასების ფორმები:

- ყოველკვირეული შეფასება;
- შუალედური შეფასება;
- შემაჯამებელი გამოცდა

სამაგისტრო პროგრამის დასახელება სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია Social, Political and Cultural Psychology (მილევადი პროგრამა)

2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია და აკადემიური ხარისხი:

სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრი MA in Social Psychology.

3. სამაგისტრო პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი

4. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლების ენა: ქართული

5. სამაგისტრო პროგრამის მიზანი:

სოციალური ფსიქოლოგიის კონცენტრაციის აქტუალობა და მიზნები: პროგრამის მიზანია სტუდენტებმა მიიღონ ღრმა ცოდნა ფსიქოლოგიის ისეთ ფუნდამენტურ დარგში როგორიცაა - სოციალური ფსიქოლოგია. შეისწავლონ ადამიანის სოციალურ ბუნება, სოციალურ ფსიქოლოგიური ფენომენები, პიროვნების სოციალური მახასიათებლებისა და სოციალური გარემოს გავლენა ადამიანის ქცევაზე.

პოლიტიკური ფსიქოლოგიის კონცენტრეაციის აქტუალობა და მიზნები: პოლიტიკური ფსიქოლოგია შეისწავლის ფსიქოლოგიური ფაქტორების როლს ინდივიდისა და ჯგუფების პოლიტიკური ქცევის რეგულაციაში და პირიქით, პოლიტიკური ფაქტორების და მოვლენების გავლენას ფსიქიკურ პროცესებზე. ის თანამედროვე ფსიქოლოგიურ თეორიებს, ცნებებს და მეთოდებს იყენებს პოლიტიკოსების პიროვნული თავისებურებების, მათი გადაწყვეტილებების და ქცევების ასახსნელად. ასევე, პოლიტიკური ფსიქოლოგიის ინტერესის სფეროშია პოლიტიკური ჯგუფების დინამიკისა და ჯგუფთაშორისი ურთიერთობების ფსიქოლოგიური ფაქტორების ანალიზი. ინდივიდებისა და ჯგუფების ძალაუფლებისაკენ სწრაფვის, მოტივაციის, მიღწევის და ძალაუფლების შენაჩუნების ტექნოლოგიების ფსიქოლოგიური და სოციალურ ფსიქოლოგიური მექანიზმების შესწავლა. აქედან გამომდინარე, კურსის მიზანია, მოამზადოს მკვლევარი/პრაქტიკოსი, რომელსაც შეეძლება თავისი ცოდნის გამოყენება პოლიტიკაში ჩართულ პიროვნებებთან და ჯგუფებთან ურთიერთობაში, კერძოდ, უშუალოდ პოლიტიკურ პროცესებთან და მოვლენებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება, გაანალიზება, წარდგენა, დასაბუთებული რეკომენდაციების გაცემა და კონსულტაციების გაწევა, შესაბამისი პირებისა და ორგანიზაციებისათვის. ასევე, სამეცნიერო კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

კულტურული ფსიქოლოგიის კონცენტრაციის აქტუალობა და მიზნები: დღეისათვის, კულტურული ფსიქოლოგია წარმოადგენს თანამედროვე ფსიქოლოგიის ერთ-ერთ სწრაფად განვითარებად დარგს, რომელიც წარმოიშვა ფსიქოლოგიისა და სხვა მოსაზღვრე დარგების, პირველ რიგში კი ეთნოლოგიისა და კულტურული ანტროპოლოგიის გადაკვეთაზე. მან განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა ერთის მხრივ, გლობალიზაციის პროცესის დაჩქარებისა და მეორე მხრივ, ამ პროცესისადმი სხვა და სხვა ფორმით გაწეული "კულტურული" წინააღმდეგობის პროცესში. მის განვითარებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მცირე სახელმწიფოებისა და ერების კულტურული "გადარჩენის" თვალსაზრისით. კულტურული ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მთავარი მიზანია სტუდენტებს მისცეს გაღრმავებული ცოდნა კულტურულ ფსიქოლოგიაში, მის კვლევის მეთოდებსა და მოსაზღვრე დარგებში, გამოუმუშაოს მკვლევარისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. აგრეთვე, სტუდენტმა შეასრულოს თეორიული და ემპირიული კვლევითი საქმიანობა და დაწეროს მაღალ დონეზე შესრულებული სამაგისტრო შრომა.

სამაგისტრო პროგრამის ამოცანებია:

ცოდნა:

- სოციალურ ფსიქოლოგიაში;
- პოლიტიკურ ფსიქოლოგიაში;
- კულტურულ ფსიქოლოგიაში;
- კვლევის რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებში;
- ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობებში;
- მონაცემტა სტატისტიკური დამუშავების მეთოდებში;
- ფსიქოლოგიის სხვა მონათესავე სფეროებში.

კვლევა:

- ექსპერიმენტული კვლევის პრაქტიკული ჩვევების შეძენა;
- კვლევის ჰიპოთეზების ფორმულირება და მათი ექსპერიმენტული შემოწმება;
- კვლევის შედეგების ანალიზი, განზოგადება და დასკვნის გაკეთება.

ცოდნისა და ჩვევების პრაქტიკული გამოყენება

- სოციალურ ფსიქოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციების გაცემა;
- პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციების გაცემა;
- კულტურული კონტექსტის გათვალისწინება პრაქტიკულ საქმიანობაში;
- პრაქტიკული და გამოყენებითი კვლევების ჩათარება;
- გამოყენებითი კვლევების ანგარიშის დაწერა.

6. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

სამაგისტრო პროგრამაში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ პირებმა, ვისაც აქვს:

ბაკალავრის ხარისხი.

ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე.

სამაგისტრო პროგრამაში ჩასარიცხად აუცილებელია:

- საერთო სამაგისტრო გამოცდის ქულა;
- . წერითი გამოცდა სოციალურ ფსიქოლოგიაში;
- სამოტივაციო წერილი;

7. სწავლის შედეგი.
დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება:
ცოდნა სოციალური ფსიქოლოგიის, პოლიტიკური ფსიქოლოგიის და კულტურული ფსიქოლოგიის დარგებში:
- აღნიშნული დარგების ძირითადი ცნებების ცოდნა და გააზრება;
- აღნიშნული დარგების ძირითადი თეორიული მიმდინარეობების ცოდნა და გააზრება;
- აღნიშნული დარგების მეთოდოლოგიის და პრინციპების ცოდნა;
- აღნიშნული დარგების ძირითადი ფენომენების ცოდნა;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:
- პრაქტიკული და გამოყენებითი კვლევის დაგეგმვა და ჩატარება;
- მონაცემების შეგროვება და გაანალიზება;
- კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია და პრობლემის განსაზღვრა;
- კვლევის ანგარიშის დაწერა;
- კონკრეტული პრობლემის მიხედვით მისი გადაწრვეტის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება;
- კონსულტაციის გაცემა:
- პრობლემის გადაჭრის მონიტორინგი.

ზოგადი /ტრანსფერული კომპეტენციები:
- მულტიდისციპლინურ გუნდში მუშაობა;
- პროფესიული ეთიკის ცოდნა.

დასკვნის უნარი:
ინფორმაციის შედარებითი ანალიზი,
არგუმენტაციისა და კრიტიკული ანალიზის უნარი,
ფაქტებისა და იდეების სისტემატიზაცია, ანალიზი და შეფასება,
ჰიპოთეზის ფორმულირება.
კომუნიკაციის უნარი
მშობლიურ ენაზე საკუთარი მოსაზრებებისა და კვლევითი ანგარიშის ნათლად და მკაფიოდ ჩამოყალიბება;
დისკუსიის წარმართვა და პოლემიკის კორექტულად წარმოების ჩვევები;
ელექტრონულ საძიებო სისტემებში საჭირო ინფორმაციის მოძიება;
კვლევის შედეგების ეფექტურად წარმოდგენა და პრეზენტაცია;
ჯგუფში მუშაობა და თანამშრომლობა;

დამარწმუნებელი კომუნიკაციის უნარი;
ემპათია.
სწავლის უნარი:
დამოუკიდებელი მუშაობა და დასწავლის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება;
დროის ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარი;
დამოუკიდებლად მასალის ორგანიზება და სტრუქტურირება;
გამოცდილებისა და უკვე დასწავლილის ახალ ცოდნასთან დაკავშირება;
სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის კომბინირება და ინტეგრირება.
ღირებულებები:
ფსიქოლოგის საქმიანობის ეთიკური ნორმების დაცვა,
დამკვეთის უფლებების პატივისცემა,
დამკვეთის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა,
სამოქალაქო საზოგადოებისათვის დამახასიათებელი დემოკრათიული ღირებულებების პათივისცემა და მათი საზოგადოებაში დანერგვის ხელშეწყობა.

8. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები
ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.
წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტების მიერ პრაქტიკული დავალებების შესრულებას და აუდიტორიაში წაკითხვა-განხილვას; ასევე გულისხმობს ესსესა თუ რეფერატის დაწერას.
დისკუსია/დებატები – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
ელექტრონული სწავლებით - შერეული ფორმა, რომელიც არ გამორიცხავს საუდიტორიოო მეცადინეობებს, არამედ მისი მეშვეობით პროფესორი ამრავლფეროვნებს კურსს. პროფესორი ელექტრონულ პორტალზე ანთავსებს სასწავლო მასალებს, პრეზენტაციებს; სხვადასხვა ვიდეო თუ აუდიო ფაილებს; იყენებს სასწავლო ფორუმებს, როგორც სტუდენტთა დისკუსიის ერთ-ერთ ფორმას; მიმართავს ელექტრონულ ტესტირებას, როგორც შუალედური ან დასკვნითი გამოცდის ფორმას;
ჯგუფური მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
წიგნზე მუშაობის მეთოდი

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
შემთხვევის ანალიზი (Case study) - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს - მაგალითებს მედიიდან, რომლებსაც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან.
გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად ბევრი, რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.
როლური და სიტუაციური თამაშები - სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
ახსნა–განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

9. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება თსუ-ში დადგენილი და მიღებული შეფასების სისტემით.

განვლილი კურსის ათვისების დონის საბოლოო შეფასება შემდეგნაირად მოხდება: სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების კომპონენტების მიხედვით დაგროვილ ქულებს დაემატება საბოლოო წერით გამოცდაზე მიღებული ქულა. საბოლოო შეფასება გამოიყვანება შეფასების 7-ბალიანი სისტემით:

A _ უმაღლესი	91 _ 100	ქულა
B _ ძალიან კარგი	81 _ 90	ქულა
C _ კარგი	71 _ 80	ქულა

D _ დამაკმაყოფილებელი 61 _ 70 ქულა
E _ საკმარისი 51 _ 60 ქულა
Fx _ ჩაჭრილი (ექვემდებარება გადაბარებას) 45 - 50 ქულა
F_ ჩაჭრილი (არ ექვემდებარება გადაბარებას) < 44 ქულა

კრედიტი მიენიჭება თუ გადალახავს 51 ქულას.

სამაგისტრო შრომა: სოციალურ, პოლიტიკურ ან კულტურული ფსიქოლოგიის სფეროში ექსპერიმენტული ან ემპირიული კვლევა. კვლევითი ნაშრომის შეფასება 100 ქულიანია. შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმებით:

კვლევითი ნაშრომის შეფასების სქემა

	შეფასების კრიტერიუმი -	ქულა
1	საკითხზე თანამედროვე ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი	10
2	საკითხის დაყენება, ჰიპოთეზის, კვლევის მიზნისა და ამოცანების ფორმულირება	10
3	ექსპერიმენტული კვლევის დაგეგმვა და დიზაინი	10
4	შედეგების ანალიზი ამოცანებისა და კვლევის ჰიპოთეზის მიხედვით	10
5	სტატისტიკური მეთოდების ცოდნა და ადეკვატური გამოყენება მონაცემთა დამუშავებისათვის	10
6	მონაცემების თეორიული ინტერპრეტაციის უნარი და არსებულ კვლევებთან მიღებული შედგების მიმართება	10
7	დასკვნების შესაბამისობა კვლევის ჰიპოთეზასა და ამოცანებთან	10
8	ნაშრომის სტრუქტურა და გაფორმება თვალსაჩინო საშუალებებით	10
9	ნაშრომის ენობრივ-გრამატიკული მხარე	10
10	კვლევის ორგანიზება, წარმართვა და მონაცემების შეგროვების აკურატულობა	10

სადიპლომო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება თუ სტუდენტი გადალახავს 61 ქულას.

10. სასწავლო გეგმა (იხ. დანართი 1)
პროგრამა შედგება სამი კონცენტრაციისაგან:
სოციალური ფსიქოლოგია;
პოლიტიკური ფსიქოლოგია;
კულტურული ფსიქოლოგია.
კონცენტრაციებს გააჩნიათ საერთო საგნები – 65 კრედიტი (საკურსო ნაშრომისა და პრაქტიკის ჩათვლით).
კონცენტრაციისს მაპროფილებელი საგნები – 25 კრედიტი.

სამაგისტრო შრომა (არჩეული მოდულის შესაბამისი) – 30 კრედიტი.
11. პროგრამის ხელმძღვანელები: (იხ. დანართი 2)

შალვა აბზიანიძე ასოცირებული პროფესორი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ტელეფონი 222490. 252095 (სამსახური). 599559362 (მობილური) ელ-ფოსტა: socpsy@myoffice.ge
ალან ლამბერტი ჯორჯ ვოშინგტონის უნივერსიტეტის (სენტ ლუისი, აშშ) ასოცირებული პროფესორი

12. დასაქმების სფეროები:
კურსდამთავრებულებს, რომლებმაც გაიარეს სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, შესაძლებლობა ექნებათ გააგრძელონ სწავლა და კვლევითი საქმიანობა დოქტურანტურაში, შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, შემდგომი კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის პერსპექტივით, ასევე იმუშაონ სხვა და სხვა სახელმწიფო ორგანოებში, ანალიტიკურ ცენტრებში, პოლიტიკური პარტიების აპარატებში, მასმედიაში, არაასამთავრობო ორგანიზაციებში და ყველგან სადაც ხდება სოციალური, პოლიტიკური, ეთნო-კულტურული ინფორმაციის შეგროვება, პროცესების ანალიზი და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება და მნიშვნელოვანია პიროვნული, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორების გათვალისწინება.
უნდა აღინიშნოს, რომ ყველა კურსდამთავრებული, რომელმაც დაამთავრა მაგისტრატურა სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგიის სპეციალობით დასაქმებულია ზემოთ აღნიშნულ ორგანიზაციებში და უკავიათ მაღალანაზღაურებადი თანამდებობები.

13. დამატებითი ინფორმაცია:
პროგრამაზე შესაძლებელია 10 მაგისტრის მიღება.

14. ინფორმაცია პროგრამის განხორციელების აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ
სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტის განხორციელება არ საჭიროებს რაიმე სპეციალურ დაფინანსებას, პირობებსა და მეტერიალურ ტექნიკურ ბაზას. მისი განხორციელება სრულიად შესაძლებელია ჩვეულებრივი საოფისე ტექნიკის საფუძველზც, ფსიქოლოგიის მიმართულების ბაზაზე. მიმართულებას გააჩნია მუშა მდგომარეობაში მყოფი პერსონალური კომპიუტერები და ქსეროკოპირების აპარატი. სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან აქვე არსებული ბიბლიოთეკითა და პროფესურის პირადი წიგნების ფონდით, აგრეთვე ინტერნეტ რესურსებით, რაც სრულიად საკმარისია პროგრამის კვლევითი კომპონენტის უზრუნველყოფისათვის.

დანართი 1.
სამაგისტრო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები
პროგრამა ორ წლიანია და მოიცავს საერთო, სავალდებულო საგნებს და მოდულის მაპროფილებელ სავალდებულო და არჩევით საგნებს:
სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგიის ძირითად და დამხმარე თეორიულ კურსებს;

სემინარებს, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგიისა და მოსაზღვრე დარგების ძირითადი ლიტერატურის ათვისების მიზნით;
ფსიქოლოგიური და პოლიტიკური მეცნიერებების კვლევის მეთოდების გაღრმავებულ შესწალას;
მონაცემების სტატისტიკური დამუშავების, ანალიზის, და პრეზენტაციის კომპუტერული პაკეტების გაღრმავებულ შესწავლას;
სოციალურ-პოლიტიკური და ეთნო-კულტურული მოვლენებისა და პროცესების ფსიქოლოგიური ანალიზის პრაქტიკას (Case stadies);
კვლევით საქმიანობას აქტუალური სამეცნიერო ან პრაქტიკული პრობლემის შესწავლის მიზნით.
სტუდენტს უფლება ეძლევა თავისი სურვილისამებრ აირჩიოს მოდული. პროგრამის ყველა სასწავლო კურსი (მოდულის მაპროფილებლების ჩათვლით) არის სავალდებულო ან სავალდებულო არჩევითი.

კვლევითი კომპონენტი:
სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტი განხორციელდება ფსიქოლოგიის მიმართულებაზე. პროგრამის ხელმძღვანელისა და თანამშრომლების ხელმძღვანელობით. პროგრამის კვლევითი კომპონენტის განხორციელება არ მოითხოვს რაიმე განსაკუთრბულ ხარჯებს და ხორციელდენა ხელმძღვანელის პირადი და საგრანტო დაფინანსების საფუძველზე. სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ფსიქოლოგიასთან დაკავშირებული სამაგისტრო პროგრამები და შესაბამისად მათი კვლევითი კომპონენტიც, ხორციელდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო სწავლების შემოღების დროიდან, ამ ხნის განმავლობაში დაცულია 50-ზე მეტი სამაგისტრო შრომა. პროგრამის ფარგლებში, სამაგისტრო ნაშრომს არ წაეყენება რაიმე განსაკუთრებული მოთხოვნები, გარდა ერთისა, ის სრულად უნდა აკმაყოფილებდეს მისადმი წაყენებულ საერთო საუნივერსიტეტო მოთხოვნებს და წარმოადგენდეს ან ეფუძნებოდეს ემპირიულ კვლევას.
სოციალური ფსიქოლოგიის კონცენტრაციის კვლევითი კომპონენტის შინაარსი
დღეისათვის შემოთავაზებულია პროგრამის კვლევითი კომპონენტის სამი მიმართულება, ამასთან, კონკრეტული თემების დასახელება სცილდება მოცემული პროგრამის ფარგლებს, დადგინდება ინდივიდუალურად და განხილვის შემდეგ დამტკიცდება, წესის შესაბამისად, ფაკულტეტის აკადემიურ საბჭოზე:
მოზარდთა აგრესია საქართველოში: სოციალურ ფსიქოლოგიური საფუძვლები და პრევენცია
დღეისათვის, მოზარდთა აგრესია იქცა საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციალურ პრობლემად. სავარაუდოდ, მას საფუძვლად უდევს სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორები, რომლებიც აღწერილია შესაბამის ლიტერატურაში და სპეციფიური სახით ვლინდებიან ქართულ რეალობაში. მათი შესწავლა და პრევენციის გზების ძიება იქნება კვლევითი კომპონენტის მიზანი.
სოციალური განწყობების სტრუქტურა, დინამიკა და ფუნქციები
ყურადღება გამახვილდება სოციალური განწყობების ჩამოყაალიბებისა და შეცვლის კანონზომიერებების დადგენაზე და განწყობის ზოგად ფსიქოლოგიურ თეორიასთან მისი მიმართების საკითხებზე. კვლევის სფეროში შემოვა სოციალურ განწყობასა და ცნობიერებას შორის და სოციალურ განწყობასა და ქცევას შორის ურთიერთმიმართების საკითხები.
მიგრაციის გადაწყვეტილების მოღების ფსიქოლოგიური საფუძვლები

მიგრაცია ქვეყნის გარეთ და ჭვეყნის შიგნით არის საქარტველოში არსებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალურ-დემოგრაფიული პრობლემა, რომელსაც მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მხარეებიც გააჩნია, მათ შორის უმთავრესია მიგრაციის გადაწყვეტილების მიღება. კვლევაში ყურადღება დაეთმობა იმ სოციალურ ფსიქოლოგიური ფაქტორების კვლევას რომლრბიც განაპირობებენ ამ გადაქყვეტილებების მიღებას.

პოლიტიკური ფსიქ ოლოგიის კონცენტრაციის კვლევითი კომპონენტის შინაარსი

დღეისათვის შემოთავაზებულია პროგრამის კვლევითი კომპონენტის ოთხი მიმართულება, ამასთან, კონკრეტული თემების დასახელება სცილდება მოცემული პროგრამის ფარგლებს, დადგინდება ინდივიდუალურად და განხილვის შემდეგ დამტკიცდება, წესის შესაბამისად, ფაკულტეტის აკადემიურ საბჭოზე:

პოლიტიკური კოგნიცია და პოლიტიკური მითოლოგია

ყურადღება გამახვილდება და კვლევის საგანი იქნება ისეთი შედარებით ახლად აღმოჩენილი ფსიქოლოგიური ფენომენები როგორიცაა: კოლექტიური მეხსიერება და ჯგუფური აზროვნება, მათი გავლენა პოლიტიკური მითოლოგიის ფორმირებაზე და პირიქით, პოლიტიკური მითოლოგიის გავლენა ზემოთ აღნიშნულ ფსიქოლოგიურ ფენომენებზე. კერძოდ, კვლევების საგანი იქნება პოლიტიკური ცნობიერების მითოლოგიზაციის პროცესი, მასზე მომქმედი პიროვნული და ჯგუფური ფაქტორები. პოლიტიკური მითების ჩამოყალიბებისა და შეცვლის პროცესი. მითებისა და ფსიქოლოგიის ტრადიციული ცნებების - ღირებულებები, სოციალური განწყობა, სტერეოტიპები, ნორმები და ა.შ. ურთიერთმიმართება. მითების სტრუქტურტული და დინამიური მახასიათებლები. მითების როლი პოლიტიკური მოვლენებისა და ფიგურების აღქმაში, ზოგადი შთაბეჭდილების (იმიჯის) ფორმირებასა და პოლიტიკური ქცევის დეტერმინაციაში.

პოლიტიკური იდეოლოგიების ფსიქოლოგიური საფუძვლები

პოლიტიკურ იდეოლოგიებთან ასოცირდება მთელი რიგი პოლიტიკური ღირებულებები, სტერეოტიპები, როლები, ნორმები, ქცების სტანდარტები და პიროვნული თავისებურებები. შესაბამისად პოლიტიკური იდეოლოგიები შეიძლება განხილული იქნას არა მხოლოდ ‘‘იდეების’’ დონეზე, არამედ შესაძლებელია მათი კორელატების აღწერა პიროვნების, სიტუაციისა და მცირე ჯგუფების დონეზეც. ამდენად, იდეოლოგიები შეიძლება განხილული იქნას, როგორც პოლიტიკური და ყოველდღიური ქცევების ფსიქოლოგიურ დეტერმინანტები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმიბა ნაციონალიზმს, კონსერვატიზმს და ლიბერალიზმს.

პოლიტიკური ქცევის დეტერმინანტები

ეს მიმართულება უშუალო კავშირშია, კვლევების ზემოთ განხილულ მიმართულებებთან, მაგრამ ამ შემთხვევაში აქცენტი გაკეთდება ქცევის არახ შინაარსობლივ კომპონენტებზე, არამედ ფორმალურზე – ქცევის მოდელებზე (ძირითადად როკიჩი, ფიშბაინი, აიზენი, უზნაძე და მოწაფეები) და მათ ვალიდობაზე პოლიტიკური ქცევის ასახსნელად.

პოლიტიკური აქტივობის კულტურული კონტექსტი

ძირითადი ყურადღება დაეთმობა კონფლიქტისა და მოლაპარაკებების სტრატეგიების კულტურულ მოდელებს. კონფლიქტის, კონფლიქტური სიტუაციის, და პიროვნული და ჯგუფური ‘‘ღირსების’’ კულტურულ განსაზღვრებებს. შიდა და გარე ჯგუფების (ingroup და outgroup) ფენომენების კულტურულ დეტერმინაციას. კონფლიქტის მიმდინარეობის, ეტაპების და ქცევითი გამოვლინებების კულტურულ კონტექსტს.

კულტურული ფსიქოლოგიის კონცენტრაციისკვლევითი კომპონენტის შინაარსი

დღეისათვის შემოთავაზებულია პროგრამის კვლევითი კომპონენტის სამი ზოგადი მიმართულება, ამასთან, კონკრეტული თემების დასახელება სცილდება მოცემული პროგრამის ფარგლებს, დადგინდება ინდივიდუალურად და განხილვის შემდეგ დამტკიცდება წესის შესაბამისად, ფაკულტეტის აკადემიურ საბჭოზე:

განწყობა – პიროვნება – კულტურა

ძირითადი ყურადღება დაეთმობა განწყობის თეორიაში კულტურის ცნების შემოტანასა და მის მოდიფიცირებას თანამედროვე კულტურული ფსიქოლოგიის მიღწევების შესაბამისად. ეს, თავისთავად აყენებს რიგ ახალ საკითხებს: განწყობის როგორც ფენომენის განხილვას, არა მხოლოდ პიროვნების დონეზე, არამედ ჯგუფური განწყობის (ჯგუფის როგორც მთლიანის), არსებობის საკითხს და მის მიმართებებს სხვა ისეთ ჯგუფურ ფენომენებთან როგორიცაა: ჯგუფური აღქმა, კოლექტიური მეხსიერება, ჯგუფური აზროვნება და ჯგუფური ქცევა. ასეთ მიდგომის პირობებში, ჯგუფური აქტივობის სუბიექტის როლში გამოდის ჯგუფი, როგორც მთლიანობა, ხოლო აქტივობის ობიექტური ფაქტორის როლში კი კულტურა. ყურადღება გამახვილდება ეთნიკურ და სხვა კულტურულ ჯგუფებზე. ცხადია, რომ ამ მიმართულებით მუშაობა მოიცავს ფართო თეორიულ და ემპირიულ კვლევებს.

ინტერპერსონალური და ინტერჯგუფური ურთიერთობების კულტურული კონტექსტი

ძირითადი ყურადღება დაეთმობა ინტერპერსონალური და ინტერჯგუფური კონფლიქტის კულტურულ დეტერმინანტებს და თავისებურებებს. კონფლიქტური სიტუაციის, პიროვნული და ჯგუფური "ღირსების" კულტურულ განსაზღვრებებს. შიდა და გარე (ingroup და outgroup) ჯგუფური ფენომენების კულტურულ დეტერმინაციას. კონფლიქტის მიმდინარეობის, ეტაპების და ქცევითი გამოვლინებების კულტურულ კონტექსტს. კონფლიქტის გადაწყვეტისა და მოლაპარაკებების ტრადიციულ მეთოდებსა და ფორმებს. კონფლიქტისა და მოლაპარაკებების სტრატეგიების კულტურულ მოდელებს.

ქართული კულტურის ფსიქოლოგიური მახასიათებლები

გლობალიზაციის პირობებში, ხდება კულტურათა ასიმილაცია, მრავალი კულტურული ჯგუფის თავისებურებების ნიველირება და გაქრობა. ეს განსაკუთრებით ეხებათ მცირე ერებს. სულ მალე გაქრება ამ ერებისთვის დამახასიათებელი მრავალი ისეთი სოციალური და კულტურული თავისებურება, რომლებიც არაა მატერიალური და არაა დაფიქსირებული წერილობით, ან რაიმე სხვა ფორმით. მაგალითად ინტერპერსონალური, ოჯახური, მეზობლური, მეგობრული, გენდერული, მცირე ჯგუფების ურთიერთობების ფორმები და მათი სხვა კულტურული მახასიათებლები. გლობალიზაციის გავლენით, ცვლილებას განიცდის მთელი კულტურული კონტექსტი, რომელიც, დღეისათვის, მოცემული ჯგუფის სოციალური და ფსიქიკური აქტივობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია და რომელიც, უახლოეს ხანებში, სრული გაქრობის საშიშროების წინაშე დგას. აქედან გამომდინარე, კვლევების ამ მიმართულების მიზანია ემპირიულად შეისწავლოს ქართული კულტურის ფსიქოლოგიური მახასიათებლების ფართო წრე და მოახდინოს მათი შედარებითი ანალიზი სხვა კულტურებში შესწავლილ (და ლიტერატურაში ასახულ) ფსიქოლოგიურ მახასიათებლებთან.

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: განათლების მეცნიერებები / Education Sciences

აკადემიური ხარისხი: განათლების მეცნიერებების მაგისტრი / Master of Education

სპეციალიზაცია: განათლების მეცნიერებები/ Education Sciences; განათლების პოლიტიკა/ Educational Politics; განათლების კვლევები/ Researche in Education

პროგრამა შედგება შემდეგი მოდულებისაგან:

1. განათლების სფეროს ხელმძღვანელობა და მართვა

Educational Leadership and Management

2. განათლების პოლიტიკა

Educational Politics/ Expert of Educational Sciences

3. განათლების კვლევები

Researche in Education

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: ოთხი სემესტრი (120 კრედიტი) სამაგისტრო პროგრამაში 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 90 კრედიტი სასწავლო კომპონენტი (75 კრედიტი სავალდებულო, 15 კრედიტი არჩევითი); 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომი.

სწავლების ენა : ქართული

პროგრამის მიზანი: საზოგადოების განვითარების შესაბამისად, ქვეყნის განათლების სისტემა პერმანენტულად იცვლება და ვითარდება. განათლების სისტემაში ცვლილებების გონივრულ გატარებას შესაბამისი დარგის სპეციალისტები ესაჭიროება. მით უფრო საჭიროა ასეთი სპეციალისტების მომზადება ჩვენი ქვეყნისათვის, ვინაიდან საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესები აუცილებლობით აყენებს მისი განათლების სისტემის ძირეულ ცვლილებებს. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს ისეთი უნარებითა და კომპეტენციებით აღჭურვილი სპეციალისტის მომზადება, რომელიც წარმატებით გაუძღვება ქვეყანის განათლების სისტემაში მიმდინარე სერიოზულ ცვლილებებს, შეძლებს დააკმაყოფილოს განათლების სფეროს ხელმძღვანელი მუშაკისადმი წაყენებული მოთხოვნები. ამასთანავე მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს პედაგოგიკის მეცნიერების განვითარების საქმეში.

განათლების სფეროს ხელმძღვანელობისა და მართვის მოდულის მიზანია: შეასწავლოს სტუდენტს განათლების მართვის ძირითადი პრინციპები და განუვითაროს ამ სფეროში მოღვაწეობისათვის საჭირო უნარები. გააცნოს განათლების ეკონომიკისა და მართვის ძირითადი ცნებები და კავშირები, განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები, სკოლის შეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპები, სწავლების პროცესში მოზარდის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზებისთვის აუცილებელი პირობები. პროფესიული განვითარების პრინციპები. სტუდენტს განუვითაროს განათლების კვლევის პრაქტიკული უნარები, პრაქტიკისა და თეორიის ერთმანეთთან ეფექტურად დაკავშირების უნარი;

განათლების პოლიტიკის მოდულის მიზანია: მოამზადოს განათლების ექსპერტი.შეუქმნას სტუდენტს საფუძველი განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებისა და ქართული საგანმანანათლებლო სივრცის საჭიროებების გაცნობიერებისა და განვითარებისათვის. მისცეს სტუდენტს თეორიული ცოდნა განათლების პოლიტიკის საკითხებში, განუვითაროს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და ხარისხის მართვის პრაქტიკული უნარები, საერთაშორისო გამოცდილების ქართულ საგანმანათლებლო სივრცეცთან ადაპტირების უნარი, ქართული ბაზარის საჭიროებების განსაზღვრისა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის უნარი.

განათლების კვლევების მოდულის მიზანია: მოამზადოს განათლების მკვლევარი, მისცეს სტუდენტს აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწობისათვის, განათლების სხვადასხვა სფეროში საქმიანობისათვის. შეასწავლოს ზოგადი და უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები; მისი წყაროები და ცნებები; მეცნიერული კვლევის მეთოდები; სწავლება/სწავლების პროცესის სპეციფიკა; სწავლების ორგანიზაციის ფორმები; სწავლების პრინციპები და მეთოდები; მოსწავლეთა და სტუდენტთა შემეცნებითი უნარების აქტივიზაციის გზები.

მიღების წინაპირობა:

- ნებისმიერი დარგის ბაკალავრი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- წერითი გამოცდა პედაგოგიკაში;
- ინგლისური/გერმანული/ფრანგული ენის B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B 2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).

პროგრამის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება

- პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა იცოდეს: პედაგოგიკურ/ფსიქოლოგიური დისციპლინები;
- მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემების აგების პრინციპები;
- საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა;
- საგანმანათლებლო სივრცეში არსებული აკრედიტაციისა და ევალუაციის მოდელები;
- ბოლონიის პროცესის ამსახველი დოკუმენტები;
- ზოგადი და უმაღლესი განათლების მეთოდოლოგიური საფუძვლები და თანამედროვე ტექნოლოგიები;
- ქვეყნის განათლების სისტემის საკანონმდებლო ბაზა;
- პედაგოგიური კვლევის მეცნიერული მეთოდები;
- განათლების ეკონომიკისა და მართვის ძირითადი პრინციპები;

- განათლების ისტორია;
- ზრდასრულთა განათლების საკითხები;
- განათლების პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები და თეორიები.
- მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.

განათლების სფეროს ხელმძღვანელობა და მართვა

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა იცოდეს: პედაგოგიკურ/ფსიქოლოგიური დისციპლინები; საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა; ბოლონიის პროცესის ამსახველი დოკუმენტები; ზოგადი და უმაღლესი განათლების მეთოდოლოგიური საფუძვლები და სწვლების თანამედროვე ტექნოლოგიები; ქვეყნის განათლების სისტემის საკანონმდებლო ბაზა; პედაგოგიური კვლევის მეცნიერული მეთოდები; განათლების ეკონომიკისა და მართვის ძირითადი პრინციპები; ზრდასრულთა განათლების საკითხები;

განათლების პოლიტიკა

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა იცოდეს: პედაგოგიკურ/ფსიქოლოგიური დისციპლინები; მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემების აგების პრინციპები; საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა; საგანმანათლებლო სივრცეში არსებული აკრედიტაციისა და ევალუაციის მოდელები; ბოლონიის პროცესის ამსახველი დოკუმენტები; ზოგადი და უმაღლესი განათლების მეთოდოლოგიური საფუძვლები და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები; ქვეყნის განათლების სისტემის საკანონმდებლო ბაზა; განათლების ისტორია; განათლების პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები და თეორიები, განათლების პოლიტიკის აგების ძირითადი პრინციპები, განათლების პოლიტიკისა და ქვეყნის ეკონმიკის ურთიერთმიმართების საკითხები.

განათლების კვლევები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა იცოდეს:

პედაგოგიკურ/ფსიქოლოგიური დისციპლინები; საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა; საგანმანათლებლო სივრცეში არსებული აკრედიტაციისა და ევალუაციის მოდელები; ბოლონიის პროცესის ამსახველი დოკუმენტები; ზოგადი და უმაღლესი განათლების მეთოდოლოგიური საფუძვლები და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები; უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, ანდროგოგიკა/ზდასრულთა პედაგოგიკა/ ქვეყნის განათლების სისტემის საკანონმდებლო ბაზა; პედაგოგიური კვლევის მეცნიერული მეთოდები;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ხედვა მსოფლიო კონტექსტში;
- ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამის საკანონმდებლო ბაზის შექმნაში მონაწილების მიღება;

- საგანმანათლებლო სისტემის ყველა დონეზე განათლების ხარისხის შეფასება;
- მეცნიერული კვლევის დაგეგმვა და განხორციელება;
- ტრეინინგ-კურსებისა და სემინარების ორგანიზება და გაძღოლა;
- კონკრეტული საგანამანთლებლო ობიექტის მიზნისა და მისიის განსაზღვრა, ხელმძღვანელობა და მართვა;
- საგანმანათლებლო დოკუმენტაციის დამუშავება;
- სხვადასხვა კონტექსტში უმაღლესი განათლების პრობლემების თანამშრომლობით გადაწყვეტა, პერსონალური და ფართო ავტონომიური ინიციატივების გამოჩენა;
- უმაღლესი განათლების მმართველობის სფეროსთან ინსტიტუციურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე საკუთარი პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობის ადაპტირება;
- საშუალო და უმაღლესი საგანათლებლო დაწესებულების კონცეპტუალური ხედვის ჩამოყალიბება და მისიის განსაზღვრა განათლების სფეროში ქვეყნის პოლიტიკის გათვალისწინებით.
- მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.

განათლების სფეროს ხელმძღვანელობა და მართვა

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს: კონკრეტული საგანამანთლებლო ობიექტის მიზნისა და მისიის განსაზღვრა, ხელმძღვანელობა და მართვა; სასწავლო დაწესებულების ხარისხის მართვა; საკუთარი საქმიანობუს თვითშეფასება; საგანმანათლებლო დოკუმენტაციის დამუშავება; ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამის საკანონმდებლო ბაზის შექმნაში მონაწილების მიღება; ტრეინინგ-კურსებისა და სემინარების ორგანიზება; საშუალო და უმაღლესი განათლების მმართველობის სფეროსთან საკუთარი პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობის ადაპტირება.

განათლების პოლიტიკა

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს: საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ხედვა მსოფლიო კონტექსტში; ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამის საკანონმდებლო ბაზის შექმნაში მონაწილების მიღება; საგანმანათლებლო სისტემის ყველა დონეზე განათლების ხარისხის შეფასება; მეცნიერული კვლევის დაგეგმვა და განხორციელება; საშუალო და უმაღლესი საგანათლებლო დაწესებულების კონცეპტუალური ხედვის ჩამოყალიბება და მისიის განსაზღვრა განათლების სფეროში ქვეყნის პოლიტიკის გათვალისწინებით.

განათლების კვლევები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს: ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამის საკანონმდებლო ბაზის შექმნაში მონაწილების მიღება პედაგოგიკის მეცნიერებაზე დაყრდნობით. საგანმანათლებლო

სისტემის ყველა დონეზე განათლების ხარისხის შეფასება; მეცნიერული კვლევის დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის შედეგების გათვალისწინება საკუთარ საქმიანობაში; საგანმანათლებლო დოკუმენტაციის დამუშავება; უმაღლესი განათლების მმართველობის სფეროსთან ინსტიტუციურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე საკუთარი პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობის ადაპტირება;

დასკვნის უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს:

- საგანმანათლებლო კონცეფციებისა და თეორიებისა სისტემური ანალიზის უნარი;
- დარგობრივი ცოდნის ასპექტებისა და საგანმანათლებლო პოლიტიკაში მათ გამოყენებას შორის პოტენციური კავშირების იდენტიფიცირების უნარი;
- რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი

კომუნიკაციის უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა შეეუძლოს:

- პროფესიულ სფეროში აკადემიურ დონეზე ზეპირი და წერითი კომუნიკაცია;
- პროფესიულ თემებზე არგუმენტირებული მსჯელობის, დიალოგისა და დასკვნების დასაბუთება;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება პროფესიულ დონეზე კომუნიკაციისათვის;
- პროფესიულ ჯგუფში მუშაობა, როგორც წევრის, ასევე ლიდერის როლში.
- საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და უცხო ენაზე შექმნის უნარი აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით;
- ქართულ და უცხო ენაზე პრეზენტაციის წარმართვის უნარი;

სწავლის უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- სამუშაოს დამოუკიდებლად დაგეგმვა და ორგანიზება საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- ახალი საგანმანათლებლო საჭიროებებისა და მოთხოვნების დანახვა/განჭვრეტა და, შესაბამისად, საკუთარი სწავლის დაგეგმვა;
- ახალი პროფესიული მასალის მოძიება და დამოუკიდებლად სწავლა.

ღირებულებები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- საკუთარი საქმიანობის შეფასება და თვითკრიტიკა;
- საზოგადოებრივ-კულტურული და ზნეობრივი ღირებულებების შეფასება და დამკვიდრებაში მონაწილეობის მიღება;
- პროფესიულ–ეთიკური ნორმების დაცვა;

- სხვადასხვა კულტურისადმი პატივისცემა, ღირებულებათა ფორმირებაში კულტურისა და განათლების როლის მნიშვნელობის გააზრება.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლის შედეგები მიიღწევა ტრადიციული და თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების კომბინირებით, კერძოდ: ზეპირსიტყვერი მეთოდები – დიალოგი, მონოლოგი, წიგნზე მუშაობის მეთოდები, ახსნითი და დამოუკიდებელი კითხვა, პრაქტიკულ–ლაბორატორიული მეთოდები, წერითი მეთოდები – რეფერატი, პროექტი; დისკუსია/დებატები, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ევრისტიკული მეთოდი, შემთხვევის ანალიზი (Case study), როლური და სიტუაციური თამაშები, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება (E-learning).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

დასაქმების სფეროები
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- განათლების რეგიონული და რაიონული მმართველობის ხელმძღვანელი, თანამშრომელი;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეფორმის განმახორციელებელი სექტორის ხელმძღვანელი, თანამშრომელი;
- საუნივერსიტეტო პედაგოგიურ მეცნიერებათა მასწავლებელი;
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული თუ შინაარსობრივი მართვის კონსულტანტი;
- განათლების საკითხებით დაკავებული არასამთავრობო სექტორი.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ქეთევან ჭკუასელი CV – იხ. დანართი 3

დამატებითი ინფორმაცია:

კვლევითი კომპონენტი
პედაგოგიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითი თემატიკა:
1. აღზრდის, განათლების და სწავლების პროცესი ყველა ტიპის სკოლაში – (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, უმაღლესი სკოლა, პროფესიული სკოლა) და სკოლამდელ დაწესებულებაში;
2. სოციუმის გავლენები მოზარდის აღზრდასა და განვითარებაზე;
3. ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ მოზარდთა აღზრდის პრობლემები;
4. მცირეწლოვანთა სამართალდარღვევის პრობლემები;
5. ყველა ტიპის სკოლის სტრუქტურული და ორგანიზაციული მომენტები, ხელმძღვანელი კადრისა და მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები, სწავლება სწავლის საკითხები;
6. განათლების რეფორმის საკითხები – საშუალო და უმაღლესი სკოლა;
7. ცალკეულ საგანთა სწავლების მეთოდიკის საკითხები ყველა ტიპის სკოლაში.

სწავლის გაგრძელების საშუალება:
აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლა სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში განალების მეცნიერებების სპეციალობით.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:

ქეთევან ჭკუასელი – პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; თამაზ კარანაძე – ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; ეთერ ღვინერია – ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; იზაბელა პეტრიაშვილი – ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; ეფემია ხარაძე – პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ პროფესორი; ნინო ჩახუნაშვილი – პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ პროფესორი; რუსუდან სანაძე – მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეცნიერებების დოქტორი; ნინო რევიშვილი – მოწვეული მასწავლებელი; თამარ ლომიაშვილი – მოწვეული მასწავლებელი; ნინო კოპალეიშვილი – მოწვეული მასწავლებელი; რევაზ აფხაზავა – მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეცნიერებების დოქტორანტი; ზაქარია ქიტიაშვილი – მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეცნიერებების დოქტორანტი; დავით წამალაშვილი – მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეცნიერებების დოქტორანტი; ფიქრია ვარდოსანიძე – მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეცნიერებების დოქტორანტი; თეონა ლოდია – მოწვეული მასწავლებელი, ფსიქოლოგი; თინათინ დოლიძე – მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეცნიერებების დოქტორანტი; მაგდა კობახიძე – მოწვეული მასწავლებელი; შალვა ტაბატაძე – მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეცნიერებების დოქტორანტი; ლელა სამნიაშვილი – მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეცნიერებების დოქტორანტი.
ბიოგრაფიული მონაცემები (CV) იხ. დანართი № 3

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

დამატებითი პროგრამა განხორციელდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტისა და პედაგოგიკის ინსტიტუტის ბაზაზე, სადაც არსებობს ქართული და უცხოენოვანი ბიბლიოთეკა (ინგლისური, გერმანული, რუსული), მუდმივი ორი აუდიტორია და სალექციო აუდიტორიები, კომპიუტერები, ინტერნეტი.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის დამატებითი საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: მასწავლებელთა განათლება / Taecher Education

აკადემიური ხარისხი: მასწავლებლის განათლების მაგისტრი / Master of Education in Teacher Education

სპეციალიზაცია: ფიზიკის/მათემატიკის/ბიოლოგიის/ქიმიის/ისტორიის/გეოგრაფიის/ქართულის/
ინგლისურის/გერმანულის/ფრანგულის/რუსულის/რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდიკა
Methodology of Teaching Physics/ Biology/ Chemistry/ History/ Geography/ Georgian Language/ English Language / German Language / French Language / Russian Language / Russian as a Foreign Language

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: ოთხი სემესტრი (120 კრედიტი) სამაგისტრო პროგრამაში 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 90 კრედიტი - სასწავლო კომპონენტი (55 კრედიტი პედაგოგიური ციკლის დისციპლინები და პრაქტიკა, 35 კრედიტი მოდულის დისციპლინები); 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომი.

სწავლების ენა : ქართული

სამაგისტრო პროგრამის მიზანი:
ქვეყანაში მიმდინარე განათლების რეფორმა საჭიროებს ახალი, პრინციპულად განსხვავებული მასწავლებლის მომზადებას. ასეთ მასწავლებელს უნდა გააჩნდეს ისეთი უნარები, როგორიცაა ლიდერობა, ინიციატიურობა, შემოქმედებითობა, სასწავლო პროგრამისა და გეგმის განვითარების დამოუკიდებელი ხედვა, მოსწავლეთა სწავლისადმი მოტივირება და სხვა. ამასთან, ამ ტიპის მასწავლებელი უნდა ფლობდეს მეთოდისტ-მასწავლებლის უნარებსაც, რომელზეც განსაკუთრებული აქცენტი კეთდება განათლების კანონში. ბუნებრივია,

ასეთი კადრის მომზადება მოითხოვს სპეციალურ სასწავლო პროგრამას, რომელშიც ასახული იქნება თანამედროვე მოთხოვნები მასწავლებლისა და დარგის მეთოდიკის სპეციალისტის მიმართ და რომელიც შესაბამისობაში იქნება მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცესთან. ამ უნარების განვითარებას ემსახურება წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა.

პროგრამა მოიცავს თორმეტ მოდულს. ესენია: ფიზიკის სწავლების მეთოდიკა; მათემატიკის სწავლების მეთოდიკა; ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკა; ქიმიის სწავლების მეთოდიკა; ისტორიის სწავლების მეთოდიკა; გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკა; ქართულის სწავლების მეთოდიკა; ინგლისურის სწავლების მეთოდიკა; გერმანულის სწავლების მეთოდიკა; ფრანგულის სწავლების მეთოდიკა; რუსულის სწავლების მეთოდიკა; რუსულის, როგორც მეორე უცხო ენის სწავლების მეთოდიკა;.

მათემატიკის სწავლების მეთოდიკის მოდულის მიზანია: ახალი ეროვნული სასწავლო პროგრამების იმ ნაწილის მეცნიერული საფუძვლების დაუფლება, რომელიც ალგებრასა და ალგებრულ კანონზომიერებებს შეეხება; გეომეტრიის და სივრცის აღქმის მიმართულების შესაბამისი საკითხების უფრო ღრმა შესწავლა და თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისება; სასკოლო მათემატიკის სტრუქტურისა და შინაარსის მეცნიერული საფუძვლების გახსნა, თანამედროვე მათემატიკის, პედაგოგიკის, ლოგიკისა და ფსიქოლოგიასთან კავშირის გათვალისწინებით; რიცხვის ცნების განვითარების კანონზომიერების მეთოდოლოგიური საკითხების შესწავლა, რიცხვის სხვადასხვა ასპექტის, რიცხვებზე მოქმედებების გააზრება. მთელ რიცხვთა თვისებების იმ საკითხების განხილვა, რომლებიც მათემატიკური აპარატის სხვადასხვა გამოყენებისას იჩენს თავს.

ფიზიკის სწავლების მეთოდიკის მოდულის მიზანია: ფიზიკის სწავლების მეთოდიკის სპეციალისტის მომზადება, რომელსაც შეუძლია არა მარტო მაღალ მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე ასწავლოს დარგი საშუალო სკოლაში, არამედ მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესის ორგანიზებაში, რეფორმირებასა და მეცნიერულ კვლევაში. მაგისტრანტი საფუძვლიანად დაეუფლება დარგის სწავლების მეთოდიკას, განახლებული სასკოლო სტანდარტის შესაბამისი ახალი ტიპის ფიზიკის ამოცანების ამოხსნის მეთოდებს, განუვითარდება ინტერაქტიური მუშაობისთვის საჭირო ჩვევები, გაეცნობა სასწავლო პროცესში ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის გამოყენებით ასპექტებს, შეძლებს გამოიყენოს თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიები, აითვისოს პედაგოგიკური კვლევის მათემატიკური მეთოდები. ფაქტობრივი ცოდნის თვალსაზრისით მაგისტრანტი შეისწავლის: სიმეტრიას და შენახვის კანონებს, ფარდობითობის სპეციალური თეორიის ელემენტებს, ატომური და სუბატომური ფიზიკის ელემენტებს, ფიზიკური ეკოლოგიის ელემენტებს და სხვ.

ქიმიის სწავლების მეთოდიკის მოდულის მიზანია: ქიმიის სწავლების მეთოდიკის სპეციალისტის მომზადება, რომელიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი კომპეტენციებით ქიმიის მიმართულებით; ექნება ქიმიის მასწავლებლისა და მეთოდიკის სპეციალის¬ტისათვის საჭირო ცოდნა და უნარები. მოდულის მიზანია იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომელიც აუცილებელია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისთვის. ანუ მოდელირების, მსჯელობა-დებატების, მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების წარმოჩენის, კვლევის შედეგების ანალიზის და შეფასების, ექსპერიმენტულ სამუშაოებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების განსაზღვრის, დასახული მიზნის შესაბამისი სხვადასხვა ტიპისა და სირთულის ექსპერიმენტული სამუშაოების შერჩევისა და შედგენის უნარ-ჩვევების განვითარება.

ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკის მოდულის მიზანია: ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკის სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების ცოდნა. მან უნდა შეძლოს სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვა და ორგანიზება, სწავლების ეფექტური მეთოდების გამოყენება, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელება, შეფასების

მეთოდებისა და სტრატეგიების პრაქტიკულად გამოყენება ბიოლოგიის სწავლების პროცესში; სპეციალიზებულ სწავლებასთან ერთად, ინტერდისციპლინური და ზოგიერთ შემთხვევაში, მულტიდისციპლინური მიდგომა სასიცოცხლო პროცესებისა და მექანიზმების უკეთ გაგების მიზნით; ობიექტის ან მოვლენის შესასწავლად მონაცემების ექსპერიმენტული ან უშუალო დაკვირვების გზით მოპოვება; ბიოლოგიური ექსპერიმენტის წარმართვისა და დემონსტრირების უნარის შემუშავება; ექსპერიმენტის მიზნის, ამოცანების, მიღებული შედეგების მრავალმხრივი გაანალიზება; პრაქტიკულ სამუშაოებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების (ცოცხალ ორგანიზმებთან, ქიმიურ რეაქტივებთან დაკავშირებული) განსაზღვრა და პრევენცია; ციტოლოგიური და გენეტიკური კვლევის თანამედროვე მეთოდების გაცნობა.

გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკის მოდულის მიზანია: კურსის მიზანია გააცნოს მაგისტრანტს სასკოლო გეოგრაფიის მეცნიერული საფუძვლები, სკოლაში გეოგრაფიის სწავლების მიზანი, ამოცანები და მნიშვნელობა; აჩვენოს თუ რა მსგავსება და განსხვავებაა სასკოლო გეოგრაფიასა და გეოგრაფიულ მეცნიერებას შორის. შეასწავლოს გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკის საფუძვლები, საშუალო სკოლაში გეოგრაფიული განათლების მიზნების და ამოცანების სწავლება/სწავლის ძირითადი პრინციპები, გეოგრაფიული კვლევის მეთოდები; გეოგრაფიის მეცნიერების კვლევის ტრადიციული და უახლესი მეთოდები; გეოგრაფიული პროგნოზირების გამოყენების უნარ–ჩვევები. მისცეს საჭირო ცოდნა და გამოუმუშავოს შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ეფექტურად მართვის უნარ-ჩვევები; განუვითაროს უნარი სასწავლო მიზნებისა და სწავლების სტრატეგიების ურთიერთშეთანხმებისა სტანდარტის მოთხოვნილების გათვალისწინებით.

ისტორიის სწავლების მეთოდიკის მოდულის მიზანია: გააცნოს მაგისტრანტებს საშუალო სკოლაში ისტორიის სწავლების მიზნები და ამოცანები, სკოლაში ისტორიის სწავლების მეთოდიკის თეორიული საფუძვლები, ჩამოუყალიბოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები ისტორიის სწავლების მეთოდებისა და ხერხების, სწავლების ორგანიზაციის ფორმების გამოყენების თვალსაზრისით. განუვითაროს მოვლენების ისტორიული ხედვის და კრიტიკული გააზრების უნარი როგორც ნაციონალური, ასევე მსოფლიო ისტორიის კონტექსტში, ასევე საქართველოს ისტორიის ცოდნა კავკასიის რეგიონთან და იმ ცივილიზაციებთან მიმართებით, რომლებთანაც ის ისტორიულად იყო დაკავშირებული.

ქართულის სწავლების მეთოდიკის მოდულის მიზანია: მოამზადოს საგნის (ქართული ენა და ლიტერატურა) სწავლების მეთოდიკის სპეციალისტი, რომელიც ფლობს კვლევის თანამედროვე მეთოდებს, სწავლების როგორც ტრადიციულ, ისე ინო¬¬ვაციურ ფორმებსა და ხერხებს, პედაგოგოგიკისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის სადღეისო მიღწევებს; ასევე, ექნება ქართულის სწავლების შინაარსის, მიზნის, ამოცანებისა და განხორციელების გზების საფუძვლიანი ცოდნა. მაგისტრანტს შეეძლება საკითხების ახლებური ინტერპრეტაცია, ქართულის სწავლების შინაარსისა და ძირითადი დებულებების მოაზრება ზოგადპედაგოგიურ კონტექსტში; დარგობრივ სფეროში არსებული მრავალფეროვანი პრობლემატიკის გაანალიზება და სასკოლო გარემოში მათი სწავლებისთვის ოპტიმალური მეთოდების მოძიება; როგორც კონკრეტული საგნის დიდაქტიკის, ისე მომიჯნავე დისციპლინათა მეთოდოლოგიის ზოგადპედაგოგიკური პრობლემების განსაზღვრა, მოპოვებული მასალის კლასიფიკაცია; მეცნიერული ტერმინოლოგიის დამუშავება; მეტყველების კულტურის საკითხების სწავლება/სწავლის პროცესში სასწავლო მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი მეთოდებისა და მიდგომების შერჩევა–გამოყენება; საგნის შინაარსის გათვალისწინებით სწავლების ახლებური გზებისა და ხერხების ძიება; დარგობრივი სპეციფიკის ზოგადპედაგოგიკურ კონტექსტში მოაზრება, პრობლემური საკითხებისადმი კომპლექსური მიდგომა.

ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული როგორც მეორე უცხო ენის სწავლების მეთოდიკის მოდულის მიზანია: სტუდენტებს მისცეს საშუალება გაიღრმავონ ცოდნა შესაბამისი უცხო ენის სწავლების მეთოდიკაში, ენის შესწავლის თეორიასა და უცხო ენის სწავლებისა და სწავლის ძირითად მიმართულებებში. სწავლის შედეგად სტუდენტებს ექნებათ ცოდნა და უნარები, რათა შეძლონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ნებისმიერ საფეხურზე, შესაბამისი უცხო ენის გაკვეთილის მაღალკვალიფიციურად ჩატარება, ახალი მეთოდებისა და სტრატეგიების მოძიება და კოლეგებისათვის გაზიარება. მოდული უზრუნველყოფს სტუდენტთა გათვითცნობიერებას კომუნიკაციურ უნარებში, პროდუცირებისა და უცხოური ენის სწავლების ზოგადპედაგოგიური ასპექტებში. განვითარებისა და სწავლის თეორიების შესახებ სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავებაში; სასწავლო გეგმების მიზნების შესაბამისი აქტივობებისა და სტრატეგიების შემუშავების უნარის გამომუშავება;
რუსული ენისა და ლიტერატურის მოდულის მიზანია: რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის სპეციალისტის მომზადება რუსულენოვან საშუალო სკოლაში, საშუალო სპეციალური სასწავლებლებში სამუშაოდ. მოდული მიზნად ისახავს მაგისტრანტს საგნის სფეროში მისცეს ისეთი ცოდნა და გამოუმუშაოს ისეთი უნარ-ჩვევები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია თანამედროვე სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების თეორიასა და პრაქტიკასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხების წარმატებული გადაწყვეტა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ერთიანი სამაგისტრო გამოცდა;
- წერითი გამოცდა შესაბამის დისციპლინაში;
- ნებისმიერი დარგის ბაკალავრის დიპლომი;
- ინგლისური/გერმანული/ფრანგული ენის B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).

სწავლების შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება
პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა იცოდეს:

- მეთოდოლოგიურ/ფსიქოლოგიური დისციპლინებინები (პროფესიული სტანდარტი);
- სასწავლო პროცესში მოზარდის უფლებებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები;
- ზოგადი განათლების თანამედროვე ტექნოლოგიები; კვლევის მეცნიერული მეთოდები;
- სასწავლო დისციპლინების სწავლების მეთოდიკა; ქვეყნის განათლების სისტემის საკანონმდებლო ბაზა;
- პროფესიულ-ეთიკური ნორმები; მშობლებთან თანამშრომლობის ფორმები;
- უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროება; სასწავლო დისციპლინა (საგნობრივი სტანდარტი).

- მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.

მათემატიკის სწავლების მეთოდიკის მოდული: მაგისტრი ფლობს საბაზო და საშუალო სკოლის მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებული მათემატიკის ცოდნის დონეს; კვლევის იმ მეთოდებს, რომლებიც სწავლების პროცესში გამოიყენება (მაგალითად, ანალიზი და სინთეზი, განზოგადება და სპეციალიზირება, აბსტრაქცია და კონკრეტიზაცია, ინდუქცია და დედუქცია); სასკოლო საგანთან შესაბამის საკითხებს და თეორიულ ასპექტებს; ეროვნულ სასწავლო გეგმაში მითითებული ფუნქციათა ოჯახების კვლევის მეთოდებს, მსჯელობა-დასაბუთების სხვადასხვა ხერხებს; მოდელირებისას და პრობლემის გადაჭრისას დისკრეტული მათემატიკის მეთოდებს (მაგალითად, გრაფები და მათი გამოყენება, სიმრავლეთა თეორიის ელემენტები, კომბინატორიკა); გეომეტრიულ გარდაქმნებსა და მათ გამოყენებას; ფუნქციასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის სწავლების მეთოდებს, წრფივი ფუნქციის სწავლების მეთოდიკას, კვადრატული ფუნქციის სწავლების მეთოდიკას; რიცხვის ცნების დაფუძნების ხერხებს; სკოლაში რიცხვთა თეორიასთან შესაბამის რიცხვებისა და რიცხვებზე მოქმედებებს სხვა რიცხვთა სისტემებისთვის; რიცხვებზე არითმეტიკული მოქმედებების შესრულებას და მათი თვისებების ცოდნა/გამოყენებას; ალბათობის და სტატისტიკის მიმართულების შინაარსისადმი გათვალისწინებულ მოთხოვნებს; ალბათობის თეორიის და სტატისტიკის მიმართულების შესაბამისი საკითხებს; მონაცემთა მოწესრიგებას და წარმოდგენას, მონაცემთა მოპოვების ხერხების შერჩევას, რიცხვითი და გრაფიკული მეთოდების გამოყენებასა და მათ ანალიზის.

ფიზიკის სწავლების მეთოდიკის მოდული: მაგისტრი ფლობს საბაზო და საშუალო სკოლის მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებული ფიზიკის ცოდნის დონეს; ფიზიკის ამოცანების ამოხსნის საფუძლიან ცოდნას; შეუძლია ამოცანების ამოხსნა ცალკეული ეტაპების, სქემების, სხვადასხვა ტიპის ამოცანებისადმი უნივერსალურ მიდგომათა გამოყენებით. ფლობს სწავლების მეთოდიკასა და თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიებს; ფლობს ინტერაქტიული მუშაობისთვის საჭირო ჩვევებს, სასწავლო პროცესში ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის გამოყენებით ასპექტებს, იყენებს თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიებს, ფლობს პედაგოგიკური კვლევის მათემატიკურ მეთოდებს.

ქიმიის სწავლების მეთოდიკის მოდული: მაგისტრი ფლობს საბაზო და საშუალო სკოლის მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებული ქიმიის ცოდნის დონეს; მათ შორის ზოგადი ქიმიის, არაორგანული და ორგანული ქიმიის ძირითადი მცნებებსა და კანონებს იერარქიული თანმიმდევრობის მიხედვით; გაღრმავებულად იცის ქიმიის ისეთი ფუნდამენტური საკითხები როგორიცაა: ქიმიის ძირითადი ცნებები და კანონები, ატომისა და მოლეკულის აღნაგობა, ქიმიური ბმების თეორია, ქიმიურ ნაერთთა სტრუქტურა და რიაქციისუნარიანობა, ველისა და შეუღლების ეფექტები, რიაქციათა სტერეოქიმია და მექანიზმები; ქიმიურ რეაქციათა ტიპები, ელემენტთა პერიოდული სისტემის ყველა ელემენტის თვისება და მათი არაორგანული ნაერთების საფუძვლიანი შესწავლა; ფლობს ქიმიის სწავლების მეთოდიკის ზოგად საკითხებს და საშუალო სკოლის პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალის შესაბამისი სავარჯიშოებისა და გაანგარიშებითი ამოცანების ამოხსნის მეთოდიკას, სხვადასხვა სახის ქიმიური ექსპერიმენტის მომზადებისა და ჩატარების მეთოდიკას, სასკოლო ექსპერიმენტის პროცესში მოსწავლეთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და განვითარების მეთოდებს, ასევე უსაფრთხოების წესებს.

ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკის მოდული: მაგისტრი ფლობს საბაზო და საშუალო სკოლის მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებული ბიოლოგიის ცოდნის დონეს; იცის ძირითადი დიდაქტიკური პრინციპები ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკაში, ბიოლოგიის სწავლების მეთოდები და ხერხები; ბიოლოგიაში ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოს ჩატარების მეთოდები და ხერხები, ექსპერიმენტის ჩატარების უსაფრთხოების ზომები, ექსპერიმენტის შედეგების გაფორმების წესი; ფლობს ბიოლოგიის სწავლების მეცნიერულ საფუძვლებს თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ორგანოთა სისტემების, ორგანოების, ქსოვილების, უჯრედის და მისი ძირითადი კომპონენტების აგებულება და ფუნქცია; მემკვიდრეობითობა და ცვალებადობა, გენის დეფინიცია და გენური მუტაციების არსი, ფოტოსინთეზი და სუნთქვაზე თანამედროვე წარმოდგენები; იცნობს და გარკვეულია გამრავლების ფორმებში, მიტოზში, მეიოზში, ქრომოსომების განაწილების კანონზომიერებებში, ზოგადად, უჯრედის საციცოცხლო ციკლში; იცის გარემოს დაცვის თანამედროვე პრობლემების, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენების, საქართველოს მდიდარი ბუნებრივი რესურსების, მისი უნიკალური ლანდშაფტური და ცოცხალი სამყაროს წარმომადგენლების შესახებ ინფორმაციას.

გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკის მოდული: მაგისტრი ფლობს საბაზო და საშუალო სკოლის მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებული გეოგრაფიის ცოდნის დონეს; მაგისტრი საფუძვლიანად ფლობს გეოგრაფიული კვლევის მეთოდებს; ფლობს გეოგრაფიის სწავლების რიგ თანამედროვე მეთოდებს და შეუძლია მათი გამოყენება სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების მიზნით; გეოგრაფიული პროგნოზირების გამოყენების უნარ–ჩვევების შესწავლა. შეუძლია შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული სასწავლო გეგმისა და სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით და მისი მართვა;

ისტორიის სწავლების მეთოდიკის მოდული: მაგისტრი ფლობს საბაზო და საშუალო სკოლის მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებული ისტორიის ცოდნის დონეს; აქვს ისტორიის საგანში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საპროგრამო მასალის სიღრმისეული ცოდნა; იცის თეორიული მასალის, ისტორიული წყაროების წარმოჩინების ფორმები; იცის სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები, ასევე სწავლების ორგანიზების ფორმების წარმართვა თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებით.

ქართულის სწავლების მეთოდიკის მოდული: მაგისტრი ფლობს ქართული ენისა და ლიტერატურის საგანში საბაზო და საშუალო სკოლის მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის დონეს; ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საპროგრამო მასალას; აქვს საგნის სწავლების შინაარსის, მიზნის, ამოცანებისა და განხორციელების გზების საფუძვლიანი ცოდნა და საკითხების ახლებური ინტერპრეტაციის უნარი. მაგისტრანტს შეუძლია ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების აქტიური და ინტერაქტიური ტექნოლოგიების გამოყენება; საგნის დიდაქტიკური პრინციპების გაანალიზება და სპეციფიკური, საგნის შინაარსით განსაზღვრული პრობლემების ინდივიდუალურად გადაჭრა. მაგისტრანტს აქვს ნაწარმოების ჟანრობრივი თავისებურების გაცნობიერების, მხატვრული და არალიტერატურული, ვიზუალური რესურსების, მოდერნისტული თუ პოსტმოდერნისტული შემოქმედების, ღრმა, სისტემური ცოდნა.

ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული როგორც მეორე უცხო ენის სწავლების მეთოდიკის მოდული: მაგისტრი ფლობს საბაზო და საშუალო სკოლის მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებული უცხოური ენის ცოდნის დონეს; აქვს სისტემური ხასიათის ცოდნა, რომელიც მოიცავს უცხო ენის სწავლების სფეროსათვის დამახასიათებელ ასპექტებს, დავალებების სწორად შერჩევის თეორიებს; ფლობს უცხო ენის სწავლების მეთოდიკას, სწორი მეთოდოლოგიის შერჩევის უნარს; იცის უცხო ენის ცალკეული კომუნიკაციური უნარის

(კითხვა, მოსმენა, ლაპარტაკი, წერა), ფუნქციონირების, და განვითარების თეორიები და პრინციპები. მაგისტრი აცნობიერებს სწავლებასთან დაკავშირებულ ტიპურ პრობლემებს და იცის მათი გადაჭრის გზები; იცის ინგლისურენოვანი/გერმანულენოვანი/ფრანგულენოვანი/რუსულენოვანი ქვეყნების ქვეყანათმცოდნეობითი ინფორმაცია: კულტურა, პოლიტიკური წყობა და ა.შ. აღნიშნული ინფორმაციის მოპოვების და სწავლების თეორიები და პრინციპები. უცხო ენის გაკვეთილის დაგეგმვის თეორიები; ფლობს თარგმანის თანამედროვე თეორიის ძირითად პრინციპებს, აცნობიერებს სასწავლო თარგმანის როლისა და ადგილის უცხო ენის სწავლების პროცესში; იცნობს ლინგვოდიდაქტიკური ტესტირების სპეციფიკას. იცის შეფასების თეორიები და პრინციპები, აცნობიერებს შეფასების განსხვავებულო მოდელების გამოყენებასთან დაკავშირებულ პრობლემებს.
რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის მოდული: მაგისტრი ფლობს საბაზო და საშუალო სკოლის მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებული რუსული ენისა და ლიტერატურის ცოდნის დონეს; პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელებს ექნებათ რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების სფეროში ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც მისცემს მათ ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს; მათ აგრეთვე ექნებათ შემენილი: რუსული ფუნქციური გრამატიკის ძირითადი დებულებების ცოდნა; თარგმანის თანამედროვე თეორიის ძირითადი პრინციპების ცოდნა; სასწავლო თარგმანის როლისა და ადგილის ცოდნა რუსულის როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში; ლინგვოდიდაქტიკური ტესტირების სპეციფიკის ცოდნა; პედაგოგიური ურთიერთობის სპეციფიკის ცოდნა; სამეტყველო ქმედების არსის გაგება; განათლებაში საინფორმაციო სისტემების როლისა და მნიშვნელობის გაგება; კომპიუტერის როგორც სწავლების ერთ-ერთ ტექნიკურ საშუალებას შესაძლებლობებს ცოდნა; სამეყტველო კომუნიკაციის თეორიის ძირითადი დებულებების საბაზისო ცოდნა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება
პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- სასწავლო საგნობრივი პროგრამის ანალიზი და დაგეგმვა;
- საგნის სწავლების პრობლემების განსაზღვრა და დამოუკიდებლად გადაწყვეტა;
- საგნის სწავლების მეთოდოლოგიური საფუძვლის და შესაბამისი ტექნოლოგიის შერჩევა;
- სწავლება/სწავლის პროცესის მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება;
- შეფასების სისტემის მეთოდების მორგება კონკრეტულ სასწავლო სიტუაციასთან;
- სასწავლო პროცესის მიზანმიმართული დაგეგმვა და მართვა;
- სასწავლო თემატიკის შერჩევა აღმზრდელობითი მიზნებიდან გამომდინარე;
- კლასგარეშე მუშაობის მიზნობრივად წარმართვა; სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ინკლუზიის სწორად განხორციელება;
- პროფესიულ-ეთიკური ნორმების დაცვა; ტრეინინგ-კურსებისა და სემინარების ორგანიზება და გაძღოლა;
- სასწავლო პროცესში მშობლებთან და კოლეგებთან თანამშრომლობა.
- მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.

მათემატიკის სწავლების მეთოდიკის მოდული: მაგისტრს შეუძლია ჩაატაროს მასალის განაწილებასა და შინაარსის შერჩევასთან დაკავშირებული კვლევითი მუშაობა; პრობლემის გადაჭრისას გეომეტრიული და ალგებრული მეთოდების გამოყენება, ამ მეთოდების შედარება; აქვს გეომეტრიული და ალგებრული მეთოდების, სასწავლო მასალის ინტეგრირებული ფორმით წარმოდგენისა და გადაცემის უნარი; შეუძლია ჩაატაროს მასალის განაწილებასა და შინაარსის შერჩევასთან დაკავშირებული კვლევითი მუშაობა; შეუძლია გეომეტრიების მოდელების აღწერა, მათემატიკური ცნებების წარმოშობა და განვითარების ისტორიული ასპექტები დაუკავშიროს სკოლაში ამ ცნებების სწავლების საკითხებს; ინფორმაციისა და რიცხვთა თეორიების პრაქტიკულ მხარეზე და მათ როლზე შესაბამისი მაგალითების მოყვანა და ახსნა (ინფორმაციის დაცვა, დაშიფრვის სისტემები და სხვა);

ფიზიკის სწავლების მეთოდიკის მოდული: მაგისტრს შეუძლია ფიზიკის სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების პრაქტიკულად გამოყენება; შეუძლია მოსწავლეთათვის შეძენილი ცოდნის გადაცემა. აქვს ფიზიკის ამოცანების ამოხსნის მეთოდების გამოყენების უნარი; განსხვავებული ტიპის (თვისებრივი, ანალიზური, დასასმელი) ამოცანების მიზანმიმართული გამოყენების უნარი; საგანამანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევები; ექსპერიმენტული ჩვევები; მეთოდიკური ხერხების მოქნილად გამოყენების უნარი;

ქიმიის სწავლების მეთოდიკის მოდული: მაგისტრს შეუძლია: მიღებული ცოდნის გამოყენება პედაგოგიურ პრაქტიკაში; ქიმიური ტერმინოლოგიის სათანადოდ გამოყენება; ქიმიაში აზრობრივი ოპერაციების წარმოება და შემოქმედებითი მიდგომა ქიმიის ამა თუ იმ საკითხის განხილვის დროს; ქიმიის სწავლების პროცესში მოსწავლეთა აღზრდის მეთოდებისა და ხერხების გამოყენება; სასაკოლო ქიმიის კურსის კურიკულუმის დამოუკიდებლად შედგენა და განხორციელება, შემოქმედებითი მიდგომა ამა თუ იმ საკითხის სწავლების გაუმჯობესებისათვის; ორიგინალური ამოცანებისა და ტესტების შედგენა და მათი მისადაგება მოსწავლეთა კონკრეტული ჯგუფის ცოდნის დონესთან; სადემონსტრაციო ცდების მომზადება და ჩატარება; თვალსაჩინოების გამოყენება ქიმიის სწალების პროცესში; სასკოლო ქიმიის კაბინეტის მოწყობა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვა. მაგისტრს აქვს ქიმიის სასკოლო კურსის სწავლებაში ახალი მეთოდებისა და ხერხების ინტერპრეტირების უნარი.

ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკის მოდული: მაგისტრს აქვს ბიოლოგიური ექსპერიმენტის წარმართვისა და დემონსტრირების უნარი, ექსპერიმენტის მიზნის, ამოცანების მიღებული შედეგების მრავალმხრივი გაანალიზების უნარი. პრაქტიკულ სამუშაოებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების (ცოცხალ ორგანიზმებთან, ქიმიურ რეაქტივებთან დაკავშირებული) განსაზღვრა და პრევენცია. ფლობს ინტერაქტიურ, დიალოგურ და გუნდური მუშაობის მეთოდებს; აქვს მოსწავლეთა კოლექტივის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის უნარი; ბიოლოგიის გაკვეთილების სხვადასხვა ტიპების (საუბარი, თხრობა, სახელმძღვანელოზე მუშაობა) წარმართვის უნარი; მოდელის ან სქემის მიხედვით შესასრულებელი [მაგ, ექსპერიმენტული, ლაბორატორიული და სხვა] სამუშაოს დაგეგმვის უნარი;

გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკის მოდული: მაგისტრს შეუძლია გეოგრაფიის სწავლების პრაქტიკული უნარ–ჩვევების გამოყენება; სწავლების ორგანიზაციის ფორმების წარმართვა თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებით; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; გეოგრაფიული პროგნოზირებისა და მოდელირების საკითხების პრაქტიკულად გამოყენება,

რუკების კითხვა და მოპოვებული ინფორმაციის ინტერპრეტაცია; გრაფიკების, ცხრილებისა და დიაგრამების გამოყენებით ინფორმაციის შეჯერება, ანალიზი და მათი მარტივი ანალოგების შექმნა.
ისტორიის სწავლების მეთოდიკის მოდული: მაგისტრს შეუძლია პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება: კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, ინტერაქტიური, დიალოგური და გუნდური მუშაობა, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; ისტორიის სწავლების პროცესში არსებული კომპლექსურობის გააზრება და იმ კომპონენტების გამოყოფა, რომელშიც უნდა განხორციელდეს სხვადასხვა ამოცანა. იყენებს მეთოდოლოგიას და საშუალებებს ყველა ქრონოლოგიურ ეტაპზე, რომელსაც ისტორია მოიცავს; შეუძლია ისტორიული ინტერესების, კატეგორიების და პრობლემების დროში ცვალებადობისა და ისტორიული დებატების ამა თუ იმ ეპოქის კულტურულ და პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირება.
ქართულის სწავლების მეთოდიკის მოდული: მაგისტრს შეუძლია დარგობრივ სფეროში არსებული მრავალფეროვანი პრობლემატიკის გაანალიზება და სასკოლო გარემოში მათი სწავლებისთვის ოპტიმალური მეთოდების მოძიება და გამოყენება; როგორც კონკრეტული საგნის დიდაქტიკის, ისე მომიჯნავე დისციპლინათა მეთოდოლოგიის ზოგადპედაგოგიკური პრობლემების განსაზღვრა, შესწავლილი თეორიული მასალის რანჟირება, წარმოშობილი პრობლემების გონივრული, ლოგიკური გადაწყვეტა; მოპოვებული მასალის კლასიფიკაცია; მეცნიერული ტერმინოლოგიის დამუშავება მეტყველების კულტურის საკითხების სწავლება/სწავლის პროცესში სასწავლო მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი მეთოდებისა და მიდგომების შერჩევა–გამოყენება; საგნის შინაარსის გათვალისწინებით სწავლების ახლებური გზებისა და ხერხების, ასევე დარგობრივ და მომიჯნავე დისციპლინათა ურთიერთმიმართებების დაძებნა და სპეციფიკურ, კომპლექსურ პრობლემათა გადაწყვეტის გზის ძიება; დარგობრივი სპეციფიკის ზოგადპედაგოგიკურ კონტექსტში მოაზრება და შედეგად პრობლემური საკითხებისადმი კომპლექსური მიდგომა. ტექსტუალურ მასალაზე მუშაობისას კვლევითი საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვა.
ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული როგორც მეორე უცხო ენის სწავლების მეთოდიკის მოდული: მაგისტრს შეუძლია უცხო ენის სწავლებისათვის დამახასიათებელი დავალებების პრაქტიკაში გამოყენება, უცხო ენის სწავლების დიდაქტიკის შესაბამისი კვლევის წარმოება, დიდაქტიზირებული მასალის კრიტიკული ანალიზისათვის, სწავლების ახალი გზების დასადგენად; უცხო ენის ცალკეული კომუნიკაციური უნარის სწავლებისათვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენება, რომელიც დაეხმარება მას ხარვეზების არსებობის შემთხვევაში გამიზნულად განავითაროს ცალკეული უნარი; შეუძლია ქვეყანათმცოდნეობის ცალკეული ასპექტის სწავლებისათვის, ასევე უცხო ენის გაკვეთილის დაგეგმვისთვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენება; უცხო ენის სახელმღვანელოების შეფასების უნარი; შეუძლია შეიმუშაოს საკუთარი ინოვაციური სახელმღვანელო, მოამზადოს სწავლების მიზნის შესაბამისი დიდაქტიზირებული მასალა; სტატისტიკურ მასალაზე დაყრდნობით შეუძლია შეარჩიოს შეფასების ადეკვატური ფორმა და გამოიყენოს მოსწავლეთა შეფასებისას. შეუძლია სტერეოტიპული აზროვნებასთან დაკავშირებული პრობლემურის საკითხების ღრმა ცოდნის გამოყენება. მაგისტრს შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს კვლევა, რომელიც ხელს შეუწყობს დასახელებული საკითხების ადეკვატურად გადაჭრის პროცესის გაუმჯობესებას.
რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის მოდული: მაგისტრს შეუძლია მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება

უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. შეუძლია მასალის შეგროვება სათანადო მეთოდების გამოყენებით; მასალის ინტერპრეტაცია პროფესიული ამოცანების გათვალისწინებით; საბაზისო საკითხებში რუსულის სწავლების მეთოდიკის გააზრება და პრაქტიკაში სწორად გამოყენება; ენობრივი ფაქტების ფუნქციური გრამატიკის თვალსაზრისით შერჩევა და განხილვა; თარგმანის თეორიასა და პრაქტიკაში მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება; სასწავლო თარგმანის ელემენტების ენის სწავლების პროცესში გამოყენება; რუსულის სწავლებისათვის დიაგნოსგტური ტესტების შედგენა; სწავლების სწორი მეთოდებისა და ხერხების შერჩევა მოსწავლეების ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით; გაკვეთილის მიზნისა და ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრა

დასკვნის უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს:

- რთული პროფესიული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის უნარი, არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;
- თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების შესახებ არსებული თეორიული მასალის დამუშავების, ძირითადი ტენდენციებისა და დებულებების გააზრებისა და მათზე დაყრდნობით ეფექტური ტექნოლოგიებისა და სტრატეგიების მოძიება-შემუშავების უნარი;
- სასწავლო პროცესში არსებული ვითარების კრიტიკული ანალიზის, პრობლემის განსაზღვრისა და უახლესი მონაცემების გამოყენებით მისი გადაჭრის უნარი.

კომუნიკაციის უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს:

- პროფესიულ დონეზე კომუნიკაციის ყველა ფორმის გამოყენების უნარი;
- საინფორმაციო ტექნლოგიების გამოყენების უნარი, ინფორმაციის პროფესიულ დონეზე დამუშავების უნარი;
- პროფესიულ ჯგუფში ეფექტური მუშაობის უნარი, როგორც წევრის, ასევე ლიდერის როლში;
- პროფესიულ თემებზე არგუმენტირებული მსჯელობის, დიალოგისა და დასკვნების დასაბუთების უნარი;
- კონფლიქტური სიტუაციების მოგვარების უნარი;
- საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და უცხო ენაზე შექმნის უნარი აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით;
- ქართულ და უცხო ენაზე პრეზენტაციის წარმართვის უნარი;

სწავლის უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს:

- ახალი საგანმანათლებლო საჭიროებებისა და მოთხოვნების დანახვის/განჭვრეტის უნარი და, შესაბამისად, საკუთარი სწავლის დაგეგმვის უნარი;

- ახალი პროფესიული მასალის მოძიებისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარი. პროფესიული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და ჩატარების უნარი;
- საკუთარი საქმიანობის რეფლექსიის, შეფასებისა და თვითკრიტიკის უნარი;
- პროფესიულ პრაქტიკაში ინიციატივის უნარი;
- სამუშაოს დამოუკიდებლად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ღირებულებები
პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- საკუთარი საქმიანობის შეფასება და თვითკრიტიკა;
- საზოგადოებრივ-კულტურული და ზნეობრივი ღირებულებების შეფასება და დამკვიდრება;
- მასწავლებლის პროფესიულ–ეთიკური ნორმების დაცვა;
- სხვადასხვა კულტურისადმი პატივისცემა, ღირებულებათა ფორმირებაში კულტურისა და განათლების როლის მნიშვნელობის გააზრება.

სწავლის შედეგები მიიღწევა ტრადიციული და თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების კომბინირებით, კერძოდ: ზეპირსიტყვერი მეთოდები – დიალოგი, მონოლოგი, წიგნზე მუშაობის მეთოდები, ახსნითი და დამოუკიდებელი კითხვა, პრაქტიკულ–ლაბორატორიული მეთოდები, წერითი მეთოდები – რეფერატი, პროექტი; დისკუსია/დებატები, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) , თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება , ევრისტიკული მეთოდი,
შემთხვევის ანალიზი (Case study), როლური და სიტუაციური თამაშები, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება (E-learning).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა: იხ. დანართი 1

სამაგისტრო პროგრამების კოორდინატორი: ივანე მინდაძე, ზაქარია ქიტიაშვილი.
სამაგისტრო მოდულების ხელმძღვანელები:

მათემატიკის სწავლების მეთოდიკის მოდული – თეიმურაზ ვეფხვაძე,
ფიზიკის სწავლების მეთოდიკის მოდული – იური პაპავა,
ქიმიის სწავლების მეთოდიკის მოდული – ეთერ გიგინეიშვილი,
ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკის მოდული – ეფემია ხარაძე,
გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკის მოდული – ლია კვერენჩხილაძე,
ისტორიის სწავლების მეთოდიკის მოდული – ნაირა მამუკელაშვილი,
ქართულის სწავლების მეთოდიკის მოდული – მიმოზა სოსელია,
ინგლისურის სწავლების მეთოდიკის მოდული – იზაბელა პეტრიაშვილი,
გერმანულის სწავლების მეთოდიკის მოდული – ივანე მინდაძე,
ფრანგულის სწავლების მეთოდიკის მოდული – გვანცა ჭანტურია,
რუსულის სწავლების მეთოდიკის მოდული –მარინა ალექსიძე,
რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის მოდული – მარინა ალექსიძე.

დასაქმების სფეროები:

- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალი კლასები (7-12 კლასები)
- პედაგოგთა გადამზადების ცენტრები
- უმაღლესი სკოლა
- რესურს ცენტრი
- განათლების კვლევისა და ორგანიზაციის სფეროები
- განათლების სისტემის ზემდგომ უწყებები
- განათლების საკითხებით დაკავებული არასამთავრობო სექტორი

დამატებით ინფორმაცია:
სწავლის გაგრძელების საშუალება: აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში.

კვლევითი კომპონენტი
პედაგოგიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითი თემატიკა:

- აღზრდის, განათლების და სწავლების პროცესი ყველა ტიპის სკოლაში – (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, უმაღლესი სკოლა, პროფესიული სკოლა) და სკოლამდელ დაწესებულებაში;
- ცალკეულ საგანთა სწავლების მეთოდიკის საკითხები ყველა ტიპის სკოლაში.
- სოციუმის გავლენები მოზარდის აღზრდასა და განვითარებაზე;
- ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ მოზარდთა აღზრდის პრობლემები;

- მცირეწლოვანთა სამართალდარღვევის პრობლემები;
- ყველა ტიპის სკოლის სტრუქტურული და ორგანიზაციული მომენტები, ხელმძღვანელი კადრისა და მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები, სწავლება სწავლის საკითხები;

სამაგისტრო თემა და ხელმძღვანელი მტკიცდება პედაგოგიკის ინსტიტუტისა და მოდულის ხელმძღვანელის ერთობლივი გადაწყვეტილებით.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:
ქეთევან ჭკუასელი – პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; თამაზ კარანაძე – ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; ეთერ ღვინერია – ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; ივანე მინდაძე – ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; იზაბელა პეტრიაშვილი – ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; ეფემია ხარაძე – პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ პროფესორი; ნინო ჩახუნაშვილი – პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ პროფესორი;
თეიმურაზ ვეფხვაძე – პროფესორი, ფიზიკა–მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; თენგიზ კოპალიანი – მოწვეული მასწავლებელი, ფიზიკა–მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; გიორგი სოხაძე – მოწვეული მასწავლებელი, ფიზიკა–მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; მზია ბრეგაძე – მოწვეული მასწავლებელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი; ლამარა ქურჩიშვილი – მოწვეული მასწავლებელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი;
იური პაპავა – მოწვეული მასწავლებელი, ფიზიკა–მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; გულიკო გუჯაბიძე – მოწვეული მასწავლებელი, ფიზიკა–მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;
ეთერ გიგინეიშვილი –პროფესორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი (ქიმიის დეპარტამენტი); მაია რუსია – ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ზოგადი და არაორგანული ქიმიის ლაბორატორიის გამგე; ელენე კაცაძე – მოწვეული მასწავლებელი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი;
ირინა მოდებაძე – ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის (ბიოლოგიის ინსტიტუტი) ასისტენტ პროფესორი; ელენე ჩერქეზია – მოწვეული მასწავლებელი, ბიოლოგიის დოქტორი; ლალი კაკუშაძე – მოწვეული მასწავლებელი, ბიოლოგიის დოქტორი; ეკატერინე ბაკურაძე –ასისტენტ პროფესორი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის (ბიოლოგიის ინსტიტუტი); ელენე თავდიშვილი – მოწვეული მასწავლებელი;
ლია კვერენჩხილაძე – მოწვეული მასწავლებელი, გეოგრაფიის დოქტორი;
გულნარა ჩხიკვაძე – მოწვეული მასწავლებელი, ინგლისური ენის ექსპერტი, უცხოური ენების ჯგუფის ხელმძღვანელი - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი; ეთერ ბალიაშვილი – ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ენების ცენტრის მასწავლებელი;
თამარ ჭუმბურიძე – თსუ, ენების ცენტრის მასწავლებელი; ქეთევან კალანდაძე – თსუ, ენების ცენტრის მასწავლებელი; ლიკა სოლომონია – თსუ, ენების ცენტრის მასწავლებელი; ელიზაბეტ ვენორი – DAAD-ს თბილისის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი;
გვანცა ჭანტურია - მოწვეული მასწავლებელი, ფილოლოგიის დოქტორი;

ნატალია ბასილაია –ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, თსუ რუსისტიკის ინსტიტუტი; მაია თუხარელი – მოწვეული მასწავლებელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; თეა ნოდია – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ენების ცენტრის მასწავლებელი; მარინა ალექსიძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, თსუ რუსისტიკის ინსტიტუტი;
მიმოზა სოსელია – მოწვეული მასწავლებელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი; რუსუდან ჩიქოვანი – მოწვეული მასწავლებელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; თეა კალანდია – მოწვეული მასწავლებელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;
რუსუდან სანაძე –მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეცნიერებების დოქტორი; მაია მემარნიშვილი – მოწვეული მასწავლებელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი; ნათია ბებიაშვილი – მოწვეული მასწავლებელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი; მაგდა კობახიძე – მოწვეული მასწავლებელი; თინათინ შერვაშიძე – მოწვეული მასწავლებელი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი;
თეონა ლოდია – მოწვეული მასწავლებელი, ფსიქოლოგი, სოფიო დოლიძე – მოწვეული მასწავლებელი, ფსიქოლოგი; ელენე ოყროშიძე – მოწვეული მასწავლებელი, ფსიქოლოგი; თამარ ლომიაშვილი – მოწვეული ლექტორი, USAID -ის განათლების მართვის პროექტის მთავარი სპეციალისტი.
თამარ ფაღავა – მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეცნიერებების დოქტორანტი; თინათინ დოლიძე – მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეცნიერებების დოქტორანტი; თამარ გეგეშიძე – მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეცნიერებების დოქტორანტი; ლელა აბდუშელიშვილი – მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეცნიერებების დოქტორანტი; მარიამ ზარხოზაშვილი – მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეცნიერებების დოქტორანტი, ნინო თარხნიშვილი – მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეცნიერებების დოქტორანტი, ზაქარია ქიტიაშვილი – მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეცნიერებების დოქტორანტი; დავით წამალაშვილი – მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეცნიერებების დოქტორანტი; ფიქრია ვარდოსანიძე – მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეცნიერებების დოქტორანტი; ანი წეროძე – მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეცნიერებების დოქტორანტი;

ბიოგრაფიული მონაცემები (CV) იხ. დანართი № 3

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
დამატებითი პროგრამა განხორციელდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტისა და პედაგოგიკის ინსტიტუტის ბაზაზე, სადაც არსებობს ქართული და უცხოენოვანი ბიბლიოთეკა (ინგლისური, გერმანული, რუსული), მუდმივი ორი აუდიტორია და სალექციო აუდიტორიები, კომპიუტერები, ინტერნეტი.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის დამატებითი საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

დოქტორანტურა

1. **სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია (ინტერდისციპლინური) Psychological Anthropology (interdisciplinary)**

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი (ქართულად და ინგლისურად): ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის დოქტორი PhD in Psychological Anthropology

3. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: ლალი სურმანიძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოც. პროფესორი

4. სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება: პროგრამის აქტუალობა: სადოქტორო პროგრამის შექმნას წინ უსწრებდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამების - „კულტურა და საზოგადოება - ინტერდისციპლინური კვლევები“, “კულტურა სოციალურ კვლევებში” და „ანთროპოლოგია: ინტერდისციპლინური კვლევები“ - ფუნქციონირება. მათ მოამზადეს ბაზა წინამდებარე პროგრამის შესაქმნელად.

პროგრამის აქტუალობას განაპირობებს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სოციალური პროცესები და სამეცნიერო ტენდენციები. XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცეში აშკარაა „ანთროპოლოგიური შემობრუნება“, კაცობრიობის ცნობიერების სისტემურ-პარადიგმული პრიორიტეტები ადამიანს უკავშირდება როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ისე სამეცნიერო აქტივობის პლანში. პარადიგმის ცვლილებას ათვალსაჩინოვებს არა მხოლოდ ახალი „ანთროპოლოგიების“ სიმრავლე თუ გაჩენის სიადვილე, საზოგადოდ, ამ ცნების „მოდურობა“ სამეცნიერო ცნობიერებაში, არამედ კონცეპტუალური საყრდენების ვექტორის შეცვლაც: ორიენტაცია უპიროვნო „სტრუქტურებზე“, „ტოპიკებსა“ და „ინტერტექსტუალობაზე“ იცვლება „სუბიექტურობაზე“, „აქტიურ ინდივიდზე“, „ავტორობაზე“ შემობრუნებით. შესაბამისად, პრიორიტეტული ხდება ადამიანის მიერ აღქმადი და სიმბოლურად თუ მატერიალურად ქმნადი ყოფიერების კვლევა, ყოველდღიური ცნობიერების რეალური შინაარსები, ფსიქოლოგიური განწყობები, აღქმის სტერეოტიპები, ქცევის მოდელები, ჩვევები, მოთხოვნილებები, სოციალურ ჯგუფებს შორის კულტურულ-სპეციფიკური, ისტორიული, სოციოეკონომიკური, პოლიტიკური თუ რელიგიური ტერმინებით ინტერპრეტირებულ განსხვავებათა ახსნის ამოცანები, ღირებულებით სისტემათა კულტურული მრავალგვარობა და მათი მოდიფიკაცია ყოველდღიური გამოცდილების გავლენით და ა.შ. საზოგადოდ, „ინდივიდთა ურთიერთქმედების ქსელების, ინდივიდუალური გამოცდილების სივრციდან“ ადამიანის მიერ სამყაროს კონსტრუირების პროცესები.

თანამედროვე სამეცნიერო ტენდენციების გათვალისწინებით, პროგრამა იზიარებს და ეფუძნება კონცეპტუალურ პრინციპებს:

- ✓ ანთროპოლოგიის ცნების ფართო გაგებას, რომლის თანახმად, ანთროპოლოგია არის „ადამიანური არსებების ინტეგრალური შესწავლა ყველგან და ყველა დროში“. ანთროპოლოგია - ესაა ორიენტაცია ადამიანზე, როგორც ბიო-სოციო-კულტურულ სისტემურ მთლიანობაზე.
- ✓ ანთროპოლოგიის გაგებას არა უნივერსალისტური ტიპის სისტემატურ თეორიად, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მეთოდოლოგიად, „კომენტარიის უნივერსალურ ტიპად“. ამ თვალსაზრისით, ანთროპოლოგია მოიაზრება მიდგომად, მთლიანობით ორიენტირად, განხილვის გარკვეულ წესად.
- ✓ „ინტერდისციპლინური სინთეზის“ თანამედროვე გაგებას. “ადამიანური განზომილების” პრინციპის აქტუალიზებას თან სდევს სოციოჰუმანიტარული პარადიგმების მიზანმიმართული ინტეგრირების პროცესი. ამ კონტექსტში „ინტერდისციპლინური სინთეზი“ მოიაზრებს არა უნიფიცირებად და ერთიან დისკურსზე დაყვანად კვლევის შედეგებს, არამედ შესასწავლ ობიექტთა შესახებ კარგად დასაბუთებული, მრავალფეროვანი „კომენტარების“ სინთეზურ ერთიანობას, რომელიც ყოველი დისციპლინის ფარგლებში, დისციპლინური ტრადიციის შესაბამისად ხორციელდება გარკვეული პრობლემატიკიდან გამომდინარე, აგრეთვე, კონცეპტუალურ ინსტრუმენტარიაზე დაყრდნობით.
- ✓ ისტორიულობის პრინციპს. ისტორიულობა ადამიანისა და საზოგადოდ „ადამიანურის“ აუცილებელი ატრიბუტია. შესაბამისად, ისტორიულ-კულტურულ-სოციალურ კონტექსტში მოიაზრება არა მხოლოდ განხილვის ობიექტი (ადამიანი), არამედ კვლევის კატეგორიალური და მეთოდოლოგიური საშუალებებიც, როგორც დაქვემდებარებული დროით და სოციოკულტურულ კონტექსტურ გავლენებზე.

თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სამეცნიერო სივრცე რთული ინტერდისციპლინური პრობლემების, აგრეთვე, რამდენიმე დამოუკიდებელი დისციპლინის ინტეგრირებას ახდენს (კოგნიტური და სხვა ანთროპოლოგიები, კულტურული ფსიქოლოგია, კროსკულტურული ფსიქოლოგია, კოგნიტური ფსიქოლოგია და სხვ. თუმცა ეს განსხვავებები უფრო პირობითია, ვიდრე მკაცრი). თანამედროვე სამეცნიერო კონტექსტში ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია ორიენტირებულია, ერთი მხრივ, კულტურულ მნიშვნელობათა ფსიქოლოგიური მიზეზებისა და შედეგების, მეორე მხრივ, ობიექტური კულტურისა და მენტალური მნიშვნელობების ურთიერთკავშირის შესწავლაზე. მისი წამყვანი კომპონენტია კულტურული და ფსიქიკური პროცესების ურთიერთქმედება.

სავარაუდო საკვლევი პრობლემები.

ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის ისტორია და თეორია.
კოგნიტური ანთროპოლოგია და კოგნიტური ფსიქოლოგია (თანამედროვე ხედვები და პერსპექტივები).
კროსკულტურული ფსიქოლოგია, კულტურულ-ისტორიული ფსიქოლოგია, კულტურული ფსიქოლოგია (თანამედროვე ხედვები და პერსპექტივები).
განწყობის თეორია თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის კონტექსტში.
კულტურული კონტექსტები და პიროვნების თეორიები.

ფსიქოლოგიური სისტემების ინტეგრაცია კულტურულ პრაქტიკაში.
კულტურული პრაქტიკა და პიროვნების, ემოციების, სუბიექტურობის ფორმირების სტრატეგიები: კულტურული მოდელები, როგორც მენტალური კომპლექსები.
გამოცდილების კულტურული ასპექტები და ფსიქიკური პროცესების (შემეცნებითი - აღქმა, აზროვნება, მეხსიერება, ემოციები, მოტივაციები) ფორმირება. ფსიქიკური პროცესების კულტურული აღქმა/გაგების როლი მათ ფორმირებაში.
ენა და ცნობიერება.
დროისა და სივრცის აღქმის კულტურული ვარიაციები და გავლენა რეალურ ყოფით პრაქტიკაზე.
სუბიექტური კულტურა, როგორც კულტურული ინსტიტუტების, ფსიქიკური პროცესებისა და ქცევის მაკავშირებელი.
სოციალიზაციის კულტურულ-სპეციფიკური მოდელები და მათი ეფექტები ყოველდღიურ ცხოვრებაში; განვითარებისა და ინკულტურაციის გზები, კულტურულ-სპეციფიკური სინდრომი.
ინდივიდუალურ და კულტურულ მნიშვნელობათა ურთიერთმიმართებები (ფსიქოსემანტიკური კვლევები).
მენტალურ-ისტორიული ცნობიერების გამოვლინებები თანამედროვე ადამიანის ფსიქიკაში (ექსპერიმენტული კვლევები, ქართული ქეისები).
რწმენა და ჰაბიტუსი. სოციალური სხეული, ჰაბიტუსის ვარიანტები.
სოციალური კაპიტალი ანთროპოლოგიურ კონტექსტში.
დევიაციის ანთროპოლოგია.
ბავშვობის და ახალგაზრდობის ანთროპოლოგია: ბავშვობის კონცეპცია საქართველოში და კროსკულტურული შედარებები, „ბავშვური“ და მისი გამოვლინებები კულტურაში, თანატოლთა ჯგუფების წევრობა, როგორც სოციოკულტურული ინტეგრაციის საშუალება.
ნათესაობა - მშობლობა და მისი ფორმირების კულტურული პრაქტიკები, დედის კულტის ტრანსფორმაციის პროცესი და მამობის ფენომენი საქართველოში.
საქართველო და პარადიგმა „ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი“:
კოლექტივიზმის ტიპები. ქართული კოლექტივიზმი.
ქართველები - ავტოპორტრეტი, „სხვების“ პორტრეტი; „დიდი ხუთეული“ - პიროვნული თვისებები; კაუზალური ატრიბუცია, ატრიბუციის ფუნდამენტური შეცდომა, კოგნიტური დისონანსი, თვითგამოხატვა, უნიკალობა, დამოუკიდებლობა.
ქართველები - ჯგუფზე მიჯაჭვულობა, ნათესაობა და ინტერსუბიექტურობა; კონფორმულობა, როგორც სოციალური სენსიტიურობა და ნორმა. „ინდივიდუალისტური თანამედროვეობის“ სინდრომი.
ინდივიდუალისტურ/კოლექტივისტური ტენდენციები სოციალური ცვლილებების კონტექსტში.
სქესი და გენდერი - თვითშეფასების გენდერული ასპექტები საქართველოში.
ეკოლოგიური გარემო, როგორც კოლექტიური აზროვნებისა და ქცევის რეგულატორი.
ჯანმრთელობა. კულტურული გამოცდილება და ფსიქიკური ჯანმრთელობის ფორმირება. ცნება „ნორმალურობა“. თერაპევტიკული „სამკუთხედი“ მიკრო-დონეზე: პაციენტი, ექიმი და პაციენტის „პატრონი“ (მშობლები და ნათესავები); ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კვლევა (ქართული ქეისი).

სწავლა - ფსიქოანთროპოლოგიური პერსპექტივები: სწავლების ანთროპოლოგიური და ფსიქოლოგიური მოდელები, სწავლების დროით-სივრცული კოორდინატები, ბავშვები, როგორც სწავლების სუბიექტები და ობიექტები.
თანამედროვე საქართველო - ბიფოკალურობა (დიქოტომია „მოდერნი-ტრადიცია“, ლოკალური და გლობალური).
თანამედროვე საქართველო - ოჯახი და ქორწინება, წარმოდგენები ინტიმზე, ქორწინებასა და სიყვარულზე. მარტოობა.
თანამედროვე საქართველო - კულტურული პრაქტიკა და საზოგადოებრივი რესურსების მართვა, მენეჯმენტი.
სხეულის ანთროპოლოგია: სხეულისადმი ფენომენოლოგიური მიდგომები, სხეულებრივი ნორმები, სრულყოფილი სხეულის კონცეპცია, სხეულის კროსკულტურული აღქმები.

ა) პროგრამის მიზანი: სადოქტორო პროგრამის მიზანია თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის აქტუალური თემატური და კვლევითი პრობლემების მცოდნე სპეციალისტთა ჩამოყალიბება, თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სფეროს გამდიდრება ახალი მეცნიერული ცოდნით, განწყობის თეორიის შემდგომი განვითარება, უმაღლესი სკოლისთვის პედაგოგიური კადრის მომზადება.

ბ) პროგრამის შედეგი: პროგრამული სწავლების სრული კურსის გავლისა და დისერტაციის დაცვის შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება:

ცოდნა და გაცნობიერება:

- ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, ტრადიციულ თეორიულ პარადიგმათა შემოქმედებითი და პრობლემური გააზრების გამოცდილება, ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;
- ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროთა ინტეგრალური და პრობლემური ხედვა როგორც თეორიულ, ისე მეთოდოლოგიურ პლანში;
- არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების მზაობა (რეფერირებადი პუბლიკაციისთვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე);
- ღრმა ინტეგრალური ცოდნა მის მიერ დამუშავებული თემის შესახებ;
- განწყობის თეორიის შუქზე კონკრეტულ საკითხთა ინტერპრეტაციისა და ახსნის გამოცდილება;
- საფუძვლიანი ცოდნა სინთეზური კვლევითი სტრატეგიების/მეთოდების, აგრეთვე, მათი გამოყენების პრინციპების შესახებ.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- ინოვაციური და, საზოგადოდ, მეცნიერული და გამოყენებითი კვლევითი საქმიანობის დამოუკიდებლად დაგეგმვა, წარმართვა და გაძღოლა, საკვლევი სფეროსთვის ადეკვატური კვლევითი სტრატეგიის, მეთოდის შერჩევა/გამოყენება და მოპოვებულ მონაცემთა ინტერპრეტაცია;
- სინთეზური კვლევითი სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენება;
- ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება;
- საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში ასახვადი მეცნიერული პროდუქციის შექმნა;
- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაინტეგრირებელი სალექციო კურსების შექმნა და გაძღოლა.

- შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენებას სხვადასხვა სოციოკულტურულ კონტექსტში.

დასკვნის უნარი:

- ტრადიციულ თეორიულ პარადიგმათა შემოქმედებითი და პრობლემური გააზრება, ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება;
- პრობლემის გადასაჭრელად სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;
- ჩამოყალიბებული ინტერდისციპლინური აზროვნების საფუძველზე თეორიული ცოდნის ზოგადმეცნიერულ კონტექსტში გააზრება და შესაბამისი პრობლემური საკითხების დასმა;
- განსხვავებულ ქვეყნებში მიღებულ მონაცემთა შემოქმედებითად, დროის მოთხოვნების შესაბამისად გააზრება და ინტერპრეტაცია;

კომუნიკაციის უნარი: ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის დარგში ახალი და არსებული ცოდნის ურთიერთმიმართების დასაბუთებულად და არგუმენტირებულად წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო აკადემიურ წრეებში თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;

სწავლის უნარი: ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების გენერირების და განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში.

კურსდამთავრებულის კომპეტენცია, აგრეთვე, მოიცავს:

- ისტორიის, ენის, პრაქტიკებისა და კონცეპტუალური კატეგორიების მქონე კულტურულ ჯგუფთა სპეციფიკური თავისებურებების დადგენას, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთა უკონფლიქტო თანაარსებობის ხელშემწყობ პრობლემათა ანალიზს და ადეკვატური რეკომენდაციების შეთავაზებას;
- მონაწილეობას ანთროპოლოგიური სტრატეგიების დაგეგმვაში, სოციოკულტურული ცხოვრების განსხვავებულ სფეროთა დინამიკის კვლევებში;
- სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროს უზრუნველყოფას რეალისტური და სიღრმისეული კონსულტაციებით.

კურსდამთავრებულს, აგრეთვე, გამომუშავებული ექნება ზოგადი (ტრანსფერული) - აბსტრაქტული აზროვნების, მოვლენათა კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის, ახალი იდეების გენერირების, ცოდნის მუდმივი განახლების, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზის, საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის - უნარები.

ღირებულებები: პროგრამა ორიენტირებულია შემდეგ ღირებულებათა დამკვიდრებაზე:

- პროფესიული ეთიკური ნორმების (პროფესიონალთა ურთიერთპატივისცემა და აღიარების უნარი, კვლევებში მონაწილე ადამიანთა უფლებების დაცვა, რეალური კვლევითი მონაცემების წარმოდგენა, ყოველგვარი ანგაჟირებულობის მიუღებლობა) მიდევნება;

- განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა;
- კულტურათა ეფექტური დიალოგისთვის კულტურებსა და კონტექსტებს შორის განსხვავებების ცოდნა/გაცნობიერება და გათვალისწინება;
- სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული კომუნიკაციისთვის ინტერპერსონალური კომპეტენტურობის (იზომორფული ატრიბუცია, ქცევის ანალიზის უნარი, სხვათა მოლოდინების ცოდნა და საჭიროებისამებრ, გათვალისწინება და სხვ.) ფლობა;
- აგრესიული ეთნოცენტრიზმის მიუღებლობა;
- მრავალეროვან კოლექტივში თანამშრომლობისთვის ეთიკური სტანდარტების გაცნობიერება და დაცვა;
- საზოგადოდ, საქმიან ურთიერთობებში ეთიკური ნორმების დაცვა.
- ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

გ) კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები.

- შედარებითი ანთროპოლოგიური და ფსიქოლოგიური კვლევებით დაინტერესებული ცენტრები (როგორც სამეცნიერო, ისე გამოყენებითი).
- როგორც სოციო-ჰუმანიტარული, ისე საბუნებისმეტყველო ორიენტაციის ადამიანის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები;
- კულტურისა და კულტურული სპეციფიკის შემსწავლელი სამეცნიერო ორგანიზაციები ან მათი განყოფილებები;
- უმაღლესი სასწავლებლები, სადაც არსებობს ანთროპოლოგიის, ფსიქოლოგიისა და კულტურის შემსწავლელი სპეციალობები, ან არსებობს მათზე მოთხოვნილება;
- სამთავრობო და კერძო სტრუქტურები, რომელთა ინტერესები მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს დინამიკის შესწავლას;
- სპეციალიზებული კვლევითი ორგანიზაციები/ცენტრები (სამთავრობო და არასამთავრობო სექტორები), რომელთა ინტერესი მოიცავს სოციალური და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ანალიზს ფსიქოანთროპოლოგიური კვლევითი მონაცემების გამოყენებით (ეკონომიკა, ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი, განათლება, მედიცინა, მასმედია, პოლიტიკა, სამართალი, მომსახურების სფერო და ა.შ.);
- სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ მოთხოვნილება ფსიქოანთროპოლოგიურ კვლევით მონაცემებზე და სხვა.

5. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები. პროგრამა ინტერდისციპლინურია და ამდენად ღიაა. სავალდებულია უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით და გასაუბრება სპეციალობაში პროგრამის მიმღებ დარგობრივ კომისასთან.

6. სასწავლო და კვლევითი კომპონენტები. სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისგან. ყოველი დოქტორანტისთვის სასწავლო კომპონენტების შინაარსობრივი შერჩევა ხდება, ერთი მხრივ, მისი საბაზო განათლების გათვალისწინებით, მეორე მხრივ, პროგრამის ფარგლებში მოსამზადებელი დისერტაციის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამა ეფუძნება შემდეგ სასწავლო და კვლევით კომპონენტებს:

მთლიანობაში მოიცავს 180 ECTS კრედიტს.
დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი (40 კრედიტი) გულისხმობს შემდეგ სალექციო
კურსებს და სხვა სახის აქტივობებს:
სავალდებულო კომპონენტებია:

- სწავლების მეთოდები - 5 კრედიტი;
- აკადემიური წერა (კვლევის მეთოდების კომპონენტებით) - 5 კრედიტი (სავალდებულო სალექციო კურსი მათთვის, ვისაც აკადემიური წერა და/ან კვლევის მეთოდები სწავლების წინა საფეხურზე არ გაუვლია);
- დოქტორანტის სემინარი - 15 კრედიტი;
- პროფესორის ასისტენტობა – 5 კრედიტი.

სასწავლო კომპონენტის სხვა ელემენტები არჩევითია.

- დოქტორანტის სემინარი – 15 კრედიტი;
- პროფესორის ასისტენტობა – 10 კრედიტი;
- შესავალი გამოყენებით სტატისტიკაში - 5 კრედიტი;
- სოციალური კვლევის მეთოდები – 5 კრედიტი;
- სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფია – 5 კრედიტი;
- მეცნიერების მენეჯმენტი – 5 კრედიტი;
- ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა –10 კრედიტი;
- საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების თანამედროვე მეთოდები– 10 კრედიტი;
- საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო კურსები – 5–25 კრედიტი;
- სხვა სახის აქტივობა 5–15 კრედიტი.

სადოქტორო სემინარები მიმართულია დოქტორანტებში კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარებისკენ, დარგსა და მის მომიჯნავე სამეცნიერო სფეროებში არსებული ცოდნის ინტეგრირებისა და განზოგადებისაკენ. დოქტორანტი ვალდებულია სემესტრში

ყოველი სასემინარო თემის ფარგლებში დამოუკიდებლად დაამუშავოს ოთხი საკითხი და სადისკუსიოდ წარმოადგინოს სემინარზე. სასემინარო მუშაობის ფარგლებში, პრეზენტაციის გარდა, დოქტორანტი ვალდებულია წერილობით წარმოადგინოს ანალიტიკური ესსე მის მიერ დამუშავებული საკითხების ბაზაზე. სემინარზე იმართება დისკუსია.

ინდივინდუალურ სასწავლო გეგმას, საუნივერსიტეტო სტანდარტის სქემის მიხედვით, ადგენს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.
სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს 2 კოლოკვიუმს (თითოეულისთვის 20 კრედიტი) 40 კრედიტის ოდენობით და სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა–100 კრედიტი.
კოლოკვიუმი: დოქტორანტურაში სწავლის IV და V სემესტრებში სადოქტორო ნაშრომთან დაკავშირებით გაწეული კვლევითი საქმიანობის შესახებ დოქტორანტი პრეზენტაციით წარდგება პროგრამის სპეციალიზებული სექციის სხდომაზე. თითოეული კოლოკვიუმი ფასდება 20 კრედიტით.

7. სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ბაზები, რესურს–ცენტრები და სხვა.

შესაძლებელია 10-მდე დოქტორანტის მიღება.

8.სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;

დისკუსია/დებატები – სტუდენტთა ჩართულობის ხარისხისა და აქტივობის ასამაღლებლად, კრიტიკული აზროვნების (ალტერნატიული თვალსაზრისების გამოვლენა, არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების, შეფასების წარმოჩენა, ერთი თვალსაზრისის სხვადასხვა პოზიციიდან შეფასება, პრობლემის ანალიზისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების გამოვლენა/შეფასება) განსავითარებლად, სტუდენტში კამათის კულტურის ჩამოსაყალიბებლად. პროფესორი წარმართავს დისკუსიას და პერიოდულად ერთვება მასში.

წიგნზე მუშაობა - თეორიული მასალების (სალექციო და საპრეზენტაციო) დამუშავება.

წერითი მუშაობა - წერითი კოლოკვიუმების შესრულება, ესსეს დაწერა, საპრეზენტაციო ტექსტის, აგრეთვე, კვლევითი დავალების წერილობითი ფორმით მომზადება.

შემთხვევის ანალიზი (Case study) - კროსკულტურულ კვლევებზე დაყრდნობით ლექციაზე კონკრეტული კულტურალური შემთხვევების განხილვა; მეთოდთა სწავლებისას კონკრეტული კვლევების განხილვის საფუძველზე მეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებული სპეციფიკური ასპექტების რეფლექსია.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - პრობლემის დასმა და გამოყენება საწყის ეტაპად ახალი ცოდნის მიღებისა და კონტექსტუალიზაციისთვის.

გონებრივი იერიში (Brain storming) - სტუდენტებში შემოქმედებითი მიდგომის განსავითარებლად, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით რადიკალურად განსხვავებული აზრების, იდეების გამოვლენის, გენერირებისა და ვერბალიზაციის ხელშეწყობა.

პროფესორის მიერ ერთი ან რამდენიმე მეთოდის გამოყენება ხდება სასწავლო კურსის ამოცანების შესაბამისად.

9. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;

(A) 91 -100 ფრიადი
(B) 81 -90 ძალიან კარგი
(C) 71 -80 კარგი
(D) 61 -70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51 - 60 საკმარისი
(FX) 41 - 50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება
(F) 0 – 40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისთვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება საერთო/საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად:

ულები	შეფასება
summa cum laude	ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი)
magna cum laude	ძალიან კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება)
cum laude	კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს) აღემატება
Bene	საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს)
Rite	დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს)

Insufficienter	არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს)
sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს)

ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, საშუალო და დამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშევებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

10. პროგრამის მონაწილე აკადემიური პერსონალი (დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირების) ბიოგრაფიული მონაცემები (CV).
ლალი სურმანიძე
ნინო კიღურაძე
თამარ გაგოშიძე
ვახტანგ ნადარეიშვილი
შალვა აბზიანიძე
თამარ აბაშიძე
ირინე ჟვანია
მანანა მელიქიშვილი
ლია წულაძე

სწავლების ენა: ქართული

ფინანსური უზრუნველყოფა: სადოქტრო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ.

1. **სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: კლინიკური ნეიროფსიქოლოგია. Clinical Neuropsychology.**
2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფსიქოლოგიის დოქტორი. PhD in Psychology
3. პროგრამის ხელმძღვანელი: თამარ გაგოშიძე, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი. (იხ. დამატება CV).

სადოქტორო პროგრამის ანალოგი: უფრო ხშირია კლინიური ნეიროფსიქოლოგიის პროგრამა, როგორც კონცენტრაცია კლინიკური ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე. დამოუკიდებელი სადოქტორო პროგრამებია კლინიკურ ნეიროფსიქოლოგიაში: ვინძორის

უნივერსიტეტში, ონტარიო, კანადა; ჰიუსტონის უნივერსიტეტში, ტეხასი, აშშ; ცინცინატის უნივერსიტეტში, აშშ; ნიუ-იორკის სითი უნივერსიტეტის ქუინს კოლეჯი, აშშ.

4. სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

პროგრამის აქტუალურობა:

დასავლეთის ქვეყნებში ბოლო 20 წლის მანძილზე კლინიკური და ექსპერიმენტული ნეიროფსიქოლოგია განსაკუთრებული სისწრაფით განვითარდა. დღეს წარმოუდგენილია კვლევები ნეირომეცნიერებებში ნეიროფსიქოლოგიური დიაგნოსტიკური მეთოდებისა და ნეიროფსიქოლოგიური მოდელების გარეშე.

კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სპეციალობა ახალია საქართველოში. დღემდე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის თ. გაგოშიძის ხელმძღვანელობით კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის მაგისტრების ექვსი გამოშვება მომზადდა. დოქტორის ხარისხის კლინიკური ნეიროფსიქოლოგი საქართველოში კი დღეს იშვიათობაა.

ჯანდაცვის და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები საჭიროებენ პრაქტიკული და თეორიული ცოდნით აღჭურვილ მაღალი დონის პროფესიონალ ფსიქოლოგებს, ვისაც მულტიდისციპლინურ გუნდში მუშაობის კომპეტენციები აქვს და შეუძლია მომიჯნავე სფეროებში, მაგ. ნეირომეცნიერებებში, სპეციალურ განათლებაში, ფსიქიატრიასა და ნევროლოგიაში, პირველად და საზოგადოებრივ ჯანდაცვაში თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული ჩვევების გამოყენება.

დღეს საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მწვავედ დგას ფსიქიკური ჯანმრთელობის და ინვალიდობის ექსპერტიზის საკითხები, რასაც ნეიროფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა, ინტელექტისა და ფუნქციონალური უნარების ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა და პროფესიული ინტერპრეტაცია სჭირდება. გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვანია განვითარებაში შეფერხებული ბავშვების და განვითარების დარღვევების ადრეული დიაგნოსტიკა და ინტერვენცია.

დღეს საქართველოს განათლების სისტემაში აქტიურად ინერგება ინკლუზიური განათლების პრინციპები. ნეიროფსიქოლოგიური ცოდნა და კომპეტენციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრის, აბილიტაციის გეგმის შედგენისა და პროგნოზის საკითხებში. ნეიროფსიქოლოგიური ცოდნის სასკოლო განათლებაში გამოყენების ეფექტურობის გამო აშშ-ში პოპულარული გახდა სკოლის ნეიროფსიქოლოგის სპეციალობა.

 აქტუალურია სპეციალიზებულ ნევროლოგიურ და ფსიქიატრიულ კლინიკებში ნეიროფსიქოლოგიური სამსახურების შექმნა, რაც ხელს უწყობს დროულ და ზუსტ დიაგნოსტიკას და დახმარებას დარღვეული ფსიქიკური ფუნქციების აღდგენაში თუ ქცევის რეგულაციაში. ასევე მნიშვნელოვანია ნეიროქირურგიული ოპერაციების შემდგომი მდგომარეობის დიაგნოსტიკა და მედიკამენტების გვერდითი ეფექტების განსაზღვრა, რაც ნეიროფსიქოლოგიური კვლევის გარეშე შეუძლებელია.

ნეიროფსიქოლოგიური რეაბილიტაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალა-ტინვის ტრავმებისა და ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლის შემდგომი მდგომარეობების დროს. ის ხელს უწყობს დარღვეული ფუნქციების აღდგენას და ინვალიდიზაციის პრევენციას.

სადოქტორო პროგრამა ეფუძნება კლინიკურ ნეიროფსიქოლოგიაში სადოქტორო პროგრამებისათვის APA-ს სახელმძღვანელოში (The Clinical Neuropsychologist, 1987, vol.1, N1, pp.29-34) მოცემულ და ჰიუსტონის კონფერენციაზე (Houston Conference in specialty education and training in clinical neuropsychology, 1997) მიღებულ პრინციპებს, კერძოდ მკვლევარი-პრაქტიკოსის მოდელს.

საკვლევი პრობლემები:

ნეირო- და კოგნიტური ფსიქოლოგიის მიმართულებაზე იგეგმება კვლევითი პროექტები, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა კვლევებს აწარმოებენ ბაკალავრები, მაგისტრები და დოქტორები. კერძოდ:

1. ჯანმრთელი ხანშიშესული და დემენციის მქონე პირების ნეიროფსიქოლოგიური დიფერენციული დიაგნოსტიკის კრიტერიუმების შემუშავება;
2. იმპლიციტური მეხსიერება, იმპლიციტური დასწავლა და პრაიმინგი თავის ტვინის ორგანული დაზიანების დროს;
3. სენსორული ინტეგრაცია, სენსო-მოტორული უნარების განვითარება და მათი კავშირი აკადემიურ მიღწევებთან;
4. კითხვის დარღვევების პრედიქტორების კვლევა სკოლამდელ ასაკში;
5. ეპილეფსიური და არაეპილეფსიური გულყრების დიფერენციული ნეიროფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა;
6. ეპილეფსიის ფსიქო-სოციალური პრობლემები;
7. ემოციური სფერო და პიროვნების მახასიათებლები ეპილეფსიის დროს;
8. ეპილეფსიის მქონე ბავშვების განვითარებაზე ანტილონვულსანტების მოქმედების ეფექტები;
9. თვით-მართვა და თვით-ეფექტურობა ეპილეფსიის დროს და მკურნალობის გამოსავალი;
10. უმაღლესი აღმასრულებელი ფუნქციების ნეიროფსიქოლოგიური ანალიზი ბავშვებში და მათი კავშირი ქცევით აშლილობებთან;
11. აუტიზმისა და მეტყველების სპეციფიკური დარღვევების ქცევითი და ლინგვისტური პატერნები;
12. მხედველობით-სივრცითი და ვერბალური უნარების განვითარება და თავის ტვინის ატიპური ფუნქციური ასიმეტრია დაწყებითი სასკოლო ასაკის მოსწავლეებში;
13. ექსპრესიული და რეცეპტული მეტყველების დარღვევები და თავის ტვინის გამოწვეული პოტენციალები სკოლამდელი ასაკის ბავშვებში;
14. განწყობის გადანაცვლების ეფექტი თავის ტვინის ლოკალური დაზიანების დროს.

ა) სადოქტორო პროგრამის მიზანი:

კლინიკურ ნეიროფსიქოლოგიაში მკველვარი-პრაქტიკოსის ჩამოყალიბება, რომელსაც ექნება თანამედროვე სტანდარტებით სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დამოუკიდებელი დაგეგმვისა და განხორციელების კომპეტენცია ნეიროფსიქოლოგიის დარგში და განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში სამუშაო პრაქტიკული პროფესიული ჩვევები.

ბ) სადოქტორო პროგრამის შედეგი:

სადოქტორო პროგრამის სრული კურსის გავლისა და დისერტაციის დაცვის შემდეგ კურსდამთავრებულს გამომუშავებული და ჩამოყალიბებული ექნება:

ცოდნა და გაცნობიერება:

- კლინიკური, კოგნიტური და რეაბილიტაციური ნეიროფსიქოლოგიის სფეროში კლასიკური და თანამედროვე თეორიული მოდელების პრობლემური გააზრება და მათ შორის ღრმა, ინტეგრალური მიმართებების გაცნობიერება;
- ტვინი-ფსიქიკის ურთიერთმიმართების ფილოსოფიური, ნეიროფსიქოლოგიური, ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური შეხედულებების საფუძვლიანი გააზრება და მათი შემოქმედებითი ინტეგრირება თავის ტვინის ფუნქციონირების შესახებ თანამედროვე შეხედულებასთან;

- ნეიროფსიქოლოგიური კვლევითი მეთოდოლოგიის შემოქმედებითი გაცნობიერება ავადმყოფობა-ჯანმრთელობის, ფსიქიკური ჯანმრთელობა-ფსიქიკური აშლილობის პარადიგმებში;
- ნეიროფსიქოლოგიური დიაგნოსტიკური მეთოდებისა და მათი ინტერპრეტირების საფუძვლიანი ცოდნა.
- თავის ტვინის ფუნქციონირების ნეიროფსიქოლოგიური მოდელების შედარებითი ანალიზი და მათი მიმართების გაცნობიერება ადამიანის ქცევის, ემოციური რეგულაციისა და დასწავლის ფსიქოლოგიურ მექნიზმებთან;
- სუპერვიზიის მეთოდოლოგიის ცოდნა და გაცნობიერება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- სამეცნიერო კვლევითი, ექსპერიმენტული თუ გამოყენებითი სამუშაოს დამოუკიდებლად წარმოება:
    - ✓ კვლევის პრობლემის დასმა, ჰიპოთეზების ჩამოყალიბება;
    - ✓ კვლევის დაგეგმვა და დიზაინის შერჩევა;
    - ✓ კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევა და კვლევითი სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენება;
    - ✓ მონაცემთა დამუშავება და შედეგების ანალიზი;
    - ✓ შედეგების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პრეზენტაცია წერილობითი და ზეპირი სახით (სტატიები, მოხსენებები, სადისერტაციო ნაშრომი).

- სწავლებისა და სუპერვიზიის ჩვევები:
- ✓ სწავლების ეფექტური მეთოდების გამოყენება;
- ✓ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სალექციო კურსების შექმნა და გაძღოლა;
- ✓ სუპერვიზიის მეთოდოლოგიის გამოყენება.

- ნეიროფსიქოლოგიური შეფასების ჩვევები:
    - ✓ ანამნეზის შეკრება და ისტორია;
    - ✓ პრობლემის ადეკვატური ტესტების და შეფასების მეთოდის შერჩევა და ჩატარება;
    - ✓ შედეგების ინტერპრეტაცია და დიაგნოზი;
    - ✓ მკურნალობის დაგეგმვა;
    - ✓ ანგარიშის დაწერა;
    - ✓ უკუკავშირის უზრუნველყოფა.

- რეაბილიტაციისა და ინტერვენციის მეთოდების გამოყენება:
    - ✓ ინტერვენციის მიზნების განსაზღვრა;
    - ✓ ინტერვენციის საჭიროების სპეციფიკაცია;
    - ✓ ინტერვენციის გეგმის შექმნა და განხორციელება;

- ✓ ინტევენციის გეგმის მონიტორინგი და ცვლილებების შეტანა მუშაობის პროცესში;
- ✓ ინტერვენციის შედეგების შეფასება;
- ✓ რეაბილიტაციის საჭიროების განსაზღვრა და დაგეგმვა;
- ✓ რეაბილიტაციის სხვადასხვა მოდელის გამოყენება საჭიროების მიხედვით;
- ✓ რეაბილიტაციის ადეკვატური ნეიროფსიქოლოგიური მეთოდების შერჩევა და გამოყენება.

• ნეიროფსიქოლოგიური კონსულტაცია (პაციენტის, ოჯახის წევრების, ექიმების, მასწავლებლების):
- ✓ პრობლემის იდენტიფიკაცია;
- ✓ ეფექტური კომუნიკაცია;
- ✓ პრობლემის დაძლევისათვის რეკომენდაციების მიწოდება.

ზოგადი ტრანსფერული უნარები:

სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დოქტორანტი გამოიმუშავებს შემდეგ უნარებს:
- ✓ • ინფორმაციისა და მოვლენათა კრიტიკული ანალიზის;
- ✓ • ახალი იდეების პროდუცირების;
- ✓ • სხვადასხვა თეორიული მიდგომებისა და პრინციპების ინტეგრირების;
- ✓ • პრობლემური სიტუაციის ანალიზისა და ეფექტური გადაწყვეტილების მიღების;
- ✓ • ცოდნის მუდმივი განახლების.

დასკვნის უნარი:

• ფსიქოლოგიური, ნეიროფიზიოლოგიური და ნეიროფსიქოლოგიური თეორიული პარადიგმების ღრმა და კრიტიკული ანალიზის შედეგად წინააღმდეგობრივი იდეების წარმოჩენა;

• კლინიკური და კოგნიტური ნეიროფსიქოლოგიური მოდელების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მათი შემოქმედებითი და ახლებური გააზრება;

• დიაგნოსტიკის პროცესში მრავალმხრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე ადეკვატური გადაწყვეტილების მიღება და დასკვნის გამოტანა;

• პრობლემის გადაჭრის გზების მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზე პრობლემის გადაწყვეტის ადეკვატური სტრატეგიისა და ტაქტიკის შერჩევა;

• პრობლემისადმი მულტიდისციპლინური მიდგომის კონტექსტში კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი პასუხისმგებლობის აღება და გადაწყვეტილების მიღება.

კომუნიკაციის უნარი:

• სამეცნიერო ინფორმაციისა და კვლევის შედეგების დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა;

• თემატური პოლემიკის წარმოების კულტურა მშობლიურ და უცხოურ ენაზე;

• გუნდური მუშაობა:
- ✓ გუნდში დაგეგმვისა და მიზნის განსაზღვრის ჩვევები

- ✓ გუნდში გადაწყვეტილების მიღების ჩვევები
- ✓ გუნდში დისკუსიის წარმართვის ჩვევები.

სწავლის უნარი:

- ახალი იდეები მიღებისა და განვითარებისათვის მზაობა
- სწავლის პროცესის დაგეგმვა და მართვა
- კვლევასა და პრაქტიკაში ახალი მიღწევების ინტეგრირება
- სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის კომბინირება.

სოციალური უნარი:

- კომუნიკაციის დამყარებისა და ინტერპერსონალური ურთიერთობის ეფექტურად წარმოების უნარი;
- დამარწმუნებელი კომუნიკაციის წარმოების უნარი;
- ემპათიის უნარი.

ღირებულებები:

სადოქტორო პროგრამის ფარგლებში კურსდამთვარებულს გათავისებული უნდა ჰქონდეს:

- პროფესიული ეთიკური ნორმები (კვლევაში მონაწილე ადამიანთა უფლებების დაცვა, მათი ინფორმირებული თანხმობის უზრუნველყოფა, კლიენტის პატივისცემა და მისი მონაცმების კონფიდენციალობა, მიუკერძოებლობა დიაგნოსტიკისა და შედეგების ინტერპრეტაციის პროცესში, კლინეტის ადვოკატირება)
- საქმიანი ურთიერთობების ეთიკური ნორმები
- სხვა ადამიანების შეხედულებებისა და ღირებულებების მიმართ ტოლერანტობა;
- კულტურული მრავალფეროვნებისა და განსხვავებების მიმღებლობა და პატივისცემა;
- ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება, ახალი ღირებულებების ფორმირებაში აქტიური მონაწილეობა.

გ) კურსდამთვარებულთა დასაქმების სფეროები:

სადოქტორო პროგრამის დამთავრების შემდგომ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დაგეგმვა და წარმოება ნეიროფსიქოლოგიის დარგში;
- ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონირების და ქცევის ურთიერთმიმართების შესახებ ღრმა და თანამედროვე ცოდნის დემონსტრირება;
- მოზრდილის და ბავშვის ნეიროფსიქოლოგიური დიაგნოსტიკის, რეაბილიტაციის და კონსულტაციის პროფესიულ დონეზე წარმოება;
- სასწავლო კურსის პროგრამის შედგენა და სასწავლო პროცესის წარმართვა.

სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდგომ დოქტორანტს შეუძლია იმუშაოს:

- უმაღლეს სასწავლებელში,
- საავადმყოფოების ნევროლოგიურ ან ფსიქიატრიულ განყოფილებაში,
- სპეციალიზებულ სამედიცინო ცენტრებში,
- რეაბილიტაციისა და დღის ცენტრის სამსახურებში,
- ადრეული ინტერვენციის ცენტრებში,
- სკოლისა და საბავშვო ბაღის კონსულტანტად,
- საზოგადოებრივ ჯანდაცვაში,
- განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო სტრუქტურებში.

5. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები.

პროგრამაში სწავლის უფლება აქვთ:

- პირებს, რომელთაც აქვთ ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხი და მინიმუმ ერთი წელი კლინიკური გამოცდილება;
- პირებს რომელთაც აქვთ მიღებული მაგისტრის ხარისხი კლინიკურ ნეიროფსიქოლოგიაში;
- პირებს, რომელთაც აქვთ ბიოლოგიის მაგისტრის ხარისხი ან პირველი საფეხურის სამედიცინო დიპლომი.

6. სასწავლო კომპონენტი.

იგეგმება და ხორციელდება უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტისა და ფაკულტეტის სადისერტაციო დებულების შესაბამისად.

დოქტორანტის სამეცნიერო და პროფესიული კომპეტენციის მაღალი დონის მისაღწევად სადოქტორო პროგრამის აღნიშნულ მოდელში გათვალისწინებულია კლინიკური, დიდაქტიკური და აკადემიური კომპონენტები.

სასწავლო კომპონენტი (40 კრედიტი).

სავალდებულო კურსები:

- სწავლების თანამედროვე მეთოდები - 5 კრედიტი
- აკადემიური წერა (კვლევის მეთოდების კომპონენტებით) - 5 კრედიტი (სავალდებულო სალექციო კურსი მათთვის, ვისაც აკადემიური წერა და/ან კვლევის მეთოდები სწავლების წინა საფეხურზე არ გაუვლია);
- პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი
- სადოქტორო სემინარი: 15 კრედიტი

თემები:

- ✓ ნეიროფსიქოლოგიის ნეიროანატომიული და ნეიროფიზიოლოგიური საფუძვლები.
- ✓ თავის ტვინის ფუნქციონირების კლასიკური და თანამედროვე ნეიროფსიქოლოგიური მოდელები.
- ✓ ფსიქოპათოლოგიის საკლასიფიკაციო სისტემები.
- ✓ ინტერვენციისა და რეაბილიტაციის ნეიროფსიქოლოგიური და ფსიქოლოგიური მოდელები.

სასწავლო კომპონენტის სხვა ელემენტები არჩევითია

- დოქტორანტის სემინარი – 15 კრედიტი;
- პროფესორის ასისტენტობა – 10 კრედიტი;
- შესავალი გამოყენებით სტატისტიკაში - 5 კრედიტი;
- სოციალური კვლევის მეთოდები – 5 კრედიტი;
- სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფია – 5 კრედიტი;
- მეცნიერების მენეჯმენტი – 5 კრედიტი;
- ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა –10 კრედიტი;
- საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების თანამედროვე მეთოდები– 10 კრედიტი;
- საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო კურსები – 5–25 კრედიტი;
- სხვა სახის აქტივობა 5–15 კრედიტი.
-

სადოქტორო სემინარის შეფასება:
დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს პრეზენტაცია შესაბამის საკითხზე და ესსე.

პრეზენტაცია ფასდება 40 ქულით:

- თემის გარშემო მოძიებული მასალის მრავალფეროვნება და სიახლე - 10 ქულა;
- პრობლემის წარმოდგენა და კრიტიკული ანალიზი - 10 ქულა
- პრეზენტაციის სტრუქტურა და ლოგიკური თანმიმდევრობა: 10 ქულა;
- პრეზენტაციის გაფორმება და ენობრივი მხარე: 5 ქულა;
- პრეზენტაციის წარმოდგენა და აუდიტორიასთან კომუნიკაცია: 5 ქულა.

ესსე ფასდება 60 ქულით:

- საკითხის დაყენება – 10 ქულა
- ინფორმაციის შედარებითი ანალიზი – 10 ქულა
- მოყვანილი თეზების მომხრე და საწინააღმდეგო არგუმენტების ანალიზი – 10 ქულა
- ფაქტების, თეორიების თუ მოდელების კლასიფიკაციის პრინციპების მოაზრება – 15 ქულა

- ესსეს სტრუქტურა და ლოგიკური თანმიმდევრობა – 10 ქულა
- ენობრივი მხარე და გაფორმება – 5 ქულა

კვლევითი კომპონენტი (140 კრედიტი):
• დისერტაციის ანუ სამეცნიერო ნაშრომის შესრულება (100 კრედიტი).
- ✓ 2 კოლოკვიუმი - 40 კრედიტი
- ✓ საერთაშორისო კონფერენციაზე წარდგენილი 1 პოსტერი. 10 კრედიტი
- ✓ 1 სტატიის მომზადება. 20 კრედიტი.

• სადოქტორო კოლოკვიუმი წარმოდგენილი იქნება პრეზენტაციებით სადისერტაციო ნაშრომის გარშემო სადისერტაციო საბჭოს სპეციალიზებული სექციის სხდომაზე. დოქტორანტი ვალდებულია წარსდგეს პრეზენტაციით სპეციალიზებული სექციის სხდომაზე წელიწადში ერთხელ მაინც.

7. პროგრამის უზრუნველყოფის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:
სადოქტორო პროგრამა კლინიკურ ნეიროფსიქოლოგიაში განხორციელდება ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტის კლინიკურ ბაზაზე. მისამართი: ვაჟა-ფშაველას 83/11 , ტელ.: 912947.

8. პროგრამაში შესაძლებელია 8 დოქტორანტის მიღება.

9. პროგრამის მონაწილე აკადემიური პერსონალის ბიოგრაფიული მონაცემები

თამარ გაგოშიძე, სრული პროფესორი
შორენა მამუკაძე, ასისტენტ პროფესორი
ანა ყარაულაშვილი, ნეიროფსიქოლოგი, ფსიქოლოგიის დოქტორი
ნინო მაზიაშვილი, ნეიროფიზიოლოგი, ბიოლოგიის დოქტორი
ძირითადი საკონტაქტო პირი: თამარ გაგოშიძე

10. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: სადოქტორო პორგრამის ფინანსურ უზრუნველყოფა ხდება თსუ-ს ბიუჯეტის საფუძველზე.

1. **სადოქტორო პროგრამის დასახელება: ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება. Organization Development and Consulting**

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფსიქოლოგიის დოქტორი PhD in Psychology

3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 180 კრედიტი.

4. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები: ნოდარ ბელქანია, ფსიქოლოგიის დოქტორი, სრული პროფესორი; ფრიდრიხ გლაზლი (ზალზბურგი, ავსტრია) პროფ. დოქტორი; კოორდინატორი – ასოც. პროფესორი მანანა მელიქიშვილი

5. სწავლების ენა: ქართული

6. სადოქტორო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირების დანერგვის ხელშეწყობა საქართველოში, არსებული ცოდნის გაღრმავება და ახალი გამოცდილების დაგროვება, უმაღლესი რანგის სპეციალისტების მომზადება, რომლებიც იმუშავებენ უმაღლეს საგანმანათლებლო ან კვლევით დაწესებულებებში; დოქტორანტების მაღალი რანგის მეცნიერებად, მკვლევარებად და პრაქტიკოსებად ჩამოყალიბება.

7. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობა: პროგრამა ინტერდისციპლინურია. მიიღებიან მინიმუმ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს: უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით და გასაუბრება სპეციალობაში.

8. სწავლის შედეგი: კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს შემდეგი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები:

ა) ცოდნა და გაცნობიერება: უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა და მისი ეკონომიკური, სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ასპექტების გააზრება–გაცნობიერება; ორგანიზაციათა სტრუქტურისა და დინამიკის, ასევე ორგანიზაციებში ადამიანური ფაქტორის და მისი როლის გაცნობიერება; ორგანიზაციის ელემენტებზე დაკვირვება და ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესების სიღრმისეული ანალიზი, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე); არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფსების გზით, ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება; სადოქტორო თემის ირგვლივ ინტეგრაციული ცოდნის მოპოვება და გენერირება.

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დანერგვა, განხორციელება და ზედამხედველობა; ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში; ორგანიზაციის განვითარების სფეროში დამოუკიდებელი სამუშაოების ჩატარება; კურიკულუმების შედგენა; სასწავლო პროცესის წარმართვა და სწავლება; არსებული ცოდნის გაფართოება და ახალი საკონსულტაციო მეთოდების შექმნა; სადოქტორო თემის ირგვლივ ინტეგრაციული ცოდნის მოპოვება და გენერირება. სიტუაციის დამოუკიდებლად გაანალიზება, ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება და პრობლემის გადაჭრა; ორგანიზაციის განვითარებისათვის აუცილებელი ინოვაციის – ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირების დანერგვა საქართველოში.

გ) დასკვნის უნარი: შეუძლია საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე სამეცნიერო საზოგადოებასთან უახლესი სამეცნიერო მიღწევების გარკვევით და დასაბუთებულად წარმოჩენა; ახალი რთული და წინააღმდეგობრივი იდეების კრიტიკული ანალიზი, პრობლემების იდენტიფიკაცია და მათი გადაჭრისათვის ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება.

დ) კომუნიკაციის უნარი: ორგანიზაციის განვითარების და კონსულტირების სფეროში ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა; ასევე საერთაშორისო აკადემიურ წრეებთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხო ენაზე.

ე) სწავლის უნარი: აქვს ორგანიზაციის განვითარების და კონსულტირების სფეროს უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე დაფუძნებული ახალი შეხედულებების გაცნობის გზების, შესწავლის, ათვისებისა. უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების/პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და პროფესიული საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში.

ვ) ღირებულებები: ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება; პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა; განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა; სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული კომუნიკაციისთვის საჭირო ინტერპერსონალური კომუნიკაციების ფლობა.

9. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

- ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- დისკუსია/დებატები;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- დემონსტრირების მეთოდი;
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი;
- წერითი მუშაობის მეთოდი.

პროფესორი შეიძლება იყენებდეს ერთ ან რამდენიმე მეთოდს, ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო–კვლევითი ამოცანის შესასრულებლად.

10. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

11. სადოქტორო პროგრამის კომპონენტები:

სასწავლო კომპონენტს ეთმობა 40 კრედიტი, ხოლო კვლევით კომპონენტს 140.

დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს შემდეგ სალექციო კურსებს და სხვა სახის აქტივობებს.

სავალდებულო კურსებია:

- ✓ სწავლების მეთოდები - 5 კრედიტი ;
- ✓ აკადემიური წერა (კვლევის მეთოდების კომპონენტებით) - 5 კრედიტი (სავალდებულო სალექციო კურსი მათთვის, ვისაც აკადემიური წერა და/ან კვლევის მეთოდები სწავლების წინა საფეხურზე არ გაუვლია);
- ✓ დოქტორანტის სემინარი - 15 კრედიტი;
- ✓ პროფესორის ასისტენტობა – 5 კრედიტი.
- ✓ სასწავლო კომპონენტის სხვა ელემენტები არჩევითია.
- ✓ დოქტორანტის სემინარი – 15 კრედიტი;
- ✓ პროფესორის ასისტენტობა – 10 კრედიტი
- ✓ შესავალი გამოყენებით სტატისტიკაში - 5 კრედიტი;
- ✓ სოციალური კვლევის მეთოდები – 5 კრედიტი;
- ✓ სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფია – 5 კრედიტი;
- ✓ მეცნიერების მენეჯმენტი – 5 კრედიტი;
- ✓ ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა –10 კრედიტი;
- ✓ საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების თანამედროვე მეთოდები– 10 კრედიტი;
- ✓ საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო კურსები – 5–25 კრედიტი;
- ✓ სხვა სახის აქტივობა 5–15 კრედიტი.

კვლევითი კომპონენტი მოიცავს 140 კრედიტს: 2 სავალდებულო კოლოკვიუმს (20 კრედიტი თითოეულისათვის) და სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა (100 კრედიტი).

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, საერთო საუნივერსიტეტო სქემის ფარგლებში, ადგენს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან ან სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

12. სამეცნიერო კვლევების მატერიალურ–ტექნიკური ბაზა.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ბაზები, რესურს–ცენტრები და სხვა.

13. მისაღები კონტინგენტი.

სადოქტორო პროგრამაზე შესაძლებელია 5 დოქტორანტის მიღება.

14. სადოქტორო პროგრამის მონაწილე აკადემიური პერსონალი.

ნოდარ ბელქანია, ფრიდრიხ გლაზლი, რევაზ ჯორბენაძე.

15. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა.

სადოქტრო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ.

1. სადოქოტორო პროგრამის დასახელება: შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფსიქოლოგიის დოქტორი. PhD in Psychology

3. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები: ია კუტალაძე, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი; გივი ქირია, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

4. სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება: სადოქტორო პროგრამის შექმნას წინ უსწრებდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფუნქციონირება, რომელმაც მოამზადა ბაზა წინამდებარე პროგრამის შესაქმნელად.

პროგრამის აქტუალობა. ბოლო წლებში, საქართველოში მკვეთრად გაიაზარდა მოთხოვნა მაღალი კვალიფიკაციის შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგებზე. დღეს, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სტრუქტურაში მწვავედ დგას პერსონალის შერჩევასა და შესრულებული სამუშაოს შეფასების სანდო და ვალიდური მეთოდების შექმნისა და/ან აპრობაციის, სხვადასხვა პიროვნული მახასითებლების, ინტელექტისა და ფუნქციონალური უნარების ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკისა და პროფესიული ინტერპრეტაციის საკითხი. ასევე, ორგანიზაციის ეფეტურობის პროექტირებისათვის აუცილებელი ფსიქოლოგიური ცოდნის საკითხი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სფეროში მომუშავე მეცნიერ-მკვლევარებისა და კონსულტანტების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ ორგანიზაციული პრობლემების იდენტიფიკაცია და პრობლემათა გადაჭრის ოპტიმალური სტრატეგიის შემუშავება, ორგანიზაციაში ადამიანის ქცევის განმაპირობებელი მოვლენების, ადამიანსა და ორგანიზაციას შორის ურთიერთმოქმედების სისტემური ანალიზი, ექნებათ ადამიანური რესურსისა, და ზოგადად, ორგანიზაციის ეფექტურობის პროექტირებისათვის აუცილებელი ცოდნა და მულტიდისციპლინურ გუნდში მუშაობის კომპეტენციები.

ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ორგანიზაციის ფსიქოლოგიის დარგში პედაგოგების მომზადება, რომლებიც თავის მხრივ სრულყოფენ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგების მომზადების პროგრამას და დანერგავენ სწავლების ახალ, თანამედროვე მეთოდებს. სწორედ, ამ საკითხების სიმწვავე განსაზღვრავს ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სფეროში პროფესიული კადრების მეცნიერ-მკვლევარების მომზადების აქტუალობას.

სადოქტორო პროგრამის მიზანი: შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დამოუკიდებელი დაგეგმვისა და განხორციელების კომპეტენციების შეძენა და პროფესიული ჩვევების სრულყოფა.

შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს სადოქტორო პროგრამის მონაწილეების მეცნიერებად, მკვლევარებად და მაღალი რანგის პრაქტიკოსებად ჩამოყალიბებას. ამასთან, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის პრიორიტეტია:

სწავლების მეთოდებისა და მეთოდოლოგიის დაუფლება:

- ⇒ სწავლების ეფექტური მეთოდების ათვისება;
- ⇒ კურიკულუმის და კურსის სასწავლო პროგრამის დაგეგმვის და დიზაინის შესწავლა.

ორგანიზაციის კონსულტანტისატვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების ფორმირება:

- ⇒ პრობლემის იდენტიფიკაცია;
- ⇒ ეფექტური კომუნიკაცია;
- ⇒ პრობლემის დაძლევისათვის რეკომენდაციების მიწოდება.

სადოქტორო პროგრამა ეფუძნება ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში სადოქტორო პროგრამებისათვის APA-ს სახელმძღვანელოში (The Industrial/Organizational Psychology, მე-14 თავი) მოცემულ პრინციპებს. ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა ძირითადად ფოკუსირებულია ფსიქოლოგიის ისეთ საკთხებზე როგორიცაა: ადამიანური რესურსების მართვის ფსიქოლოგია, პერსონალის შერჩევა, შესრულებული სამუშაოს შეფასება, ლიდერობა, ჯგუფის ეფექტურობა, ორგანიზაციული კვლევის მეთოდოლოგია, ორგანიზაციული კონფლიქტები, პროფესიული სტრესი, ტრენინგი და განვითარება.

სადოქტორო პროგარამის მონაწილეებს საშუალება ექნებათ, მიმართულების პროფესორებთან ერთად, ჩაერთონ მეცნიერულ კვლევაში. სწავლება და სწავლა დაეფუძნება თანამედროვე მეთოდოლოგიებს, დოქტორანტებს საშუალება ექნებათ მოამზადონ სხვადასხვა სახის კვლევითი პროექტები, წარადგინონ მეცნიერული მიგნებები პროფესიონალურ შეხვედრებზე და გამოაქვეყნონ სტატიები პროფესიონალურ ჟურნალებში.

სადოქტორო პროგრამის მონაწილეები აქტიურად არიან ჩართულნი კვლევითი პროექტების განხორციელების ყველა ეტაპზე: ლიტერატურის მოძიება ანალიზი, საკვლევი მასალების მომზადება, მონაცემთა შეგროვება, მონაცემთა ანალიზი, შედეგების ინტერპრეტაცია, კვლევისთვის რელევანტურ პროფესიულ კონფერენციებში მონაწილეობა და კლვევის ანოტაციების დასაბეჭდად მომზადება.

სავარაუდო საკვლევი პრობლემები:

პერსონალის შერჩევის ვალიდური სისტემების შექმნა და შეფასება;

სამუშაოს ჯგუფების ეფექტურობის პროექტირება;

ორგანიზაციული კვლევის დაგეგმვა, ორგანიზება; მეთოდოლოგიური ასპექტი (ორგანიზაციული კვლევებისათვის რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდების შექმნა და/ან ადაპტაცია).

ინტელექტის პრედიქტული ვალიდობის საკითხი პესონალის შერჩევაში;

პიროვნების შეფასების პრედიქტული ვალიდობის საკითხი პესონალის შერჩევაში;

შეფასების ცენტრის მეთოდოლოგია – პრედიქტული ვალიდობა, უპირატესობები და შეზღუდვები;

ორგანიზაციაში პერსონალის სოციალიზაციის პროცესის ძირითადი დეტერმინატები;

ორგანიზაციული კუტურისა და ნაციონალური კულტურის ურთიერთმიმართების საკითხისათვის;

შრომითი კმაყოფილების პიროვნული და ორგანიზაციული დეტერმინანტები;

სამუშაოს დიზაინისა და შრომითი კმაყოფილების ურთიერთმიმართების საკითხი;

პრაქტიკული ინეტელექტი, როგორც სამუშაოს შესრულების პრედიქტორი;

ორგანიზაციული ტრენინგის ეფქტურობის შეფასების კრიტერიუმები, ცოდნის ტრანსფერი;

შესრულებული სამუშაოს შეფასების ვალიდური სისტემების შექმნა;

ორგანიზაციული კონფლიქტების და პროფესიული სტრესის პრევენცია, პროფესიული სტრესის დაძლევის ორგანიზაციული და ინდივიდუალური პროგრამების შემუშავება

და სხვა.

პროგრამის შედეგი. სადოქტორო პროგრამის დამთავრების შემდგომ სპეცილისტს უნდა შეეძლოს:

ფსიქოლოგიის დარგში დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დაგეგმვა და წარმოება;

სასწავლო კურსის პროგრამის შედგენა და სასწავლო პროცესის წარმართვა _ უმაღლეს სასწავლებელში სწავლება და პროფესიული წვრთნა.

უფრო დეტალურად პროგრამის დასრულების შემდეგ ისინი შეიძენენ შემდეგ კომპეტენციებს:

ცოდნა და გაცნობიერება:

⇒ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, ტრადიციულ თეორიულ პარადიგმათა შემოქმედებითი და პრობლემური გააზრება.

⇒ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროთა ინტეგრალური და პრობლემური ხედვა როგორც თეორიულ, ისე მეთოდოლოგიურ პლანში;

⇒ ღრმა ინტეგრალური ცოდნა დამუშავებული თემის შესახებ;

⇒ საფუძვლიანი ცოდნა კვლევითი სტრატეგიების/მეთოდების, აგრეთვე, მათი გამოყენების პრინციპების შესახებ.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

⇒ ინოვაციური და, საზოგადოდ, მეცნიერული და გამოყენებითი კვლევითი საქმიანობის დამოუკიდებლად დაგეგმვა, კვლევის წარმართვა, საკვლევი სფეროსთვის ადეკვატური კვლევითი სტრატეგიის, მეთოდის შერჩევა/გამოყენება და მოპოვებულ მონაცემთა ინტერპრეტაცია;

⇒ ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება;

⇒ საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში ასახვადი მეცნიერული პროდუქციის შექმნა;

⇒ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სალექციო კურსების შექმნა და გაძღოლა;

⇒ შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენება (ორგანიზაციული კვლევა, ორგანიზაციული პრობლემების იდენტიფიკაცია, პრობლემათა დაძლევის სტრატეგიების შემუშავება და სხვა).

დასკვნის უნარი:

⇒ ტრადიციულ თეორიულ პარადიგმათა შემოქმედებითი და პრობლემური გააზრება, ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება;

⇒ ახალი მეთოდების შემუშავება;

⇒ პრობლემის გადასაჭრელად სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.

კომუნიკაციის უნარი: ახალი და არსებული ცოდნის ურთიერთმიმართების დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე .

სწავლის უნარი: არსებული ცოდნის გაფართოების, განვითარების თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების მზაობა (რეფერირებადი პუბლიკაციისთვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე);

კურსდამთავრებულის კომპეტენცია, აგრეთვე, მოიცავს:

- ⇒ უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში;
- ⇒ ცოდნის ტრანსფერის, მოვლენათა კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის, ახალი იდეების გენერირების, ცოდნის მუდმივი განახლების, საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის - უნარები.
- ⇒ სამეცნიერო და პრაქტიკულ პრობლემათა ანალიზი და ადეკვატური რეკომენდაციების შეთავაზება.

ღირებულებები:

ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

- ⇒ პროფესიული ეთიკური ნორმების დაცვა (კვლევებში მონაწილე ადამიანთა უფლებების დაცვა, რეალური კვლევითი მონაცემების წარდგენა და სხვა);
- ⇒ ღირებულებათა (შრომითი განწყობები და ღირებულებები, ორგანიზაციული ღირებულებები და კულტურა) დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება;
- ⇒ განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა;
- ⇒ მრავალეროვან კოლექტივში თანამშრომლობისთვის ეთიკური სტანდარტების გაცნობიერება და დაცვა;
- ⇒ საზოგადოდ, საქმიან ურთიერთობებში ეთიკური ნორმების დაცვა.

დასაქმების სფეროები _ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის დოქტორს აქვს დასაქმების ფართო პერსპექტივა სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციაში:

- ⇒ უმაღლესი სასწვლებელი, სადაც არსებობს შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის, ადამიანური რესურსის მართვის, ბიზნესისა და მენეჯმენტის შემსწავლელი სპეციალობები;
- ⇒ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; სპეციალიზებული კვლევითი ორგანიზაციები და ტრენინგ ცენტრები;
- ⇒ კერძო სტრუტურა, სახელმწიფო უწყება, რომელთა ინტერესები მოიცავს ორგანიზაციული განვითარების, ადამიანური რესურსის მართვის, ჯგუფების ეფეტურობის პროექტირების, პერსონალის შერჩევისა და შეფასების სისტემების შესწავლასა და დაგეგმვას;
- ⇒ საკონსულტაციო ორგანიზაცია, რომელიც ორიენტირებულია ადამიანური რესურსის მართვისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის საკითხებზე;
- ⇒ გამოყენებითი ხასიათის კვლევაზე ორიენტირებული საკონსულტაციო ორგანიზაცია;

⇒ არასამთავრობო ორგანიზაციები.

5. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები.
მაგისტრის ხარისხი და უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით და გასაუბრება სპეციალობაში.

6.სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:
შედეგების მისაღწევად გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:

1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი
2. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.
3. პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ჩამოუყალიბებს: სასწავლო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება, აგრეთვე, ისეთი მეთოდები, როგორიცაა:

1. დისკუსია, დებატები
2. ჯგუფური მუშაობა (cooperative/ collaborative)
3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება(PBL)
4. შემთხვევის ანალიზი
5. გონებრივი იერიში (Brain storming)
6. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება

7. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება შემდეგი სქემით:

ქულები	შეფასება
91-100	ფრიადი A
81-90	ძალიან კარგი, B

71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა FX
0-40	ჩაიჭრა, F

6. სასწავლო კომპონენტი. იგეგმება და ხორციელდება უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტისა და ფაკულტეტის სადისერტაციო დებულების შესაბამისად.

სასწავლო კომპონენტი მოიცავს 40 კრედიტს და გულისხმობს შემდეგ სალექციო კურსებსა და სხვა აქტივობებს:

სავალდებულო კომპონენტებია:

- სწავლების მეთოდები - 5 კრედიტი;
- აკადემიური წერა (კვლევის მეთოდების კომპონენტებით) - 5 კრედიტი (სავალდებულო სალექციო კურსი მათთვის, ვისაც აკადემიური წერა და/ან კვლევის მეთოდები სწავლების წინა საფეხურზე არ გაუვლია);
- დოქტორანტის სემინარი - 15 კრედიტი;
- პროფესორის ასისტენტობა – 5 კრედიტი.

სასწავლო კომპონენტის სხვა ელემენტები არჩევითია.

- დოქტორანტის სემინარი – 15 კრედიტი;
- პროფესორის ასისტენტობა – 10 კრედიტი;
- შესავალი გამოყენებით სტატისტიკაში - 5 კრედიტი;
- სოციალური კვლევის მეთოდები – 5 კრედიტი;
- სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფია – 5 კრედიტი;
- მეცნიერების მენეჯმენტი –5 კრედიტი;
- ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა –10 კრედიტი;
- საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების თანამედროვე მეთოდები– 10 კრედიტი;

- საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო კურსები –5–25 კრედიტი;
- სხვა სახის აქტივობა 5–15 კრედიტი;

კვლევითი კომპონენტი მოიცავს 140 კრედიტს:

- 2 სავალდებულო კოლოკვიუმს (20 კრედიტი თითოეულისათვის);
- სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა (100 კრედიტი).

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, საერთო საუნივერსიტეტო სქემის ფარგლებში, ადგენს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან ან სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება საერთო/საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად:

ქულები	შეფასება
summa cum laude	ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი)
magna cum laude	ძალიან კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება)
cum laude	კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს) აღემატება
bene	საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს)
rite	დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს)
insufficienter	არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს)
sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს)

7. სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

⇒ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ბაზები, რესურს–ცენტრები და სხვა.

⇒ ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრი (www.pmc.ge).

8. შესაძლებელია 5 დოქტორანტის მიღება.

9. პროგრამის მონაწილე აკადემიური პერსონალის (დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირების) ბიოგრაფიული მონაცემები (CV).

ია კუტალაძე

გივი ქირია
მაია კალანდარიშვილი
მაია რობაქიძე
გოგი გოროშიძე
ზურა ბიგვავა

10. ძირითადი საკონტაქტო პირი - ია კუტალაძე

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: სადოქტრო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ.

1. **სადოქტორო პროგრამის სახელწოდება:**

   პოზიტიური ფსიქოლოგია – ემპირიული კვლევები / Studies in Positive Psychology[1].

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფსიქოლოგიის დოქტორი. PhD in Psychology.
3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 180 ECTS
4. პროგრამის ხელმძღვანელები:

   მარწყვიშვილი ხათუნა, ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
   მესტვირიშვილი მაია, ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
   ხეჩუაშვილი ლილი, ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

5. სწავლების ენა: ქართული.
6. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პოზიტიური ფსიქოლოგია, რომელსაც 1999 წელს ჩაეყარა საფუძველი, მთლიანად ცვლის პიროვნების, მისი ფუნქციონირებისა და კონსულტირება/თერაპიის ხედვის პერსპექტივას. ეს დარგი პათოლოგიაზე აქცენტის ნაცვლად, ყურადღებას ცენტრში პიროვნულ ზრდას, ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ეფექტურ ფუნქციონირებას ამახვილებს. პოზიტიური ფსიქოლოგიის ფარგლებში წარმოებული

---

[1] წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის პროექტი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2016 წლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსის გამარჯვებულია (გრანტის N0 DP2016_16). პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები ფინანსდება რუსთაველის ფონდის მიერ.

ემპირიული კვლევები მიმართულია ყველა იმ პიროვნული, სოციალური, კულტურული და ა. შ. ფაქტორების გამოვლენასა და კვლევაზე, რომელიც ამა თუ იმ გზით ზემოქმედებს ინდივიდის ფსიქოლოგიური და ემოციური კეთილდღეობის სუბიექტურ განცდაზე.

წარმოდგენილი პროგრამის საჭიროება ორი ფაქტორით არის განპირობებული: არსებული ფსიქოლოგიური სადოქტორო პროგრამების მცირე რაოდენობა და ამ პროგრამებში თანამედროვე მიმართულების, კერძოდ, პოზიტიური ფსიქოლოგიის პარადიგმის არარსებობა.

სადოქტორო პროგრამა „პოზიტიური ფსიქოლოგია – ემპირიული კვლევები“ კვლევის ორ სხვადასხვა მიმართულებას აერთიანებს და წარმოდგენილია მოდულების სახით. ეს სტრუქტურული ერთეულები ანუ მოდულებია: (1) პიროვნების კვლევები პოზიტიურ ფსიქოლოგიაში და (2) პოზიტიური ფსიქოლოგია კონსულტირებასა და კვლევაში (იხ. სქემა).



სქემა. სადოქტორო პროგრამის მოდულები.

წარმოდგენილი სტრუქტურული სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს პოზიტიური ფსიქოლოგიის დარგში ახალი მეცნიერული ცოდნის შექმნასა და გამოყენებას; ეფუძნება მეცნიერი-პრაქტიკოსის მოდელს, რაც გულისხმობს, რომ მისი მიზანია პროფესიონალი მკვლევარი-პრაქტიკოსების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ კვლევითი, სასწავლო და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება აკადემიურ და პრაქტიკულ სფეროებში.

პროგრამის მიზნიდან გამომდინარე, დასახული ამოცანები მოიცავს სწავლის, სწავლებისა და კვლევის კომპონენტების განხორციელებას, კერძოდ:

- სწავლა — თანამედროვე ფსიქოლოგიაში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის მიღება და კრიტიკულად გააზრება;
- სწავლება — საუნივერსიტეტო განათლების ყველა დონეზე კვლევაზე დაფუძნებული სწავლების უნარების გამომუშავება;
- კვლევა — ახალი ემპირიული ცოდნის გენერირება, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა, კვლევითი პროექტების დაგეგმვა, განხორციელება და ანგარიშგება.

სადოქტორო პროგრამის საკვლევი თემატიკა ორ მოდულად ჯგუფდება.

მოდული 1 პიროვნების კვლევები პოზიტიურ ფსიქოლოგიაში	მოდული 2 პოზიტიური ფსიქოლოგია კონსულტირებაში
• ემოციებთან დაკავშირებული პიროვნული დისპოზიციები: ემოციური და სოციალური ინტელექტი; ალექსითიმია, ემპათია; • შემოქმედებითი აზროვნება/კრეატულობა; • ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდა; • გენერაციულობა; • სელფი და იდენტობა; • მორალური მსჯელობა; • ნარატიული იდენტობა, პერსონალური და მასტერ ნარატივები • პიროვნების ექვსფაქტორიანი მოდელი.	• სტრესი, ტრავმა, დაძლევის სტრატეგიები და პოსტრავმული ზრდა; • რუმინაცია (აზრების ჩახვევა); • ორაზროვანი დანაკარგი; • პიროვნების ავერსიული მახასიათებლები — ბნელი ტრიადა და მისი კორელატები; • კოგნიტური შეცდომები; • პიროვნული აშლილობების ალტერნატიული მოდელი; • ნარატივის კონსტუირება თერაპიულ კონტექსტში.

7. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობა:

პროგრამა განკუთვნილია ფსიქოლოგიის მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე ნებისმიერი პირისთვის. პროგრამაზე მიღების წინაპირობას წარმოადგენს:

- ფსიქოლოგიის მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი;
- ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით;
- სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის თანხმობა;
- გასაუბრება სპეციალობაში, რომელიც მოიცავს ორ კომპონენტს: კვლევით პროექტსა (60 ქულა) და ინტერვიუს (40 ქულა).

(ა) გასაუბრებისთვის აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს კვლევითი პროექტის მონახაზი, რომელიც შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

(1) საკვლევი თემის აქტუალობა, კვლევის სიახლე და პრობლემის ფორმულირება;
(2) კვლევის მიზნები და ამოცანები;
(3) კვლევის მეთოდოლოგია;
(4) სამეცნიერო ღირებულება.

თითოეული კომპონენტი შეფასდება 15 ქულით.

(ბ) ინტერვიუ აპლიკანტთან (40 ქულა), რომლითაც შეფასდება:

(1) აპლიკანტის მოტივაცია;
(2) დარგის შესაბამისი ცოდნის დემონსტირება.

თითოეული კომპონენტი შეფასდება 20 ქულით

8. სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს შემდეგი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები:

ა) ცოდნა და გაცნობიერება

პროგრამის კურსდამთავრებულმა იცის:

- პიროვნების თანამედროვე კვლევების როგორც ემოციური, ისე კოგნიტური პერსპექტივა პოზიტიურ ფსიქოლოგიაში;
- რატომ და როგორ აქცენტირდება პიროვნებისა და ინდივიდუალური განსხვავებების პოზიტიური მხარეები და თვისებები ყოველდღიურ, კვლევით თუ კლინიკურ გარემოში;
- იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ ინდივიდის კეთილდღეობისა და კარგად ყოფნის განცდის ფორმირებას;
- სხვადასხვა მოსაზრება, თეორიული მოდელი და უახლესი ემპირიული კვლევები სუბიექტური კარგად ყოფნის განცდის, ბედნიერებისა და ცხოვრებით კმაყოფილების, ემოციური ინტელექტის, ფსიქოლოგიური მედეგობის და ხასიათის სიმტკიცის, პოზიტიური ურთიერთობებისა და საზრისის ძიების შესახებ;
- პოზიტიური ფსიქოლოგიის პარადიგმებისა და მოდელების ადგილი და როლი კონსულტირების პრაქტიკასა და კვლევაში;
- პათოლოგიიდან ინდივიდის პოზიტიურ ფუნქციონირებისკენ თერაპიული მოდელების გადანაცვლების არგუმენტაცია და საფუძველი; პოზიტიური ფსიქოლოგიის კონტექსტში დაავადებაზე დაფუძნებული იდეოლოგიისა და DSM-ის დეკონსტრუირების შესახებ;
- უახლესი მიდგომები კონსულტირებისადმი, რომლებიც, უპირატესად, ადამიანის ძლიერი მხარეებისა და გარემოში არსებული რესურსების გათვალისწინებით აფართოვებს პრაქტიკოსის თვალსაწიერს;
- ის საკითხები, რომლებსაც ინტენსიურად იკვლევენ და რომლებზეც მუშაობენ მკვლევარი-პრაქტიკოსები პოზიტიურ ფსიქოლოგიური პარადიგმის გამოყენებით, როგორიცაა პოსტტრავმული ზრდა, ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდა, იდენტობის რეკონსტრუირება, გენერაციულობა, ორაზროვანი დანაკარგისა და სხვა ტრავმული გამოცდილებების რეკონსტრუირება და საზრისის ძიება.

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

პროგრამის კურდამთავრებულს შეუძლია:

- პოზიტიური ფსიქოლოგიის სფეროში ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა;
- კვლევისთვის თანამედროვე მაღალი რანგის სტატისტიკური მეთოდების გამოყენება, მათ შორის: მრავლობითი და ლოგარითმული რეგრესიული ანალიზი, მულტივარიაციული და კოვარიაციული ანალიზი, ახსნითი და კონფირმატორული ფაქტორული ანალიზი, სტრუტურული განტოლების მოდელირება (SEM).
- ნარატივის ანალიზის ისეთი ტექნიკების გამოყენება, როგორიცაა თემატური, სტრუქტურული და ინტერაქციული ანალიზი; ასევე, კოდირების სახელმძღვანელოს დამოუკიდებლად შექმნა და ადმინისტრირება;
- პოზიტიური ფსიქოლოგიის სფეროში ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;
- საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაცების მოთხოვნების შესაბამისად, ქართულ და ინგლისურენოვანი პუბლიკაციების მომზადება APA-ის ყველა სტანდარტის დაცვით;
- პოზიტიური ფსიქოლოგიის თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრირების უნარი; მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- პოზიტიური ფსიქოლოგიის სფეროში არსებული პრობლემების შესატყვისი მეთოდოლოგიური მიდგომის და შესაბამისი კვლევის/შეფასების წარმოების უნარი; აგრეთვე, ინოვაციური კვლევის მეთოდებისა და ახლებური ანალიტიკური მიდგომების შემუშავების უნარი;
- ფუნდამენტური და/ან გამოყენებითი კვლევის დამოუკიდებლად წარმოება და მიღებული ახალი ცოდნის პრაქტიკაში დანერგვა.

გ) დასკვნის უნარი

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

- კვლევის შედეგების საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
- ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება;
- კვლევისა და/ან სწავლა-სწავლების პროცესში წამოჭრილი პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტიანი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;
- ახალი ჰიპოთეზების შემუშავება არსებული და/ან ახალი ხედვების, მიდგომების და ემპირიული მონაცემების გადამუშავებისა და გაანალიზების საფუძველზე;
- ფუნდამენტური და ემპირიული კვლევის პროცესში ჰიპოთეზების შემოწმება სანდო და ვალიდური მეთოდებისა და მეცნიერულად გამართული არგუმენტების გამოყენებით;

- პოზიტიური ფსიქოლოგიისა და მომიჯნავე დარგების სხვადასხვა ასპექტის შესახებ კომპლექსური და წინააღმდეგობრივი მონაცემებისა და მიდგომების გაანალიზება, ინტერპრეტირება და სათანადო დასკვნების გამოტანა გადაჭარბებული გენერალიზაციის გარეშე;
- რთული სამეცნიერო პრობლემების ახლებური გააზრება და მოგვარება;
- პრობლემის კვლევისა და განხილვის შედაგად მიღებული შედეგების ახლებურად გააზრება, რითაც წვლილი შეაქვს პოზიტიური ფსიქოლოგიის განვითარებაში.

დ) კომუნიკაციის უნარი:

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა;
- მშობლიურ და ინგლისურ ენაზე ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, უცხოელ კოლეგებთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა;
- სამეცნიერო მოხსენებებისა და პრეზენტაციების მომზადება, როგორც სპეციალისტებისთვის ისევე ფართო აუდიტორიისათვის;
- დისკუსიის წარმართვა;

ე) სწავლის უნარი

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

- სწავლის საჭიროებების განსაზღვრა და სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება;
- პოზიტიური ფსიქოლოგიის სფეროში არსებულ უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების გენერირება სწავლის, პრაქტიკული საქმიანობისა თუ კვლევის პროცესში;
- დროისა და რესურსების ეფექტური მართვა;
- პროფესიული და აკადემიური კარიერის გაუმჯობესების მიზნით, საკუთარი უნარების თვითგანვითარება და ცოდნის გაფართოვება.

ვ) ღირებულებები

პროგრამის კურსდამთავრებულს განვითარებული აქვს ისეთი ღირებულებები, როგორიცაა:

- პოზიტიური ფსიქოლოგიის ფარგლებში კვლევისა და პრაქტიკისთვის რელევანტური ღირებულებების დამკვიდრების გზების კვლევა და ახლებური მეთოდების მოძიება-შემუშავება;

- პროფესიული და კვლევის ეთიკური ნორმების (კონფიდენციალობა, ანონიმურობა, ინფორმირებული თანხმობა, პლაგიატის არიდება) დაცვა;
- სხვადასხვა ადამიანის შეხედულებებისა და ღირებულებების მიმართ ტოლერანტობა;
- კულტურული მრავალფეროვნებისა და განსხვავებების მიმღებლობა და პატივისცემა.

9. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები[2]:

- ვერბალური/წერითი;
- ლექცია;
- სემინარი;
- პრაქტიკული სამუშაო;
- ჯგუფური და ინდივიდუალური კვლევითი პროექტები;
- პრეზენტაცია;
- წიგნზე/ელექტრონულ მასალებსა და წყაროებზე მუშაობა;
- დემონსტრირების მეთოდი (ვიდეო-აუდიო, ფოტო, PPT მასალების მეშვეობით);
- დისკუსია/დებატები;
- ჯგუფური მუშაობა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- შემთხვევის ანალიზი (case-study).

10. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

ქულები	შეფასება
91 -100	ფრიადი, A

[2] პროფესორი შეიძლება იყენებდეს ერთ ან რამდენიმე მეთოდს, ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო–კვლევითი ამოცანის შესასრულებლად.

81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება საერთო/საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად:

ქულები	შეფასება
Summa cum laude	ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი)
Magna cum laude	ძალიან კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება)
Cum laude	კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება)
Bene	საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს)
Rite	დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს)
Insufficienter	არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს)
Sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს)

ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, საშუალო და დამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშევებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

11. სადოქტორო პროგრამის კომპონენტები:

წარმოდგენილი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო (50 კრედიტი) და კვლევით (130 კრედიტი) კომპონენტებს. თითოეული კომპონენტი, თავის მხრივ, შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

- სასწავლო კომპონენტი: (ა) სავალდებულო საუნივერსიტეტო კურსები, თსუ-ის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შესაბამისად; (ბ) არჩევითი კურსები, რომლებიც პროგრამაში წარმოდგენილია ზემოთ აღწერილი მოდულების შესაბამისად; (გ) პროფესორის ასისტენტობა.
- კვლევითი კომპონენტი: დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შესაბამისად, მოიცავს დოქტორანტის I და II კოლოკვიუმებს და სადოქტორო ნაშრომს (დეტალებისთვის იხ. ცხრილი).

ცხრილი. სადოქტორო პროგრამის კურიკულუმი.

<table>
<tr><td colspan="4">სავალდებულო საუნივერსიტეტო კურსები - 30 კრედიტი
(თსუ მოთხოვნების შესაბამისად)</td></tr>
<tr><td colspan="2">სწავლების თანამედროვე მეთოდები</td><td>I-II სემესტრი</td><td>5 კრედიტი</td></tr>
<tr><td colspan="2">აკადემიური წერა (კვლევის მეთოდების კომპონენტით)[3]</td><td>I-II სემესტრი</td><td>5 კრედიტი</td></tr>
<tr><td colspan="2">პროფესორის ასისტენტობა</td><td>III-IV სემესტრი</td><td>5 კრედიტი</td></tr>
<tr><td colspan="2">დოქტორანტის სემინარი</td><td>III-IV სემესტრი</td><td>15 კრედიტი</td></tr>
<tr><td colspan="4">არჩევითი კურსები - 20 კრედიტი
(დოქტორანტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი 4 კურსი)</td></tr>
<tr><td></td><td>მოდული 1
პიროვნების კვლევები პოზიტიურ ფსიქოლოგიაში</td><td>მოდული 2
პოზიტიური ფსიქოლოგია კონსულტირებაში</td><td></td></tr>
<tr><td>სტატისტიკური მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში (გაძლიერებული კურსი)</td><td>×</td><td>×</td><td>5 კრედიტი</td></tr>
</table>

[3] სავალდებულო სალექციო კურსი მათთვის, ვისაც აკადემიური წერა და/ან კვლევის მეთოდები სწავლების წინა საფეხურზე არ გაუვლია.

სოციალური კვლევის მეთოდები (გაძლიერებული კურსი)	×	×	5 კრედიტი
პიროვნების კვლევები პოზიტიურ ფსიქოლოგიაში - ემოციური და კოგნიტური პერსპექტივა	×		5 კრედიტი
სელფი თანამედროვე საზოგადოებაში	×	×	5 კრედიტი
პოზიტიური პარადიგმა კონსულტირების თეორიებსა და პრაქტიკაში		×	5 კრედიტი
პოზიტიური ფსიქოლოგიის აქტუალური საკითხები	×	×	5 კრედიტი
სავალდებულო კვლევითი კომპონენტი - 130 კრედიტი (თსუ მოთხოვნების შესაბამისად)			
სადოქტორო კოლოკვიუმი 1		20 კრედიტი	
სადოქტორო კოლოკვიუმი 2		20 კრედიტი	
სადისერტაციო ნაშრომი		90 კრედიტი	

12. დასაქმების სფეროები:

პროგრამის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე. სადოქტორო პროგრამა „პოზიტიური ფსიქოლოგია -- ემპირიული კვლევები“ მოამზადებს პროფესიონალ მკვლევარ-პრაქტიკოსებს, რომელთაც შეეძლებათ კვლევითი, სასწავლო და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება აკადემიურ და სხვა სფეროებში. კურსდამთავრებულები, ასევე, შეიძლება დასაქმდნენ სახელწიფო, კვლევით და/ან არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც ახორციელებენ ინდივიდის ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ემოციურ კეთილდღეობასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის პროექტებს.

13. სამეცნიერო კვლევების მატერიალურ–ტექნიკური ბაზა:

სადოქტორო პროგრამა განხორციელდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ფარგლებში. აღნიშნულ ინსტიტუტს აქვს ოთახი (III კორპ. ოთახი N213), რომელშიც არის პერსონალური კომპიუტერები და მულტიფუნქციური პრინტერები.

უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის გარდა, ფაკულტეტზე არის ბიბლიოთეკა ფსიქოლოგიური ლიტერატურით. ასევე, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ სამეცნიერო ელექტრუნულ ბაზებზე. ფაკულტეტზე არის კომპიუტერების რესურს-ოთახი, 2 ფსიქოლოგიური ლაბორატორია და ორი ტრენინგ-ოთახი ტრენინგის ჩატარებისთვის საჭირო აღჭურვილობით.

14. მისაღები კონტიგენტი:

სადოქტორო პროგრამაზე, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო მოთხოვნების თანახმად, სავალდებულოა მინიმუმ სამი დოქტორანტის მიღება, რომლებიც გრანტის ფაგრლებში დაფინანსდებიან ყოველთვიური სტიპენდიით (1000 GEL); თუმცა, წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს სხვა კანდიდატურების განხილვასაც მოთხოვნის შესაბამისად.

15. სადოქტორო პროგრამის მონაწილე აკადემიური პერსონალი:

სადოქტორო პროგრამას, რომელიც წარმოდგენილია ორი მოდულის სახით, ხელმძღვანელობს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტის პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამი ასოცირებული პროფესორი. პროგრამის განხორციელებაში, ასევე, მონაწილეობენ ინსტიტუტის სხვა პროფესორები და მოწვეული სპეციალისტები.

გარდა ამისა, პროგრამას ჰყავს ორი უცხოელი კონსულტანტი (ალიოშა ნიუბაუერი - გრაცის უნივერსიტეტი, ავსტრია; ქეით მაკლინი - დასავალეთ ვაშინგტონის უნივერსიტეტი, აშშ), რომლებიც რუსთაველის ფონდის პროექტის ფარგლებში ჩართულები არიან სადოქტორო პროგრამის განვითარებისა და განხორცილების ყველა ეტაპზე.

16. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა:

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის პროექტი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2016 წლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსის გამარჯვებულია (გრანტის N0 DP2016_16).

შესაბამისად, სადოქტორო პროგრამა ფინანსდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ და პროექტის საგრანტო დაფინანსება შეადგენს 230100 ლარს, რომელშიც გათვალისწინებულია ახალგაზრდა მეცნიერებისა და დოქტორანტების სტიპენდიები, სადოქტორო კვლევების, ინფრასტურქტურის განვითარების, უცხოელი ექსპერტების, პროფესიული სამეცნიერო ლიტერატურის შეძენის, სამეცნიერო კონფერენციებისა და კვლევითი ვიზიტების ხარჯები.

დადგენილება #21/2017; 20 თებერვალი 2017

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: განათლების ფსიქოლოგია. Educational Psychology.

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფსიქოლოგიის დოქტორი. PhD in Psychology.

3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 180 ECTS

4. პროგრამის ხელმძღვანელი: მზია წერეთელი, ფსიქოლოგიის დოქტორი, სრული პროფესორი;

5. სწავლების ენა: ქართული

6. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

დღეს საქართველოში განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული გამოწვევებიდან უმთავრესია განათლების და მეცნიერების ხარისხის, რელევანტურობისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. ამდენად, განათლების სისტემის ფუნქციაა არა მხოლოდ მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრები და უზრუნველყოს პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქეთა აღზრდა, არამედ განავითაროს სწავლა/სწავლების მეთოდები და სხვა კომპონენტები, რათა განათლების სისტემამ უზრუნველყოს მოსწავლეებისა და სტუდენტების შესაძლებლობებისა და უნარების მაქსიმალური გამოვლენა და განვითარება.

შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების მომზადება და განათლების სისტემაში კვლევითი პოტენციალის გაძლიერება „საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველო 2020“-ს ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ქვეყნის მიერ დასახული პრიორიტეტები, რომლებიც დაკავშირებულია განათლების სისტემის ყველა საფეხურზე მასში ჩართული თითოეული აქტორის სწავლა/სწავლებისა და განვითარების უზრუნველყოფასთან, კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის განათლების და ფსიქოლოგიის დარგის სპეციალისტების როლს ქვეყნის განათლების სისტემის განვითარებისთვის, კერძოდ კი ამ სფეროში ახალი ცოდნის შექმნაში, დაგროვებასა და გადაცემაში. უფრო მეტიც, განათლების ფსიქოლოგია არის საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი ძალა, რადგანაც არსებულ სფეროში დასაქმებული სპეციალისტები ორიენტირებულნი არიან სწავლების და მოტივაციის პროცესებზე, სწავლების სისტემებისა და მეთოდოლოგიის განვითარებაზე ისევე, როგორც ამ პროცესების კვლევასა და შეფასებაზე.

ამ მიზნების და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, განათლების ფსიქოლოგიის სფეროში უნივერსიტეტში არსებული ემპირიული და თეორიული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კვალიფიციური სპეციალისტი განათლების ფსიქოლოგიის მიმართულებით, რომელიც აღჭურვილი იქნება დარგის საფუძვლიანი ცოდნით, ამ ცოდნის მოპოვებისა და გაღრმავების თეორიული და ემირიული მეთოდებით და დაგროვილი ინფორმაციის საფუძველზე რელევანტური გადაწყვეტილებების მიღებისა და ადეკვატური პროგრამების დაგეგმვის უნარებით. ამგვარად, წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს განათლების ფსიქოლოგიის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების გამოკვეთას და სპეციალისტების მომზადებას ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემის განსაკუთრებით აქტუალური საკითხების მეცნიერული კვლევისათვის; დარგში მიღებული ცოდნის გაღრმავებას; ძირითადი მეცნიერული უნარების განვითარებას; განათლების ფსიქოლოგიისა და კვლევის თანამედროვე თეორიებისა და მეთოდოლოგიის შესწავლის საფუძველზე ახალი ცოდნის და ინფორმაციის შექმნასა და გენერირებას.

განათლების ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა ამზადებს სტუდენტებს როგორც უმაღლესი განათლების სისტემაში კონკრეტულ ფაკულტეტზე პოზიციის დასაკავებლად, ასევე კვლევის სპეციალისტად საგანმანათლებლო სისტემებში, სამთავრობო ან ადმინისტრაციულ უწყებებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე სამუშაოდ. ყოველივე ეს განსაკუთრებულად აქტუალურს ხდის სასწავლო პროცესში, აგრეთვე, სწავლისა და სწავლების სხვადასხვა კომპონენტების განსაზღვრასა და მართვაში კვალიფიციური, შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი განათლების ფსიქოლოგიისა და კვლევის სპეციალისტის მონაწილეობას.

7. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობა:

მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში, ფსიქოლოგიასა ან განათლების მეცნიერებებში (აპლიკანტს უნდა ჰქონდეს საბაზისო ცოდნა ფსიქოლოგიაში).

ერთ–ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით;

სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა;

გასაუბრება აპლიკანტთან, რომლის მიზანია შეაფასოს: სწავლის მოტივაცია, აკადემიური და პროფესიული მიღწევები და კომუნიკაციის უნარი.

8.სწავლის შედეგი:

კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს შემდეგი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები:

ა) ცოდნა და გაცნობიერება

- ✓ განათლების ფსიქოლოგიისა და კვლევის მიმართულებით არსებული თანამედროვე ტენდენციები, თეორიები, მიდგომების ღრმა და კომპლექსური ცოდნა;
- ✓ უახლესი ინფორმაცია განათლების ფსიქოლოგის კომპეტენციების, მოქმედების არეალისა და შესაბამისი სპეციფიკური ფუნქციების შესახებ;
- ✓ საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის, მისი თავისებურებების და პრიორიტეტების და სისტემაში განათლების ფსიქოლოგის სტატუსის ცოდნა;
- ✓ სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიის და დაგეგმვის ცოდნა; განათლების კვლევითი მიდგომების და ინოვაციური მეთოდების ცოდნა;
- ✓ სწავლების და შეფასების თეორიების ღრმა და სისტემატური ცოდნა და მისი კრიტიკული გაცნობიერება;

- ✓ ბავშვთა, მოზარდთა და ზრდასრულთა განათლებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური საკითხების ცოდნის თანამედროვე განათლებაში არსებულ პრობლემებთან მიმართებაში გააზრება და გაცნობიერება.

ბ)ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- ✓ აქვს განათლების ფსიქოლოგიის თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრირების უნარი; მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- ✓ აქვს განათლების ფსიქოლოგიის სფეროში არსებული პრობლემების შესტყვისი მეთოდოლოგიური მიდგომის და შესაბამისი კვლევის/შეფასების წარმოების უნარი; აგრეთვე, ინოვაციური კვლევის მეთოდების და ახლებური ანალიტიკური მიდგომების შემუშავების უნარი;
- ✓ შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს თეორიული ან გამოყენებითი კვლევა და პრაქტიკაში დანერგოს კვლევების საფუძველზე მიღებული ახალი ცოდნა;
- ✓ აქვს სამეცნიერო სტატიის წერის, კონფერენციის მასალების წარდგენის და კვლევითი ნაშრომის ანგარიშის წერის აკადემიური უნარ-ჩვევები, რაც აკმაყოფილებს დარგში დადგენილ საერთაშორისო (APA-ს) სტანდარტებს;
- ✓ შეუძლია მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, საკუთარი პოზიციისა და ხედვის წარმოდგენა და მეცნიერული არგუმენტაცია;
- ✓ აქვს უნარი დამოუკიდებლად შეიმუშაოს და განახორციელოს კომპლექსური კვლევითი პროექტი განათლების ფსიქოლოგიაში და უხელმძღვანელოს მას;

გ) დასკვნის უნარი:

- ✓ შეუძლია ახალი ხედვებისა და მიდგომების და ემპირიული მონაცემების ანალიზის შედეგად გაკეთებული დასკვნის საფუძველზე ახალი ჰიპოთეზების შემუშავება.
- ✓ ფუნდამენტური და ემპირიული კვლევის პროცესში შეუძლია ჰიპოთეზების ვერიფიკაცია ან უარყოფა სანდო და ვალიდური მეთოდების და მეცნიერულად გამართული არგუმენტირების გამოყენებით;
- ✓ შეუძლია განათლების სფეროს სხვადასხვა ასპექტების რთული და წინააღმდეგობრივი მონაცემებისა და მიდგომების ანალიზი და აქვს ადეკვატური დასკვნის გამოტანის უნარი;
- ✓ აქვს რთული სამეცნიერო პრობლემების გადაჭრის, კრიტიკული ანალიზისა და მათი გადაჭრისათვის ეფექტური გზების შემუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარი;
- ✓ აქვს პრობლემის კვლევისა და განხილვის შედაგად მიღებული შედეგების ახლებური გააზრებისა და ინოვაციური ხედვის უნარი, რითაც საკუთარი წვლილი შეაქვს განათლების ფსქიოლოგიის დარგის განვითარებაში.

დ) კომუნიკაციის უნარი:

- ✓ აქვს პროფესორის ასისტენტობისა და კოლოკვიუმის საფუძველზე განვითარებული აქვს აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი, როგორც სწავლების ასევე საკუთარი მეცნიერული ნაშრომის პროზენტაციის თვალსაზრისით;
- ✓ შეუძლია დარგის ადგილობირვ და საერთაშორისო სპეციალსტებთან კომუნიკაცია; აქვს პროფესიული კომუნიკაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, როგორიცაა, პროფესიული კომუნიკაციის ნორმები, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება, მოხსენების/პროზენტაციის მიზანსა და აუდიტორიაზე გათვლილი გეგმის მომზადება და სხვ;
- ✓ განვითარებული აქვს სწავლისა და სწავლის სწავლის უნარები;
- ✓ შეუძლია პროფესიული და აკადემიური კარიერის გაუმჯობესების მიზნით საკუთარი უნარების თვითგანვითარება და ცოდნის გაფართოვება;
- ✓ აქვს განათლების ფსიქოლოგიისა და კვლევის მიმართულებთ უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე დაფუძნებული ახალი შეხედულებების გაცნობის უახლესი გზების/მეთოდების ათვისების უნარი;
- ✓ შეუძლია საკუთარი მეცნიერული ნაშრომის პრეზენტაცია და დაცვა, საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოების წინაშე. ფლობს პრეზემტაციისა და დისკუსიის თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს.

ე) ღირებულებები:

- ✓ იცის და აცნობიერებს განათლების სფეროში მომუშავე სპეციალისტისათვის საჭირო ეთიკური სტანდარტებს;
- ✓ ეთიკური სტანდარტის ნორმების იცავს კვლევისა და შეფასების პროცესში, ასევე აკადემიური კომუნიკაციის და ნაშრომის პროეზენტაციისა და პუბლიკაციასთან მიმართებაში;
- ✓ აღიარებს თვალსაზრისთა მრავალფეროვნებას და იზიარებს განსხვავებების მიმართ შემწყნარებლობას;
- ✓ იცავს ობიექტურობის და მიუკერძოებლობის პრინციპებს;

9. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები[4]:

- ✓ ვერბალური/წერითი;
- ✓ წიგნზე/ელექტრონულ მასალებსა და წყაროებზე მუშაობა;
- ✓ დემონსტრირების მეთოდი (ვიდეო-აუდიო, ფოტო, PPT მასალების მეშვეობით);
- ✓ ახსნა–განმარტებითი მეთოდი;
- ✓ დისკუსია/დებატები;

---

[4] პროფესორი შეიძლება იყენებდეს ერთ ან რამდენიმე მეთოდს, ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო–კვლევითი ამოცანის შესასრულებლად.

- ✓ ჯგუფური მუშაობა;
- ✓ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება(PBL);
- ✓ შემთხვევის ანალიზი (case-study);
- ✓ გონებრივი იერიში (Brain storming);
- ✓ როლური და სიტუაციური თამაშები;
- ✓ ელექტრონული სწავლება (ჰიბრიდული) - თსუ ელექტრონული სწავლების პორტალი;

10. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

ქულები	შეფასება
91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება საერთო/საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად:

ქულები	შეფასება
Summa cum laude	ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი)
Magna cum laude	ძალიან კარგი(შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება)

Cum laude	კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება)
Bene	საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს)
Rite	დამაკმაყოფილებელი(შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს)
Insufficienter	არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს)
Sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს)

ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, საშუალო და დამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშევებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

11. სადოქტორო პროგრამის კომპონენტები:

სასწავლო კომპონენტს ეთმობა 40 კრედიტი, ხოლო კვლევით კომპონენტს 140.

დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს შემდეგ სალექციო კურსებს და სხვა სახის აქტივობებს.

სავალდებულო კურსებია:

- ✓ სწავლების მეთოდები - 5 კრედიტი;
- ✓ აკადემიური წერა (კვლევის მეთოდების კომპონენტებით) - 5 კრედიტი (სავალდებულო სალექციო კურსი მათთვის, ვისაც აკადემიური წერა და/ან კვლევის მეთოდები სწავლების წინა საფეხურზე არ გაუვლია);
- ✓ დოქტორანტის სემინარი - 15 კრედიტი;

- ✓ კვლევის მეთოდები - 5 კრედიტი;
- ✓ პროფესორის ასისტენტობა – 5 კრედიტი.

სასწავლო კომპონენტის სხვა ელემენტები არჩევითია.

- დოქტორანტის სემინარი – 15 კრედიტი;
- პროფესორის ასისტენტობა – 10 კრედიტი;
- შესავალი გამოყენებით სტატისტიკაში - 5 კრედიტი;
- სოციალური კვლევის მეთოდები – 5 კრედიტი;
- სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფია – 5 კრედიტი;
- მეცნიერების მენეჯმენტი – 5 კრედიტი;
- ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა –10 კრედიტი;
- საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების თანამედროვე მეთოდები– 10 კრედიტი;
- საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო კურსები – 5–25 კრედიტი;
- სხვა სახის აქტივობა 5–15 კრედიტი.

კვლევითი კომპონენტი მოიცავს 140 კრედიტს:

- 2 სავალდებულო კოლოკვიუმს (20 კრედიტი თითოეულისათვის)
- სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა (100 კრედიტი).

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, საერთო საუნივერსიტეტო სქემის ფარგლებში, ადგენს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან ან სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

12. სამეცნიერო კვლევების მატერიალურ–ტექნიკური ბაზა.

- ✓ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

- ✓ თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ბაზები;
- ✓ რესურს–ცენტრები;
- ✓ სამეცნიერო ხელმძღვანელის პირადი ბიბლიოთეკა;

13. მისაღები კონტიგენტი.

სადოქტორო პროგრამაზე შესაძლებელია 4 დოქტორანტის მიღება.

14. სადოქტორო პროგრამის მონაწილე აკადემიური პერსონალი.

სადოქტორო პროგრამაში მონაწილეობენ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტის განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი მზია წერეთელი და ინსტიტუტის სხვა პროფესორები და მოწვეული სპეციალისტები.

15.პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა.

სადოქტორო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ.

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია Applied Social Psychology

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფსიქოლოგიის დოქტორი PHD in Psychology

პროგრამის ხელმძღვანელი: ნანა სუმბაძე, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი

ანასტასია ქიტიაშვილი, ფსიქოლოგიის დოქტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (იხ. დამატება CV).

სადოქტორო პროგრამის ანალოგი: გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამები ისწავლება შემდეგ უნივერსიტეტებში: კოლორადოს უნივერსიტეტი, ვაშინგტონის უნივერსიტეტი, ჩიკაგოს უნივერსიტეტი, კლემონტის უნივერსიტეტი და სხვა.

სადოქტორო პროგრამის დახასიათება:

პროგრამის აქტუალობა:

სადოქტორო პროგრამის შექმნას წინ უსწრებდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შექმნა, რომელმაც საფუძველი მოამზადა წინამდებარე პროგრამისათვის.

გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია სოციალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. მისი მიზანია სოციალური პრობლემის ანალიზი, მტკიცებულებების საფუძველზე სოციალური პროგრამების შემუშავება და დანერგვა. გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის კვლევებსა და მიდგომებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალური ქცევისა და პრობლემების გაგებასა და რეგულაციაში. პრაქტიკული მნიშვნელობის გამო ის ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი მიმართულებაა.

გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია საქართველოს განვითარებისათვის ისეთ პრიორიტეტულ სფეროებში, როგორიცაა განათლება, ქვეყნისა და ორგანიზაციის ეფექტური მმართველობა, დემოკრატიის მშენებლობა, ჯანდაცვა, გენდერული თანასწორობა და სხვა. ანალიზი ხორციელდება სხვადასხვა დონეზე, ინდივიდუალურიდან დაწყებული საზოგადოებით დამთავრებული, ჯგუფისა და ორგანიზაციის ჩათვლით.

ქვეყნის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია შესაბამისი ადამიანური რესურსის არსებობა, პროფესიონალების მომზადება, რომლებიც შეძლებენ სოციალური პრობლემების ანალიზს, შესაბამისი სოციალური ინტერვენციების დაგეგმვასა და დანერგვას, მონიტორინგსა და შეფასებას. ეს პროცესი კი უნდა დაემყაროს კვლევას, მტკიცებულებების შეგროვებასა და ანალიზს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში მეცნიერ-მკვლევარებისა და კონსულტანტების მომზადება, რომელთაც ექნებათ შესაბამისი ცოდნა და სოციალური პრობლემების ანალიზის კომპეტენცია.

საკვლევი პრობლემები:
საკვლევი პრობლემები ფოკუსირებულია გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის შემდეგ ძირითად სფეროებზე:
განათლება, ქვეყნის და ორგანიზაციის ეფექტური მმართველობა და დემოკრატიის მშენებლობა, ჯანდაცვა, იძულებით გადაადგილებული პირები და გენდერული საკითხები.

საკვლევი საკითხების მაგალითებია:
განათლების რეფორმის კვლევა საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების დონეზე;

- საგანმანათლებლო პროგრამებში თანასწორობისა და ტოლერანტობის ღირებულებების ასახვა და კვლევა;
- სასკოლო განათლების სისტემაში სწავლება-შეფასების მეთოდების ეფექტურობის შესწავლა;
- პროფესიულ სასწავლებლებში განათლების ხარიხისა და სტუდენტთა სწავლებით კმაყოფილების შესწავლა;
- პროფესიული განათლების დაგეგმვა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად;

- ექიმის პაციენტთან ურთიერთობის სტილის ზეგავლენა გამოჯანმრთელებაზე;
- ჯანმრთელი ცხოვრების სტილის პროპაგანდის დაგეგმვის ძირითადი პარამეტრების დადგენა;
- თამბაქოსა და ნარკოტიკებზე დამოკიდებულების სოციალური დეტერმინანტების შესწავლა;
- გადაწყვეტილებების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის მექანიზმების და მონაწილეობის გაზრდის შესაძლებლობების კვლევა;
- დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბების ფაქტორები;
- დევნილობაში დაბადებული იძულებით გადადგილებულ პირთა ღირებულებებისა და მიღწევის მოტივაცია;
- ქალების ეკონომიკური დამოუკიდებლობა და გენდერული თანასწორობა ოჯახში.
- დამოკიდებულებებს, რწმენებსა და ქცევას შორის კავშირი განათლების სისტემის სხვადასხვა საფეხურებზე;
- საკლასო აქტივობასა და აკადემიურ წარმატებებზე შემდეგი ფაქტორების გავლენა: სოციალური შედარება, ფიზიკური და სოციალური კლიმატი, კომუნიკაცია, სტერეოტიპები, სელფ-კონცეფცია;
- თანამედროვე ორგანიზაციების სოციალურ-ფსიქოლოგიური კონტექსტი;
- სოციალური ფაქტორების გავლენა ორგანიზაციის სტრუქტურასა და კულტურაზე;
- გენდერის გავლენა სამუშაოს არჩევასა და კარიერულ განვითარებაზე;
- სოციალური ფსიქოლოგიის გავლენა სოციალური პრობლემების პრევენციასა და პრობლემების გადაჭრაზე;
- ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები;
- გარემო ფაქტორების გავლენა ადამიანის ქცევაზე;
- სხვადასხვა ტიპის სოციალური პრობლემების დაძლევის მიზნით დანერგილი ინტერვენციების ეფექტურობის შეფასება.

ა) სადოქტორო პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგების მომზადება, რომელთაც ექნებათ შემდეგი კომპეტენციები: თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დამოუკიდებლად დაგეგვა და განხორციელება; სოციალური პრობლემების იდენტიფიკაცია, სიტუაციური ანალიზი სოც. ფსიქოლოგიის პერსპექტივიდან, მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა, ინტერვენციის დანერგვაში მონაწილეობა, მონიტორინგი და შეფასება.

ბ) სადოქტორო პროგრამის შედეგი:
სადოქტორო პროგრამის დამთავრების შემდგომ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს: დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი მუშაობის დაგეგმვა და წარმოება გამოყენებითი სოციალური და სოციალური ფსიქოლოგიის დარგში; სოციალური პრობლემების ანალიზის წარმოება, ინტერვენციის დაგეგმვა და შეფასება; სასწავლო პროგრამის შედგენა და სასწავლო პროცესის წარმართვა.

სადოქტორო პროგრამის სრული კურსის გავლისა და დისერტაციის დაცვის შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება და ჩამოუყალიბდება:

ცოდნა და გაცნობიერება:
• გამოყენებითი და სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში კლასიკური და თანამედროვე თეორიული მოდელების ცოდნა, პრობლემური გააზრება და მათ შორის ღრმა, ინტეგრალური მიმართებების გაცნობიერება;
• სოციალური კვლევითი მეთოდოლოგიის პრინციპების ცოდნა გამოყენებითი კვლევის სფეროში;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- სამეცნიერო კვლევითი და გამოყენებითი სამუშაოს დამოუკიდებლად წარმოება:
- კვლევის პრობლემის დასმა, კვლევის დაგეგმვა, დიზაინის შერჩევა; კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევა და კვლევითი სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენება; მონაცემების ანალიზი; შედეგების გაფორმება და პრეზენტაცია (ზეპირი და წერილობითი სახით - სტატია, სადისერტაციო ნაშრომი).
- სოციალური პრობლემების გააზრება სოციალური ფსიქოლოგიის პერსპექტივიდან და შესაბამისი ინტერვენციის მიზნების განსაზღვრა; ინტერვენციის გეგმის შედგენა და განხორციელება სფეროს ექსპერტებთან ერთად; ინტერვენციის გეგმის მონიტორინგი და ცვლილებების შეტანა მუშაობის პროცესში; ინტერვენციის შედეგების შეფასება;

კომუნიკაციის უნარი:

- სამეცნიერო ინფორმაციისა და კვლევის შედეგების დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა;
- თემატური პოლემიკის წარმოების კულტურა მშობლიურ და უცხოურ ენაზე.
- კომუნიკაციის დამყარებისა და ინტერპერსონალური ურთიერთობის ეფექტურად წარმოების უნარი;
- დამარწმუნებელი კომუნიკაციის წარმოების უნარი;

სწავლის უნარი

- სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვა:
- სალექციო კურსების შექმნა და გაძღოლა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;
- ახალი იდეების მიღებისა და განვითარებისათვის მზაობა;
- კვლევასა და პრაქტიკაში ახალი მიღწევების ინტეგრირება;
- სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის კომბინირება.

დასკვნის უნარი:
• სოციალურ და გამოყენებით სოციალურ ფსიქოლოგიური პარადიგმების ღრმა და კრიტიკული ანალიზის შედეგად წინააღმდეგობრივი იდეების წარმოჩენა;
• ინტერვენციის დაგეგმვის პროცესში მრავალმხრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე ადეკვატური გადაწყვეტილების მიღება და დასკვნის გამოტანა;
• პრობლემის გადაჭრის გზების მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზე პრობლემის გადაწყვეტის ადეკვატური სტრატეგიისა და ტაქტიკის შერჩევა;
• პრობლემისადმი მულტიდისციპლინური მიდგომის კონტექსტში კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი პასუხისმგებლობის აღება და გადაწყვეტილების მიღება.
ღირებულებები

- სადოქტორო პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულს გათავისებული უნდა ჰქონდეს პროფესიული ეთიკური ნორმები;
- საქმიანი ურთიერთობების ეთიკური ნორმები;
- განსხვავებული შეხედულებებისა და ღირებულებების მიმართ ტოლერანტობა;
- კულტურული მრავალფეროვნებისა და განსხვავებების მიმღებლობა და პატივისცემა;

სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდგომ დოქტორანტის დასაქმების სფეროებია:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სტრუქტურები;
- ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები.

5. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები.
უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით და გასაუბრება სპეციალობაში.

პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ:
• პირებს, რომელთაც აქვთ ფსიქოლოგიის ან სოციალურ მეცნიერებების მაგისტრის ხარისხი.

6. სასწავლო კომპონენტი
იგეგმება და ხორციელდება უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტისა და ფაკულტეტის სადისერტაციო დებულების შესაბამისად.

დოქტორანტის სამეცნიერო და პროფესიული კომპეტენციის მაღალი დონის მისაღწევად სადოქტორო პროგრამის აღნიშნულ მოდელში გათვალისწინებულია პრაქტიკული, დიდაქტიკური და აკადემიური კომპონენტები.

სასწავლო კომპონენტი (40 კრედიტი):
სავალდებულო კომპონენტებია:

- სწავლების მეთოდები - 5 კრედიტი;
- აკადემიური წერა (კვლევის მეთოდების კომპონენტებით) - 5 კრედიტი (სავალდებულო სალექციო კურსი მათთვის, ვისაც აკადემიური წერა და/ან კვლევის მეთოდები სწავლების წინა საფეხურზე არ გაუვლია);
- დოქტორანტის სემინარი - 15 კრედიტი;
- პროფესორის ასისტენტობა – 5 კრედიტი;
- პრაქტიკა - 10 კრედიტი.

სასწავლო კომპონენტის სხვა ელემენტები არჩევითია.

- დოქტორანტის სემინარი – 15 კრედიტი;
- პროფესორის ასისტენტობა – 10 კრედიტი;
- სტატისტიკა - 5 კრედიტი;
- სოციალური კვლევის მეთოდები – 5 კრედიტი;
- სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფია – 5 კრედიტი;
- მეცნიერების მენეჯმენტი – 5 კრედიტი;

ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა – 10 კრედიტი;

- საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების თანამედროვე მეთოდები – 10 კრედიტი;
- საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო კურსები – 5–25 კრედიტი;
- სხვა სახის აქტივობა 5–15 კრედიტი.

კვლევითი კომპონენტი (140 კრედიტი):

- დისერტაციის ანუ სამეცნიერო ნაშრომის შესრულება და დაცვა (80 კრედიტი).
  მინიმუმ 2 კოლოკვიუმი.

  თვითოეული კოლოქვიუმი 20 კრედიტიანია.

- დოქტორანტი ვალდებულია წარსდგეს პრეზენტაციით სპეციალიზებული სექციის სხდომაზე წელიწადში ერთხელ მაინც.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;

- 91 -100 ფრიადი
- 81 -90 ძალიან კარგი
- 71 -80 კარგი
- 61 -70 დამაკმაყოფილებელი
- 51 - 60 საკმარისი
- 41 - 50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება
- 0 – 40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისთვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება საერთო/საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად: qulebi	შეფასება
summa cum laude	ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი)
magna cum laude	ძალიან კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება)
cum laude	კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს) აღემატება
bene	საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს)
rite	დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს)
insufficienter	არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს)
sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს)

7. პროგრამის უზრუნველყოფის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული ბაზები
- რესურს–ცენტრები და სხვა.

8. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

- ლექცია- სემინარი
- დისკუსია/დებატები სტუდენტთა ჩართულობის ხარისხისა და აქტივობის ასამაღლებლად, კრიტიკული აზროვნების განსავითარებლად, კამათის კულტურის ჩამოსაყალიბებლად.
- წერითი ნაშრომების შესრულება: ესსეს დაწერა, კვლევითი დავალების წერილობითი ფორმით მომზადება.
- შემთხვევის ანალიზი (Case study) –კონკრეტული შემთხვევების სიღრმისეული განხილვა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - პრობლემის დასმა და გამოყენება საწყის ეტაპად ახალი ცოდნის მიღებისა და კონტექსტუალიზაციისთვის.
- გონებრივი იერიში (Brain storming) - სტუდენტებში შემოქმედებითი მიდგომის განსავითარებლად კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზრების, იდეების გამოვლენის, გენერირებისა და ვერბალიზაციის ხელშეწყობა.

პროფესორის მიერ ერთი ან რამდენიმე მეთოდის გამოყენება ხდება სასწავლო კურსის ამოცანების შესაბამისად.

9. პროგრამის მონაწილე აკადემიური პერსონალის ბიოგრაფიული მონაცემები
ნანა სუმბაძე, სრული –პროფესორი
ანასტასია ქიტიაშვილი, ასოცირებული პროფესორი
თამარ აბაშიძე, ასოცირებული პროფესორი
თამარ მახარაძე- ასოცირებული პროფესორი
ირინე ჟვანია - ასისტენტ პროფესორი
ეკატერინე ფირცხალავა - ასისტენტ პროფესორი

10. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: სადოქტრო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ–ს ბიუჯეტი.

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: პიროვნება და კლინიკური ფსიქოლოგია (მილევადი პროგრამა).

1. პროგრამის ხელმძღვანელი: მარინე ჩიტაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, (m.chitashvili@css.ge, marine.chitashvili@tsu.ge)

3. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:
ფსიქოლოგიის დოქტორი
PhD in Psychology

4. სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია მეცნიერული ცოდნის შექმნა და გამოყენება ადამიანური პრობლემების (ტრავმა) შეფასების, გაგებისა და ინტერვენციის შესახებ.
საქართველოში ტრავმასთან დაკავშირებული აკადემიური კვლევები ნაკლებად მოიძებნება, თუმცა არსებობს მთელი რიგი სერვისების, რომლებიც მუშაობენ ტრავმირებულ ჯგუფებთან. მათი რაოდენობა ბოლო 20 წლის განამვლობაში საგრძნობლად გაიზარდა. პრაქტიკაში მუშაობისას, მათ მიერ ძირითადად გამოიყენება ასეთ სიტუაციებში აპრობირებული ტექნიკები მოკლევადიანი ტრენინგების კვალობაზე გადამზადებული პერსონალის მიერ, რაც სერიოზულად აყენებს კომპეტენციების საკითხს და უფრო მეტიც, პროფესიული ეთიკის საკითხს. პრობლემა რასაც ვაწყდებით ეს არის არა სისტემატური ცოდნა ქართულ ენაზე და შესაბამისად, სამუშაო ველის თავისებურებების სრულად იგნორირება. ცნობილია, რომ ნებისმიერი ფსიქოლოგიური შეფასება მოითხოვს ვალიდაციას.
სტანდარტულად კლინიკური ფსიქოლოგიის პროგრამები ორიენტირებულია ორ ძირითად მიზანზე: მოამზადოს პროფესიონალები, რომელთაც შეუძლიათ შექმნან ახალი ცოდნა დარგში და მოამზადოს ისინი, როგორც ლიდერები (სოციალური აქტორები), რომელთაც შეუძლიათ კრიტიკულ სიტუაციებში თავის თავზე აიღონ მენეჯერების ფუნქცია, რათა შექმნან და განავითარონ ახალი ინსტიტუტები ფსიქიკური ჯანმრთელობისა და მოქალაქეების ფსიქოლოგიური კარგად ყოფნისათვის (well-being).

საქართველოში არსებული სიტუაცია ფაქტობრივად ორი გადაუდებელი სასწავლო და კვლევითი ამოცანის გადაწყვეტას მოითხოვს. ესაა: ვალიდური საზომი ინსტრუმენტების შექმნა ტრავმის შეფასებისა და დიაგნოსტირებისთვის, ასევე ინტერვენციების ინდივიდუალური და ჯგუფური ტექნიკების შემუშავება და სწავლება, ასევე კვლევითი საქმიანობა, რომელიც ერთი მხრივ, შეძლებს გამოყენებითი მიზნების შესატყვისი ვალიდური მასალის შექმნას და მეორე,- ახალი ცოდნის შექმნას ტრავმასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ა) ცოდნა და გაცნობიერება

ეს პროგრამა პირველია საქართველოში, რომელიც უმაღლესი განათლების ახალი კანონის მოთხოვნების შესაბამისად იქმნება და კონცენტირებას ახდენს ერთ თემაზე - ფსიქოლოგიური ტრავმა და სტრესი მრავალგანზომილებიანი და მულტიდისციპლინური ასპექტით. ამოვდივართ რა წინაპირობიდან, რომ აქ და ამჟამად არსებობს სოციალური გარემო ტრავმირებული ადამიანების დიდი ჯგუფების სახით, ფსიქოლოგები ვაცნობიერებთ იმ სისუსტეებს, რომელიც არის ქართულ ფსიქოლოგიურ სივრცეში ტრავმირებულ შერჩევასთან ინტერვენციების და პროგრამების შემუშავებისათვის.

სტრესსა და ტრავმასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური კვლევები განსაკუთრებით პოპულარული ხდება ისეთი ახალი ფაქტორების წარმოჩენის კვალობაზე, როგორიცაა ტერორიზმი, გლობალური დათბობა, სამხედრო კონფლიქტები, ომები, გენოციდი, სტიქიური უბედურებები და სხვა. კვლევითი პარადიგმის ცვლილება ტრავმის ცნების შესახებ პიროვნული გამოცდილებიდან სოციალურ ფენომენამდე ბოლო ოცი წლის განმავლობაში ხდებოდა. ახალი პარადიგმა გულისხმობს უფრო ფართო მიდგომას ვიდრე ეს ინდივიდის ან ჯგუფების ფსიქოთერაპიაა.

ფსიქოლოგიის ამ პროგრამის დამთავრების შემდეგ დოქტორანტს ექნება ცოდნა ტრავმის ფსიქოლოგიის, მიმდინარე აკადემიური და გამოყენებითი კვლევების საფუძველზე დაგროვილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების და ახალი კვლევითი საკითხების აკადემიურ და გამოყენებით ჭრილში შესწავლისათვის კვლევითი პროექტების შექმნისა და განხორცილეების შესახებ. დოქტორანტს ექნება გაცნობიერებული ტრავმის ინტერდისციპლინური ბუნება და მისი სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური ასპექტები. შეეძლება სწორად დაგეგმოს კვლევითი სამუშაო და შეიტანოს ცვლილებები არსებულ ინტერვენციისა და შეფასების პროგრამებში

ბ)ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:
ისე როგორც პიროვნების და კლინიკური ფსიქოლოგიის პროგრამების უმეტესობა ეს პროგრამაც ეფუძნება მეცნიერი-პრაქტიკოსის მოდელს და მიზნად ისახავს მოამზადოს მეცნიერი და პროფესიონალი პრაქტიკოსი, რომელსაც შეეძლება გააუმჯობესოს ცოდნა და გამოყენებითი საქმიანობა (პრაქტიკა) პროფესიული საქმიანაობის სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა უნივერსიტეტი, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემა და საზოგადოების სოციალური ცხოვრება მთლიანობაში.
ეს პროგრამა ორიენტირებულია შეამციროს ადამიანური რესურსების ნაკლულობა ტრავმასთან დაკავშირებული პრობლემების სფეროში მომუშავე მეცნიერი- პრაქტიკოსების და მოამზადოს ისინი პროფესიის თანამედროვე სტანდარტების მიხედვით.
დოქტორანტები წარსდგებიან საჯარო პრეზენტაციებით ჩატარებული კვლევების შესახებ; მოამზადებენ სასწავლო სალექციო კურსს ახალი მეთოდოლოგიების გამოყენებით.

დოქტორებს შეეძლებათ იმუშაონ როგორც ეთიკურმა პროფესიონალებმა სოციალური და ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალურად დაუცველ ჯგუფებში და სამსახურებში ფსიქოლოგიური და სოციალური რეაბილიტაციის საკითხებზე ფართო გაგებით - ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, თემის ორგანიზება, ახალი ინტერვენციების შემუშავება და ა.შ.

გ) დასკვნის უნარი
სწავლის დასრულების შემდეგ დოქტორები იქნებიან მონაცემებზე დაფუძნებული სოციალური კვლევის მეთოდოლოგიის ცოდნით აღჭურვილნი, რომელთაც თეორიეული თუ პრაქტიკული სამუშაოს შესრულების დროს, საკუთარი და სხვისი კვლევების გამოყენებისას შეეძლებათ არ დაუშვან მონაცემთა შეკრების, ანალიზის და ჭარბი, ზეგენერალიზებული დასკვნის სახით პრინციპული შეცდომა.

დ)კომუნიკაციის უნარი
დოქტორებს ექნებათ, აკადემიური და პროფესიულ დონეზე, ვერბალური და წერითი კომინკაციის უნარი აუდიტორიის მოთხოვნების გათვალისწინებით. შეეძლებათ მუშაობა როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ დონეზე, როგორც პრაქტიკოსებს და ასევე ექნებათ უნარი საკუთარი კვლევისა და მუშაობის შედეგები წარმოადგინონ როგორც სამეცნიერო კონფერენციებზე, ასევე ფართო აუდიტორიისათვის.

ე) სწავლის უნარი
დოქტორანტებს ექნებათ საშუალება ცხოვრების განმავლობაში გაიღრმავონ ცოდნა კონკრეტული სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე აკადემიურ და გამოყენებით სამეცნიერო და ინტერდისციპლინური მიმართულებებით. შეეძლებათ, სულ მცირე, ერთ უცხო ენაზე საკუთარი კვლევების პრეზენტირება, როგორც ვერბალური ასევე წერილობითი ფორმით [სტატიები, პოლიტიკის დოკუმენტების, გამოყენებითი სასწავლო მასალის და შეფასების დოკუმენტების ფორმატში]. შეეძლებათ მოძებნონ კავშირები სხვა დარგებთან და გამოყონ მათი კვალიფიკაციის ფარგლებში პრობლემურ საკთხებთან დაკავშირებული თემატიკა და აღიჭურვონ ცოდნით სხვა დარგებსა თუ საკუთარი დარგის ფარგლებში.

ვ)ღირებულებები
ამ პროგრამის ძირითადი ღირებულება არის მაღალკვალიფიციური და ეთიკური მეცნიერი - პროფესიონალების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ იმუშაონ სოციალურ და ჯანდაცვის სხვადსხვა სერვისში, როგორც სახელმწიფო, ასევე სამოქალაქო სექტორში, ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში და საკუთარი წვლილი შეიტანონ ტრავმის [იგულისხმება სხვადასხვა ტიპის ტრავმა] შეფასების, კვლევისა და ინტერვენციის დაგეგმვის საქმეში ფსიქოლოგიური [ინდივიდუალური და ჯგუფური], საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისის სფეროებში. მათ შეეძლებათ მონაცემებზე დაყრდნობით შექმნან პრობლემური სიტუაციის შესატყვისი ახალი მიდგომები და იმუშაონ როგორც ლიდერებმა პროგრამების განხორციელებისათვის. მათ ასევე შეეძლებათ საკუთარი საქმიანობა ხელმისაწვდომი გახადონ საჯარო გამოყენებისათვის.

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები
 წარმოდგენილი პროგრამა პიროვნებისა და კლინიკურ ფსიქოლოგიაში ეფუძნება მეცნიერი-პროფესიონალის მოდელს და მიზნად ისახავს ახალი ცოდნის შექმნას ფსიქოლოგიური ტრავმის, სტრესის და მომიჯნავე სფეროებში ფსიქოტრავმის შესახებ და მომავალი

ლიდერების მომზადებას, რომლებსაც შეეძლებათ იმუშაონ სხვადასხვა ინსტიტუტებში და განავითარონ ინოვაციები და მოძებნონ რაციონალური გადაწყვეტილებები კრიზისისა და მასთან დაკავშირებული შედეგების დასაძლევად.
ფსიქოლოგიაში პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონეს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში სპეციალობის მიხედვით. როგორც მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტს, მას შეეძლება წარმართოს ფსიქოლოგიური მუშაობის პრაქტიკა, აგრეთვე, აწარმოოს კერძო, ლიცენზირებული პრაქტიკაც.

5. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

აპლიკანტი უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- ჰქონდეს მაგისტრის აკადემიურ ხარისხს ფსიქოლოგიაში
- ინგლისური ენის ცოდნა - B2 დონე - აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს მისაღები გამოცდა თსუ-ს ენების ცენტრში ან წარმოადგინოს ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL IBT 61, IELTS 5, ან რომელიმე სხვა საერთაშორისო ტესტი, იხ. თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება #25/2011 დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ, დანართი #2). აპლიკანტებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ ინგლისურენოვანი პროგრამები) გამოცდის ჩაბარება ან სერთიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ.
- მოტივაციის წერილი და გასაუბრება

მიღების პროცედურა:

აპლიკანტი მიიღება უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესის შებამისად.

6. პროგრამის დიზაინი

სადოქტორო პროგრამისთვის კანონით განსაზღვრულია მინიმუმ 180 კრედიტის (ECTS) დაფარვა, რომლის ძირითადი ნაწილი სტუდენტს ენიჭება დამოუკიდებელი კვლევისთვის. მთლიანი პროგრამა გაყოფილია ორ კომპონენტად 1) სწავლება (45 ECTS), 2) კვლევა (135 ECTS). სასწავლო კურსები შედგება დარგის ძირითადი, საუნივერსიტეტო სავალდებულო და არჩევითი კურსებისაგან .
კვლევითი კომპონენტი მოიცავს 2 კოლოკვიუმს (თითოეული 20 კრედიტი) და საბოლოო ნაშრომის წარდგენას, დაცვას (95 კრედიტი), რაც საბოლოო ჯამში კვლევითი კომპონენტს წარმოადგენს 135 კრედიტის სახით.

სასწავლო კომპონენტი შედგება საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსებისაგან და ასევე, დარგისათვის აუცილებელი საუნივერსიტეტო არჩევითი და ფსიქოლოგიის სასწავლო საგნებისაგან, რომლებიც ფარავს, პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის კონტექსტში, ტრავმის შესახებ არსებულ ცოდნას. ემსახურება სადოქტორო სწავლების ძირითად მოთხვნას ჰყავდეს კარგად მომზადებული მეცნიერი-

პროფესიონალი, რომელსაც შეეძლება ახალი ცოდნის შექმნა ფსიქოლოგიის მეცნიერებასა და პრაქტიკაში და ექნება ექსტენსიური და სიღრმისეული ცოდნა დისციპლინის.

კვლევითი კოლოკვიუმები [სულ 2, თითოეული 20 კრედიტი]. პირველი კოლოკვიუმი არის დასრულებული სადოქტორო დისერტაციის შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევითი დიზაინი, მეორე კოლოკვიუმი - კვლევითი ნაწილი, მონაცემების ანალიზი და პირველადი დასკვნები. კვლევითი კოლოკვიუმების ფორმატი არის სასემინარო ტიპის და დოქტორატებს აძლევს საშუალებას გაარკვიონ კონკრეტული ფენომენის კომპლექსური ხასიათი და გამოუმუშავდეთ კრიტიკული აზროვნების უნარი კვლევითი დიზაინისა და მეთოდოლოგიის გასავითარებლად, ასევე, ადეკვატურად უპასუხონ/ჩაერთონ თანამედროვე მიმდინარე დებატებში ტრავმასთან და კონკრეტულ აშლილობასთან მიმართებაში.

სასწავლო კომპონენტი

ძირითადი სავალდებულო კურსები, 40 კრედიტი:

- სწავლების თანამედროვე მეთოდები - 5 კრედიტი
- პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი
- მეცნიერების მენეჯმენრი – 5 კრედიტი
- სადოქტორო სემინარი 15 კრედიტი
- კვლევითი დიზაინი- სადოქტორო ნაშრომის პროექტი - 5 კრედიტი
- კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი - 5 კრედიტი

სტუდენტებს შეუძლიათ, საკვლევი თემის შესაბამისად, დამატებით აირჩიონ: საუნივერსიტეტო კურსები ან დისციპლინისთვის დამახასიათებელი სემინარები; ან საზღვარგარეთ აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში მოსმენილი სადოქტორო კურსები.

საკვლევი თემატიკა:

ფსიქოლოგიური ტრავმა [ტრავმული გამოცდილება და სტრესი/ ტრავმა და დაძლევის სტრატეგიები / და ა.შ.]

- დიაგნოსტიკა
- ინტერვენცია/მკურნალობა
- შეფასება

პროგრამის სტრუქტურა (ცხრილი)

სასწავლო პროგრამა	სემესტრი	კრედიტი
ძირითადი სავალდებულო კურსები		40
კვლევითი დიზაინი- სადოქტორო ნაშრომის პროექტი	I - II	5
კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი	III – V	5
პროფესორის ასისტენტობა	V -VI	5
სწავლების თანამედროვე მეთოდები	IV - VI	5
სადოქტორო სემინარი	IV - VI	15
მეცნიერების მენეჯმენტი	IV - VI	5
დარგობრივი სავალდებულო- არჩევითი კურსები/სემინარები		5
ფსიქოლოგიური აზრის ისტორია და ცოდნის სისტემა	IV - VI	5
სემინარი ფსიქომეტრიკასა და კლინიკურ შეფასებაში	IV - VI	5
პიროვნების გაგება თანამედროვე სოციალურ კონტექსტში	IV - VI	5
კრედიტების საერთო რაოდენობა სასწავლო კომპონენტში		45
კვლევით კომპონენტში		135
სადოქტორო კოლოკვიუმი 1	II - III	20
სადოქტორო კოლოკვიუმი 2	V - VI	20
საბოლოო ნაშრომის დაცვა	VI - X	95
კრედიტების საერთო რაოდენობა		180

შეფასების წესი (ცხრილი)
საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულათა მაქსიმალური რაოდენობიდან	შეფასება	შეფასების კვალიფიკაცია	შეფასება GPA
91%–ზე მეტი	(A) „ფრიადი“	დადებითი	4.0
81 – 90%	(B) „ძალიან კარგი“	დადებითი	3.0
71– 80%	(C) „კარგი“	დადებითი	2.0
61 – 70%	(D) „დამაკმაყოფილებელი“	დადებითი	1.0
51 – 60%	(E) „საკმარისი“	დადებითი	0.5
41 – 50%	(FX) „ვერ ჩააბარა“	უარყოფითი	0.0
40% და ნაკლები	(F) „ჩაიჭრა“	უარყოფითი	0.0

FX შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება, ხოლო F შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა კრედიტების მისაღებად კურსი თავიდან უნდა გაიაროს.

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად.

ფრიადი (summa cum laude)	შესანიშნავი ნაშრომი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი
ძალიან კარგი (magna cum laude)	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
კარგი (cum laude)	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
საშუალო (bene)	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
დამაკმაყოფილებელი (rite)	შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

არადამაკმაყოფილებელი (insufficienter)	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 41-50%;
სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone)	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები

არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული დისერტაციის წარდგენის საშუალება.
სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში სტუდენტი კარგავს იგივე დისერტაციის წარდგენის უფლებას.

7. სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

პროგრამის სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ბიბლიოთეკით, რომელიც გამიზნულია სპეციალურად სოციალური მეცნიერებებისთვის; მსგავსი ტიპის ბიბლიოთეკა მცირე რაოდენობით თუ მოიპოვება საქართველოში. აღნიშნული ბიბლიოთეკა გამოიყენება როგორც თსუ-ს სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალის მიერაც. პროგრამის სტუდენტებს ასევე უფლება აქვთ ისარგებლონ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ბაზაზე არსებული კომპიუტერული ტექნიკით.

8. პროგრამაზე შესაძლებელია 10 დოქტორანტის მიღება

9. დანართის სახით იხილეთ პროგრამის ხელმძღვანელის ბიოგრაფიული მონაცემები (CV)

10. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება თსუ-ს მიერ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისთვის გამოყოფილი ბიუჯეტიდან.

11. საკონტაქტო პირი:

მარინე ჩიტაშვილი, თსუ-ს სრული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი
(m.chitashvili@css.ge, marine.chitashvili@tsu.ge), 577450331

1.სადოქტორო პროგრამა: სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია; Social, Political and Cultural Psychology. პროგრამა შედგება სამი შესაბამისი მოდულისაგან (მილევადი პროგრამა).

სოციალური ფსიქოლოგია..

პოლიტიკური ფსიქოლოგია.

კულტურული ფსიქოლოგია.

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფსიქოლოგიის დოქტორი Doctor of Philosophy (PhD) in Psychology

3. პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი შალვა აბზიანიძე (სწავლების ენა – ქართული).

4. პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

მიზანი: სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს:

- მისცეს დოქტორანტს გაღრმავებული ცოდნა ფსიქოლოგიის შესაბამის დარგებში;
- ხელი შეუწყოს დოქტორანტს სადოქტორო დისერტაციის შესრულებასა, დაცვასა და აკადემიური ხარისხის (PhD) მოპოვებაში;
- მოამზადოს უმაღლეს საგანმანათლებლო ან კვლევით დაწესებულებებში სამუშაოდ.

შედეგი: პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების სრული კურსის გავლის და სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ დოქტორს ექნება არჩეულ დარგში ღრმა თეორიული ცოდნა, კვლევის მეთოდებიისა და სტატისტიკური ანალიზის გამოყენების უნარ-ჩვევები და უმაღლეს სკოლასა და სხვა შესაბამის ორგანიზაციებში მუშაობის კომპეტენცია. სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი კომპეტენციები:

ა)ცოდნა და გაცნობიერება – სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა, ამ და მომიჯნავე სფეროებში არსებული უახლესი მიღწევების ცონდა, კვლევის მეთოდების ღრმა ცოდნა; იმის გაცნობიერება, რომ საჭიროა მიღებული ცოდნის მუდმივი განახლება

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;

გ) დასკვნის უნარი - დოქტორანტურის კურსდამთავრებულს შეეძლება, რომ სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგიის მონაცემების მაღალპროფესიულ დონეზე დამოუკიდებლად დამუშავებისა და გაანალიზების საფუძველზე გამოიტანოს დასკვნები შესასწავლი პრობლემის არსის, მისი გადაჭრის გზების შესახებ.

დ) კომუნიკაციის უნარი - ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე. პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისად და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების მიწევების გამოყენებით (ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელები და ა.შ.);

ე) სწავლის უნარი - სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგიის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში;სწავლის პროცესში გამოყენებული სწავლისა და სწავლების მეთოდებიდან გამომდინარე, სტუდენტებს თვითონაც განუვითარდებათ სწავლისა და სწავლრების უნარები (ეტაპების დაგეგმვა, ყურადღების კონცენტრაცია, სასწავლო მასალის გაცნობიერება და ა.შ.);

ვ) ღირებულებები - ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.სტუდენტებს განუვითარდებათ სამყაროს მულტიკულტურული ხედვის, სხვა კულტურების წარმიმადგენლებისადი შემწყნარებლობის და საკუთარი კულტურის პატივისცემის ღირებულებები. განუვითარდებათ სამყაროს ენვირონმენტალისტური და სიტუაციონისტური ხედვის ხედვა, სხვა კულტურების წარმიმადგენლებისადი შემწყნარებლობის და საკუთარი კულტურის პატივისცემის, ასევე ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები.

დასაქმების სფეროები

სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ გააგრძელონ საქმიანობა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში, კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის პერსპექტივით, ასევე იმუშაონ სხვა და სხვა სახელმწიფო ორგანოებში, ანალიტიკურ ცენტრებში, პოლიტიკური პარტიების აპარატებში, მასმედიაში, არასამთავრობო ორგანიზაციებში და ყველგან, სადაც ხდება სოციალური, პოლიტიკური, ეთნო-კულტურული პროცესების ანალიზი და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება და მნიშვნელოვანია პიროვნული, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორების გათვალისწინება.

5. პროგრამაზე მიღების წინაპირობები

მაგისტრის ხარისხი ფსიქოლოგიაში და უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით და გასაუბრება სპეციალობაში.

6. სასაწავლო კომპონენტი

დოქტორანტურის სასწავლო გეგმა მთლიანობაში მოიცავს 180 კრედიტს. მათ შორის, სასწავლო კომპონენტი მოიცავს 40 კრედიტს, ხოლო დანარჩენი 140 ეთმობა კვლევას.

უშუალოდ სადოქტორო თემასთან დაკავშირებული ლიტერატურის გარდა (რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად, თემატიკიდან გამომდინარე), დოქტორანტმა უნდა შეისწავლოს მოდულით განსაზღვრული ფსიქოლოგიის დარგის აქტუალურ თემებთან დაკავშირებული ლიტერატურა და ჯგუფურ დისკუსიებში მონაწილეობისა და წერილობითი რეფერატების გზით მოახდინოს მასალის

ანალიზის, მსჯელობის და გადმოცემის, ასევე რეალური სიტუაციების და მოვლენების მეცნიერული ანალიზის და პრობლემის შესაძლო გადაწყვეტის გზების დემონსტრირება.

დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი (40 კრედიტი) გულისხმობს შემდეგ სალექციო
კურსებს და სხვა სახის აქტივობებს:

სავალდებულო კომპონენტებია:

- სწავლების მეთოდები - 5 კრედიტი;
- აკადემიური წერა (კვლევის მეთოდების კომპონენტებით) - 5 კრედიტი (სავალდებულო სალექციო კურსი მათთვის, ვისაც აკადემიური წერა და/ან კვლევის მეთოდები სწავლების წინა საფეხურზე არ გაუვლია);
- დოქტორანტის სემინარი - 15 კრედიტი;
- პროფესორის ასისტენტობა – 5 კრედიტი.

სასწავლო კომპონენტის სხვა ელემენტები არჩევითია.

- დოქტორანტის სემინარი – 15 კრედიტი;
- პროფესორის ასისტენტობა – 10 კრედიტი;
- შესავალი გამოყენებით სტატისტიკაში - 5 კრედიტი;
- სოციალური კვლევის მეთოდები – 5 კრედიტი;
- სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფია – 5 კრედიტი;
- მეცნიერების მენეჯმენტი – 5 კრედიტი;
- ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა – 10 კრედიტი;
- საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების თანამედროვე მეთოდები – 10 კრედიტი;
- საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო კურსები – 5–25 კრედიტი;
- სხვა სახის აქტივობა 5–15 კრედიტი.

ინდივინდუალურ სასწავლო გეგმას, საუნივერსიტეტო სტანდარტის სქემის მიხედვით, ადგენს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს 2 კოლოკვიუმს (თითოეულისთვის 20 კრედიტი) 40 კრედიტის ოდენობით და სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა – 100 კრედიტი.

კვლევითი კომპონენტი

დღეისათვის შემოთავაზებულია პროგრამის კვლევითი კომპონენტის ზოგადი თემატიკა მოდულების შესაბამისად. ამასთან, კონკრეტული თემების დასახელება სცილდება მოცემული პროგრამის ფარგლებს და დადგინდება ინდივიდუალურად.

კვლევითი თემატიკა სოციალურ ფსიქოლოგიაში

- სოციალური კოგნიცია და სოციალური მითოლოგია
  ყურადღება გამახვილდება და კვლევის საგანი იქნება ისეთი შედარებით ახლად აღმოჩენილი ფსიქოლოგიური ფენომენები როგორიცაა: კოლექტიური მეხსიერება და ჯგუფური აზროვნება, მათი გავლენა სოციალური მითოლოგიის ფორმირებაზე და პირიქით, სოციალური მითოლოგიის გავლენა ზემოთ აღნიშნულ ფსიქოლოგიურ ფენომენებზე. კერძოდ, კვლევების საგანი იქნება სოციალური ცნობიერების მითოლოგიზაციის პროცესი, მასზე მომქმედი პიროვნული და ჯგუფური ფაქტორები. სოციალური მითების ჩამოყალიბებისა და შეცვლის პროცესი. მითებისა და ფსიქოლოგიის ტრადიციული ცნებების - ღირებულებები, სოციალური განწყობა, სტერეოტიპები, ნორმები და ა.შ. ურთიერთმიმართება. მითების სტრუქტურტული და დინამიური მახასიათებლები.
- სოციალური ქცევის დეტერმინანტები
  ეს მიმართულება უშუალო კავშირშია, კვლევების ზემოთ განხილულ მიმართულებებთან, მაგრამ ამ შემთხვევაში აქცენტი გაკეთდება ქცევის არ შინაარსობლივ კომპონენტებზე, არამედ ფორმალურზე – ქცევის მოდელებზე (ძირითადად როკიჩი, ფიშბაინი, აიზენი, უზნაძე და მოწაფეები) და მათ ვალიდობაზე პოლიტიკური ქცევის ასახსნელად.
- სოციალური აქტივობის კულტურული კონტექსტი

კვლევითი თემატიკა პოლიტიკურ ფსიქოლოგიაში

- პოლიტიკური კოგნიცია და პოლიტიკური მითოლოგია
  ყურადღება გამახვილდება და კვლევის საგანი იქნება ისეთი შედარებით ახლად აღმოჩენილი ფსიქოლოგიური ფენომენები როგორიცაა: კოლექტიური მეხსიერება და ჯგუფური აზროვნება, მათი გავლენა პოლიტიკური მითოლოგიის ფორმირებაზე და პირიქით, პოლიტიკური მითოლოგიის გავლენა ზემოთ აღნიშნულ ფსიქოლოგიურ ფენომენებზე. კერძოდ, კვლევების საგანი იქნება პოლიტიკური ცნობიერების მითოლოგიზაციის პროცესი, მასზე მომქმედი პიროვნული და ჯგუფური ფაქტორები. პოლიტიკური მითების ჩამოყალიბებისა და შეცვლის პროცესი. მითებისა და ფსიქოლოგიის ტრადიციული ცნებების - ღირებულებები, სოციალური განწყობა, სტერეოტიპები, ნორმები და ა.შ. ურთიერთმიმართება. მითების სტრუქტურტული და დინამიური მახასიათებლები. მითების როლი პოლიტიკური მოვლენებისა და ფიგურების აღქმაში, ზოგადი შთაბეჭდილების (იმიჯის) ფორმირებასა და პოლიტიკური ქცევის დეტერმინაციაში.
- პოლიტიკური იდეოლოგიების ფსიქოლოგიური საფუძვლები
  პოლიტიკურ იდეოლოგიებთან ასოცირდება მთელი რიგი პოლიტიკური ღირებულებები, სტერეოტიპები, როლები, ნორმები, ქცევების სტანდარტები და პიროვნული თავისებურებები. შესაბამისად პოლიტიკური იდეოლოგიები შეიძლება განხილული იქნას

არა მხოლოდ “იდეების” დონეზე, არამედ შესაძლებელია მათი კორელატების აღწერა პიროვნების, სიტუაციისა და მცირე ჯგუფების დონეზეც. ამდენად, იდეოლოგიები შეიძლება განხილული იქნას, როგორც პოლიტიკური და ყოველდღიური ქცევების ფსიქოლოგიურ დეტერმინანტები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმიბა ნაციონალიზმს, კონსერვატიზმს და ლიბერალიზმს.

- პოლიტიკური ქცევის დეტერმინანტები
  ეს მიმართულება უშუალო კავშირშია, კვლევების ზემოთ განხილულ მიმართულებებთან, მაგრამ ამ შემთხვევაში აქცენტი გაკეთდება ქცევის არ შინაარსობლივ კომპონენტებზე, არამედ ფორმალურზე – ქცევის მოდელებზე (ძირითადად როკიჩი, ფიშბაინი, აიზენი, უზნაძე და მოწაფეები) და მათ ვალიდობაზე პოლიტიკური ქცევის ასახსნელად.
- პოლიტიკური აქტივობის კულტურული კონტექსტი
  ძირითადი ყურადღება დაეთმობა კონფლიქტისა და მოლაპარაკებების სტრატეგიების კულტურულ მოდელებს. კონფლიქტის, კონფლიქტური სიტუაციის, და პიროვნული და ჯგუფური “ღირსების” კულტურულ განსაზღვრებებს. შიდა და გარე ჯგუფების (ინგროუპ და ოუტგროუპ) ფენომენების კულტურულ დეტერმინაციას. კონფლიქტის მიმდინარეობის, ეტაპების და ქცევითი გამოვლინებების კულტურულ კონტექსტს.

კვლევითი თემატიკა კულტურულ ფსიქოლოგიაში

- განწყობა – პიროვნება – კულტურა
  ძირითადი ყურადღება დაეთმობა განწყობის თეორიაში კულტურის ცნების შემოტანასა და მის მოდიფიცირებას თანამედროვე კულტურული ფსიქოლოგიის მიღწევების შესაბამისად. ეს, თავისთავად აყენებს რიგ ახალ საკითხებს: განწყობის როგორც ფენომენის განხილვას, არა მხოლოდ პიროვნების დონეზე, არამედ ჯგუფური განწყობის (ჯგუფის როგორც მთლიანის), არსებობის საკითხს და მის მიმართებებს სხვა ისეთ ჯგუფურ ფენომენებთან როგორიცაა; ჯგუფური აღქმა, კოლექტიური მეხსიერება, ჯგუფური აზროვნება და ჯგუფური ქცევა. ასეთ მიდგომის პირობებში, ჯგუფური აქტივობის სუბიექტის როლში გამოდის ჯგუფი, როგორც მთლიანობა, ხოლო აქტივობის ობიექტური ფაქტორის როლში კი კულტურა. ყურადღება გამახვილდება ეთნიკურ და სხვა კულტურულ ჯგუფებზე. ცხადია, რომ ამ მიმართულებით მუშაობა მოიცავს ფართო თეორიულ და ემპირიულ კვლევებს.

- ინტერპერსონალური და ინტერჯგუფური ურთიერთობების კულტურული კონტექსტი
  ძირითადი ყურადღება დაეთმობა ინტერპერსონალური და ინტერჯგუფური კონფლიქტის კულტურულ დეტერმინანტებს და თავისებურებებს. კონფლიქტური სიტუაციის, პიროვნული და ჯგუფური “ღირსების” კულტურულ განსაზღვრებებს. შიდა და გარე (ინგროუპ და ოუტგროუპ) ჯგუფური ფენომენების კულტურულ დეტერმინაციას. კონფლიქტის მიმდინარეობის, ეტაპების და ქცევითი გამოვლინებების კულტურულ კონტექსტს. კონფლიქტის გადაწყვეტისა და მოლაპარაკებების ტრადიციულ მეთოდებსა და ფორმებს. კონფლიქტისა და მოლაპარაკებების სტრატეგიების კულტურულ მოდელებს.

- ქართული კულტურის ფსიქოლოგიური მახასიათებლები
  გლობალიზაციის პირობებში, ხდება კულტურათა ასიმილაცია, მრავალი კულტურული ჯგუფის თავისებურებების ნიველირება და გაქრობა. ეს განსაკუთრებით ეხებათ მცირე ერებს. სულ მალე გაქრება ამ ერებისთვის დამახასიათებელი მრავალი ისეთი

სოციალური და კულტურული თავისებურება, რომლებიც არაა მატერიალური და არაა დაფიქსირებული წერილობით, ან რაიმე სხვა ფორმით. მაგალითად ინტერპერსონალური, ოჯახურ, მეზობლური, მეგობრული, გენდერული, მცირე ჯგუფების ურთიერთობების ფორმები და მათი სხვა კულტურული მახასიათებლები. გლობალიზაციის გავლენით, ცვლილებას განიცდის მთელი კულტურული კონტექსტი, რომელიც, დღეისათვის, მოცემული ჯგუფის სოციალური და ფსიქიკური აქტივობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია და რომელიც, უახლოეს ხანებში, სრული გაქრობის საშიშროების წინაშე დგას. აქედან გამომდინარე, კვლევების ამ მიმართულების მიზანია ემპირიულად შეისწავლოს ქართული კულტურის ფსიქოლოგიური მახასიათებლების ფართო წრე და მოახდინოს მათი შედარებითი ანალიზი სხვა კულტურებში შესწავლილ (და ლიტერატურაში ასახულ) ფსიქოლოგიურ მახასიათებლებთან.

ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით;კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება შემდეგი სქემით:

ქულები	შეფასება
91-100	ფრიადი A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა FX
0-40	ჩაიჭრა, F

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება საერთო/საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად:

ქულები	შეფასება
summa cum laude	ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი)
magna cum laude	ძალიან კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება)
cum laude	კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს) აღემატება

bene	საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს)
rite	დამაკმაყოფილებელი(შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს)
insufficienter	არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს)
sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს)

ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, საშუალო და დამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშევებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

8. სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ბაზები, რესურს–ცენტრები და სხვა.

9. პროგრამაზე შესაძლებელია 10 დოქტორნატის მიღება

10. პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალის CV (იხ. დანართი)

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: სადოქტრო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ.

სადოქტორო პროგრამის დასახელება: განათლების მეცნიერებები / Education Sciences

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: განათლების მეცნიერებების დოქტორი / PHD in Education

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს, რომელთაგან 60 ECTS განკუთვნილია სასწავლო კომპონენტისათვის, 120 ECTS კრედიტი კი კვლევითი კომპონენტისათვის.

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ნებისმიერი დარგის მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი.
- დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ–ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება (შესაბამისი გამოცდის ჩაბარება ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატის წარმოდგენა).
- სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის (შესაბამისი ქვედარგის ხელმძღვანელის) თანხმობა;
- სამოტივაციო წერილი
- გასაუბრების შედეგების მიხედვით დოქტორანტურაში მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაცია.

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესები სულ უფრო რეალურ სახეს იძენს. განსაკუთრებით საგრძნობია ეს პროცესები განათლების სფეროში. 2005 წლიდან საქართველო შეუერთდა ბოლონიის პროცესებს, რამაც პრინციპულად ახალი მოთხოვნები დააყენა საქართველოს უმაღლესი განათლების წინაშე. საჭირო გახდა ახალი ტიპის სპეციალისტის მომზადება, სპეციალისტის, რომელიც შეძლებს სწრაფადცვლად პროფესიულ სფეროში ორიენტირებას, საბაზო ეკონომიკური დაკვეთების შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, პრობლემის შემოქმედებითად და დამოუკიდებლად მოგვარებას და სხვა.

ბოლონიის პროცესების კვალდაკვალ უმაღლესი განათლება სამ საფეხურს მოიცავს: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა. თითოეულ საფეხურს თავისი მიზანი და მიზნიდან გამომდინარე შინაარსი აქვს. დოქტორანტურის მიზანს წარმოადგენს დოქტორანტის ინტელექტუალური ზრდა, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოვება, ქვეყანაში სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება და ხარისხის ამაღლება, საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვა, ახალი ცოდნის შექმნისა და დანერგვისათვის ხელის შეწყობა. გამომდინარე აქედან, წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის მიზანია განათლების სფეროში ისეთი სამეცნიერო კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს სფეროში მიმდინარე პროცესების მეცნიერულ საფუძველზე, ქართული ტრადიციებისა და კულტურის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით წარმართვას. ამასთანავე შეძლებს სამეცნიერო მუშაობის ახალ სტანდარტებზე გადაყვანას და საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ჩართვას და, რაც მთავარია, მეცნიერული მონაპოვრების პრაქტიკულ საქმიანობაში, კერძოდ კი სასკოლო ცხოვრებაში გადატანას.

სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს შემდეგი სავარაუდო საკვლევი პრობლემები:

1. აღზრდის, განათლებისა და სწავლების პროცესი ყველა ტიპის სკოლაში (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, უმაღლესი სკოლა, პროფესიული სკოლა) და სკოლამდელ დაწესებულებაში;
2. სოციუმის გავლენები მოზარდის აღზრდასა და განვითარებაზე;
3. ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ მოზარდთა აღზრდის პრობლემები;
4. მცირეწლოვანთა სამართალდარღვევის პრობლემები;

5. ყველა ტიპის სკოლის სტრუქტურული და ორგანიზაციული საკითხები, ხელმძღვანელი კადრისა და მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები;
6. ზრდასრულთა განათლების პრობლემები;
7. ცალკეულ საგანთა სწავლების მეთოდიკის საკითხები ყველა ტიპის სკოლაში.

სწავლის შედეგი:
ცოდნა და გაცნობიერება
პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტმა იცის:

- პედაგოგიკურ/ფსიქოლოგიური დისციპლინები;
- მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემების აგების პრინციპები;
- საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა, მისი საკანონმდებლო ბაზა;
- საგანმანათლებლო სივრცეში არსებული აკრედიტაციისა და ევალუაციის მოდელები;
- ბოლონიის პროცესის ამსახველი დოკუმენტები;
- ზოგადი და უმაღლესი განათლების მეთოდოლოგიური საფუძვლები და თანამედროვე ტექნოლოგიები;
- პედაგოგიური კვლევის მეცნიერული მეთოდები;
- განათლების ისტორია;
- ზრდასრულთა განათლების საკითხები;
- განათლების პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები და თეორიები;
- არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით განახლებული ფარგლების გაცნობიერება.

განათლების მეცნიერებების დოქტორი სიღრმისეულად ფლობს დარგში შემუშავებულ თეორიულ და კვლევით მეთოდებს. იცის დარგის განვითარების ძირითადი კანონზომიერებები, ძირითადი და უახლესი კონცეფციები; არჩეული სპეციალობის შესაბამისად შეუძლია ახალი სამეცნიერო-ტერმინოლოგიური აპარატით ოპერირება. შეუძლია დარგის კვლევის მეთოდების და გამოყენებითი ასპექტების აქტუალიზება. აქვს მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა მის მიერ არჩეულ დარგში, რაც შესაძლებლობას აძლევს, მუშაობა წარმართოს საერთაშორისო სტანდარტის დონეზე, ობიექტური და ახლებური ხედვის საფუძველზე გადააფასოს არსებული ცოდნისა და ღირებულებების გარკვეული ნაწილი. მას შეუძლია იმ ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული; აცნობიერებს საკვლევად აჩეული დარგის ადგილს თანამედროვე ჰუმანიტარული ცოდნის სისტემაში და მის ურთიერთკავშირს სხვა ჰუმანიტარული დარგის მეცნიერებებთან.
კურსდამთავრებულს შეუძლია დარგობრივი სამეცნიერო ტიპის ტექსტების შექმნა და შესაბამისი თანამედროვე სტანდარტების მიხედვით გაფორმება და არგუმენტირება აკადემიური ფორმით; სხვების პოზიციის შეფასება/განხილვა კორექტული სახით; წერის

დროს ადეკვატური ლექსიკისა და ენობრივი სტილის გამოყენება. აქვს სამეცნიერო ჯგუფის ლიდერისათვის საჭირო ჩვევები. იცნობს სამეცნიერო კვლევისა და განვითარების ხელშემწყობი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მუშაობის პრინციპს და საგრანტო პროექტების, სამეცნიერო პუბლიკაციების შედგენის საკვანძო მომენტებს. ფლობს საგანმანათლებლო ტექნოლოგიების საშუალებით სწავლების პროცესის წარმართვის უნარს და ელექტრონული სწავლების საფუძვლებს. მონაწილეობს ელექტრონული სწავლებისა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში. კურსდამთავრებულმა იცის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე ძირითადი პროცესები, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის არსი, ბოლონიის პროცესის მახასიათებლები და მისი ძირითადი ამოცანები, საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების ძირითადი პრინციპები, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნები; ფლობს უმაღლეს სკოლაში სწავლების მეთოდების საფუძვლებს, აცნობიერების მის მიზნებსა და შედეგებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტს შეუძლია:

- საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ხედვა მსოფლიო კონტექსტში;
- ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამის საკანონმდებლო ბაზის შექმნაში მონაწილების მიღება;
- საგანმანათლებლო სისტემის ყველა დონეზე განათლების ხარისხის შეფასება;
- მეცნიერული კვლევის დაგეგმვა და განხორციელება;
- ტრეინინგ-კურსებისა და სემინარების ორგანიზება, სწავლება და გაძღოლა;
- საგანმანათლებლო დოკუმენტაციის დამუშავება;
- სხვადასხვა კონტექსტში უმაღლესი განათლების პრობლემების თანამშრომლობით გადაწყვეტა, პერსონალური და ფართო ავტონომიური ინიციატივების გამოჩენა;
- უმაღლესი განათლების მმართველობის სფეროსთან ინსტიტუციურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე საკუთარი პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობის ადაპტირება.
- ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება, ახლებური კვლევით და ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომელიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში.

განათლების მეცნიერებების დოქტორს შეუძლია იპოვოს კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზები, მას შეუძლია შეიმუშავოს ახლებული კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები, მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული. შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს კვლევა თანამედროვე სამეცნიერო კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებით. შექმნას მეცნიერული ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომი და პუბლიკაციები; შეძენილი ცოდნა და კომპეტენციები წარმატებით გამოიყენოს პრაქტიკაში, სამეცნიერო დაწესებულებასა თუ უნივერსიტეტში მუშაობისას. შეუძლია დარგის მეტაენით ოპერირება და წარმატებული

სამეცნიერო თანამშრომლობა მომიჯნავე ჰუმანიტარული დარგების წარმომადგენლებთან; შეუძლია გააანალიზოს და კრიტიკულად შეაფასოს როგორც თავისი, ასევე სხვათა სამეცნიერო საქმიანობის შედეგები; შეუძლია არა მარტო შეიძინოს და დააგროვოს ცოდნა, არამედ სხვებსაც გადასცეს იგი; შეუძლია კვალიფიციურად მოამზადოს განათლების მეცნიერებების დარგის ცალკეული დისციპლინის სასწავლო-მეთოდური მასალები; შეუძლია დარგისა და მის მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებში მიღებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგების პროფესიული კომენტირება და განზოგადება.
კურსდამთავრებულს აქვს აკადემიურ გარემოში საჭირო ტექსტების (სამეცნიერო ნაშრომი, რეცენზია და სხვ.) შექმნის, მათი შეფასებისა და პრეზენტაციის უნარი. შეუძლია ელექტრონული სწავლების საფუძვლების, მეთოდოლოგიის, ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის კვლევა/სწავლებაში დანერგვა. შეუძლია სამეცნიერო კვლევების შეფასება და კვლევის შედეგების სხვადასხვა ტიპის აუდიტორიასთან სათანადოდ წარმოჩინა, სხვადასხვა მიმართულების სამეცნიერო პროექტების შემუშავება ან/და დახვეწა პოტენციური პარტნიორებისა და დონორებისათვის მიმზიდველი ფორმის მისაცემად. შეუძლია სილაბუსის და საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) შემუშავება და შეფასება ბოლონიის პროცესის, ევროპული სტანდარტების, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნების გათვალისწინებით; შეუძლია სწავლების თანამედროვე სტრატეგიების პრაქტიკულად განხორციელება, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მთავარი პრინციპებისა და კომპონენტების სასწავლო პროცესში დანერგვა; სწავლების ინტერაქტიური მეთოდების წარმატებით გამოყენება; შეუძლია შეადგინოს სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ-აღმზრდელობითი პროგრამები/ პროექტები და სხვ.

დასკვნის უნარი
პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტს აქვს:

- საგანმანათლებლო კონცეფციების, თეორიებისა და პოლიტიკის საკითხების სისტემური ანალიზის უნარი;
- პროფესიულ სფეროში პრობლემების ხედვისა და მისი დამოუკიდებლად სწორი და ეფექტური გადაწყვეტის უნარი;

კომუნიკაციის უნარი
პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტს აქვს:

- პროფესიულ სფეროში კომუნიკაციის ყველა ფორმის გამოყენების უნარი;
- ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშის დასაბუთებული წარმოჩენის უნარი;
- საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში უცხოურ ენაზე ჩართვის უნარი.

სწავლის უნარი
პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტს აქვს:

- საქმიანობის პროცესში – სწავლება, სწავლა, სამეცნიერო კვლევა სხვ. – ახალი იდეების გენერირების, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად პროცესების წარმართვის უნარი;

- დარგის განვითარების კვალობაზე, პროფესიული საჭიროებების განსაზღვრისა და სწავლის დამოუკიდებლად ორგანიზების უნარი.

ღირებულებები
პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტს აქვს:

- ახალი საგანმანათლებლო საჭიროებებისა და მოთხვნების დანახვის უნარი;
- საკუთარი საქმიანობის რეფლექსიის, შეფასებისა და თვითკრიტიკის უნარი.
- ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავების უნარი.

დასაქმების სფეროები

- უმაღლესი სკოლა – სამეცნიერო და სასწავლო სფერო;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- განათლების რეგიონული და რაიონული მმართველობის უწყებები;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეფორმის განმახორციელებელი სექტორი;
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული თუ შინაარსობრივი მართვის კონსულტანტი;
- უმაღლესი სკოლის ადმინისტრაციული თუ შინაარსობრივი მართვის სექტორი;
- განათლების საკითხებით დაკავებული არასამთავრობო სექტორი.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სადოქტორო პროგრამა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, სემინარებისა და კოლოკვიუმების, საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი კონფერენციებში მონაწილეობის, რეცენზირებად–რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების და სხვა კვლევითი თუ სასწავლო აქტივობებით ხელს უწყობს და აუმჯობესებს სწავლისა და კვლევის შედეგების მიღწევის გზებს. აღნიშნულ აქტივობებში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი: ვერბალური, პრაქტიკული, წიგნზე და მასალაზე მუშაობის, ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზის მეთოდები, ჯგუფური მუშაობა და სხვ.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
სასწავლო კომპონენტი: სასწავლო კურსების შემთვევაში, დოქტორანტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91-100 – ფრიადი, A; 81-90 – ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი, C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში.

სასემინარო ნაშრომი ფასდება ასქულიანი სისტემით ხელმძღვანელის მიერ 60 ქულის (დადებით შეფასებად ითვლება 31 ქულა), ხოლო სემინარის პრეზენტაცია 40 ქულის ფარგლებში წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით.

კვლევით კომპონენტი:
დოქტორანტი ვალდებულია გაიაროს ინტერნაციონალიზაცია, რომლის ფარგლებშიც საერთაშორისო რეცენზირებისათვის წარდგენილი სტატიის შეფასება ხორციელდება 20 ქულიანი სისტემით. ნაშრომი დადებითად ფასდება, თუ ის მოაგროვებს არანაკლებ 12 ქულას. შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:
ა) შინაარსი (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: პრობლემის აქტუალობა; იკვეთება თუ არა დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, არის თუ არა ნათელი ავტორის მიზანი. არგუმენტაცია ზუსტი, კონკრეტული და კომპლექსური. კონცენტრირებულია თუ არა სტატია ძირითად საკვლევ საკითხებზე.
ბ) ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: ავტორის მიერ ყველა იდეის სრულად განვითარება. საკითხის სიღრმისეულად შესწავლა, საკვლევი საკითხის ამომწურავად შესწავლა. ავტორის პოზიცია გამყარებულია თუ არა ნათელი და სარწმუნო არგუმენტაციით. არის თუ არა საკმარისი რაოდენობის დამხმარე ლიტერატურა. არის თუ არა დამხმარე ლიტერატურა სპეციფიკური და არა ზოგადი. გვაქვს თუ არა აკადემიური და მიმდინარე შრომების ბალანსი.
გ) მონაცემთა სარწმუნოობა (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: მონაცემების სისწორე. წყაროდ გამოყენებულია თუ არა კომპეტენტური ავტორის მიერ დაწერილი ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია კარგი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ. პირველწყაროდან იღებს თუ არა ავტორი თანამედროვე მეცნიერების მონაცემებს. რამდენად ორგანულად ერწყმის ტექსტს მოყვანილი ციტატები. არის თუ არა მონაცემები მოყვანილი შესაბამისი წყაროებიდან და არის თუ არა ყველა ციტირებული წყარო აღნიშნული ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში.
დ) სტრუქტურა (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: არის თუ არა სტატია კარგად სტრუქტურირებული. კეთდება თუ არა მეტი აქცენტი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე, ხოლო უფრო ნაკლები – შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მქონეზე. სტატია კარგად თუ არის ორგანიზებული და მისი ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია. როგორია პარაგრაფიდან პარაგრაფზე გადასვლა. თითოეული პარაგრაფი სრულად თუ არის განვრცობილი.
ე) შედეგები (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: შედეგები რამდენად არის ახალი, მნიშვნელოვანი და დამაჯერებელი. შემუშავებულია თუ არა ახალი მიდგომა. არის თუ არა ახალი მონაცემები ახალი დასკვნებისათვის. ხომ არ არის დასკვნებში სუსტი ადგილები. ლოგიკურია თუ არა დასკვნები.
თუ ორი დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასება არის არანაკლებ 12 ქულა, დასკვნა დადებითია. თუ ერთი ექსპერტის შეფასება უარყოფითია, ხოლო მეორის დადებითი, სტატია ეგზავნება მესამე ექსპერტს. ორი უარყოფითი დასკვნის მიღების შემთხვევაში სტატია უბრუნდება დოქტორანტს დასამუშავებლად.

დისერტაციის შეფასება: სადისერტაციო კომისიის წევრები დისერტაციას აფასებენ ანონიმურად ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს ლათინურ შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით:

დადებითი შეფასება:

- 91-100 ქულა არის შეფასება summa cum laude (ფრიადი)- შესანიშნავი ნაშრომი;
- 81-90 ქულა არის შეფასება magna cum laude (ძალიან კარგი)- – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- 71-80 ქულა არის შეფასება cum laude (კარგი) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- 61-70 ქულა არის შეფასება bene (დამაკმაყოფილებელი)- შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- 51-60 ქულა არის შეფასება rite (საკმარისი) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

უარყოფითი შეფასება:

- 41-50 ქულა არის შეფასება insufficienter (არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- 40 და ნაკლები ქულა არის შეფასება sub omni canone (სრულიად არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

პროგრამის ხელმძღვანელი: ქეთევან ჭკუასელი: CV იხ. დანართი 3

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ: ქეთევან ჭკუასელი – პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; თამაზ კარანაძე – ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; ეთერ ღვინერია – ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; იზაბელა პეტრიაშვილი – ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; რუსუდან სანაძე –მოწვეული მასწავლებელი, განათლების მეცნიერებების დოქტორი.

სჭიროების შემთხვევაში, საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, პროგრამის მუშაობაში ჩაერთვებიან ფაკულტეტის სხვა მიმართულების პროფესორები.
ბიოგრაფიული მონაცემები (CV) იხ. დანართი № 3

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ: სამაგისტრო პროგრამა განხორციელდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტისა და პედაგოგიკის ინსტიტუტის ბაზაზე, სადაც არსებობს ქართული და უცხოენოვანი ბიბლიოთეკა (ინგლისური, გერმანული, რუსული), მუდმივი ორი აუდიტორია და სალექციო აუდიტორიები, კომპიუტერები, ინტერნეტი.

რამდენი დოქტორანტის მიღებაა შესაძლებელი: წელიწადში არაუმეტეს ათისა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

I. სახელწოდება: ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი
II. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი: 01101-პ, რომლის საფუძველზე შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
III. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. საკანონმდებლო ბაზა:
- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული სტანდარტი

V. დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება
VI. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ბაგა-ბაღში, სასკოლო მზაობის პროგრამებში, კერძო საბავშვო დაწესებულებებში, საბავშვო გასართობ ცენტრებში, დღის ცენტრებში, სკოლამდელი ასაკის ბავშვის მომსახურების

ცენტრებში და ა.შ

VII. მიზანი:

პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის მან უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელ სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ბაღის კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

VIII. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება
- სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით
- სააღმზრდელო პროცესის მართვა პოზიტიური გაძღოლის პრინციპების გამოყენებით
- წარმატებული, უსაფრთხო მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა

IX. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:

საგანმანათლებლო დაწესებულება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს ყველა სავალდებულო ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულს. შესაძლებელია ითვალისწინებდეს არჩევითი სტატუსის მოდულებს ამავე პროფესიული პროგრამის მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის არაუმეტეს 20 %-სა.

X. პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:

იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

- მოცულობა: 141 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 25 სასწავლო თვე

იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

- მოცულობა: 111 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 20 სასწავლო თვე

XI. სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები	სავალდებულო პროფესიული მოდულები	არჩევითი მოდული/მოდულები

დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
1. ინფორმაციული წიგნიერება 2	3	4. გაცნობითი პრაქტიკა-ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	2	20. ხატვა	5
2. მეწარმეობა 3	3	5. საწარმოო პრაქტიკა-ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	12	21. ძერწვა	2
3. უცხოური ენა	5	6. პრაქტიკული პროექტი-ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	6	22. ორიგამი, კირიგამი და აპლიკაცია	3
		7. ადრეული განვითარების თავისებურებები	6		
		8. ადრეული განათლების კურიკულუმი	6		
		9. ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა	6		
		10. სააღმზრდელო გარემო	6		
		11. სააღმზრდელო პროცესი	6		
		12. სწავლების შინაარსი: კომუნიკაცია, მეტყველება, წიგნიერება	6		
		13. სწავლების შინაარსი: მეცნიერება და მათემატიკა	5		
		14. სწავლების შინაარსი: სახვითი და	5		

		პერფორმანსული ხელოვნება და ფიზიკური აქტივობები			
		15. დაკვირვება და შეფასება	5		
		16. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თვისებურებები	6		
		17. ოჯახი,თემი და სააღმზრდელო დაწესებულება	4		
		18. ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	6		
		19. პროფესიული ეთიკა	3		
სულ:	11	სულ:	90	სულ:	10

XII. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:
პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეროგატივაა. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

XIV. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:
შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - XII პუნქტით გათვალისწინებული წესით.

XV. ქართული ენა A2 და ქართული ენა B1
მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

სავალდებულო ზოგადი მოდულები
დანართი 1. მოდული „ინფორმაციული წიგნიერება 2“
დანართი 2. მოდული „მეწარმეობა 3“
დანართი 3. მოდული „უცხოური ენა (ინგლისური)“

სავალდებულო პროფესიული მოდულები

დანართი 4. მოდული „გაცნობითი პრაქტიკა - ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“
დანართი 5. მოდული „საწარმოო პრაქტიკა - ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“
დანართი 6. მოდული „პრაქტიკული პროექტი - ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“

დანართი 7. მოდული „ადრეული განვითარების თავისებურებები“
დანართი 8. მოდული „ადრეული განვითარების კურიკულუმი“
დანართი 9. მოდული „ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა“
დანართი 10. მოდული „სააღმზრდელო გარემო“
დანართი 11. მოდული „სააღმზრდელო პროცესი“
დანართი 12. მოდული „სწავლების შინაარსი: კომუნიკაცია, მეტყველება, წიგნიერება“
დანართი 13. მოდული „სწავლების შინაარსი: მეცნიერება და მათემატიკა“
დანართი 14. მოდული "სწავლების შინაარსი: სახვითი და პერფორმანსული ხელოვნება და ფიზიკური აქტივობები"
დანართი 15. მოდული "დაკვირვება და შეფასება"
დანართი 16. მოდული "განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები"
დანართი 17. მოდული "ოჯახი, თემი და სააღმზრდელო დაწესებულება"
დანართი 18. მოდული "ჯანმრთელობა და უსაფრთხოება"
დანართი 19. მოდული "პროფესიული ეთიკა"

არჩევითი პროფესიული მოდულები
დანართი 20. მოდული „ხატვა“
დანართი 21. მოდული „ძერწვა“
დანართი 22. მოდული „ორიგამი, კირიგამი და აპლიკაცია“

დანართი 23. სასწავლო გეგმა
დანართი 24. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი